შემსწავლელის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

სიმპლიციი

B2

ზღვრული
განვითარებული დონე

თინათინ კილურაძე

ეკატერინე ქუთათელაძე

„აღმართი“ B2 (ზღვრული განვითარებული დონე) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებსაც განვითარებული აქვთ ენის დამოუკიდებლად ფლობის უნარი. ქართული ენის B2 დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: სალიტერატურო ენის ნორმების ფარგლებში შედარებით ნაცნობ თემატიკაზე აგებული არგუმენტირებული ვრცელი მოხსენების, ლექციის, მიმდინარე მოვლენებზე რეპორტაჟისა და ახალი ამბების, ფილმების შინაარსის გაგება; ვრცელი ტექსტის სწრაფად წაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება; დისკუსიის დროს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით არგუმენტების მოყვანა, საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება და დაცვა; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება; თავისუფლად, მოუმზადებლად საუბარი მშობლიურ ენაზე მოლაპარაკესთან და ყველაფრის დაწვრილებით გაგება; არგუმენტირებული ესეს წერა, განსხვავებული მოსაზრებების დადებითი და უარყოფითი მხარეების წერილობით განხილვა. ეს ენის ცოდნის ის პროგრესული საფეხურია, როცა შემსწავლელს უკვე შეეძლება გაუგებრობის გამომწვევი შეცდომების გასწორება, საკუთარი მეტყველების გაკონტროლება.
სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის B2 დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია „ანასეულის“ მიერ.

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2016



გრამატიკა

ლექსიკა

წაიკითხე

ნახე

ჩაწერე

დააკვირდი

მოუსმინე

მოიფიქრე

თავი I

ადამიანები და მათი ცხოვრება

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
საინფორმაციო ტექსტის მოსმენა და ძირითადი დეტალების გაგება (ჰორმონის გამომუშავება, მოქმედება და სხვა).

კითხვა:
დღიურის დეტალების გაგება;
პრესის სტატიის წაკითხვა, სხვადასხვა შეხედულების გაცნობა;
კვლევის შედეგების გაცნობა და საჭირო დეტალური ინფორმაციის ამოკრეფა;
მუშაობა სტატისტიკურ მონაცემებზე.

ლაპარაკი:
არგუმენტირება, აზრის დასაბუთება.

წერა:
არგუმენტირება, აზრის დასაბუთება.

გრამატიკა/ლექსიკა



- სხვისი ნათქვამის გადმოცემა (სიტყვასიტყვითი ნაწილაკი -ო);
- მიმღეობები (მოსამატებელი, შესანარჩუნებელი...);
- სახელზმნა.

- არგუმენტირებისა და საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად საჭირო ლექსიკა.

ბლოკი **1** – პირადი ცხოვრება

ბლოკი **2** – რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში

ბლოკი **3** – რა არის ბედნიერება

ბლოკი **4** – თაობები და ღირებულებები

ბლოკი 1

პირადი ცხოვრება

1 **როგორ ფიქრობთ, რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის? შეავსეთ იდეების ბადე. დაამატეთ ოვალები თქვენი შეხედულებისამებრ.**

.....

.....

ოჯახი: მეუღლე და შვილები

საინტერესო სამუშაო

.....

.....

ფიზიკური აქტივობა

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2 **წაიკითხეთ ია ვეკუას დღიური და გამოთქვით აზრი, კმაყოფილია თუ არა ის საკუთარი ცხოვრებით. თქვენი მოსაზრების დასადასტურებლად ტექსტიდან ამოწერეთ შესაბამისი სტრიქონების ნომრები.**

17 იანვარი, კვირა



1 დილით აფეთქების ხმამ გამაღვიძა. ასე ხდება, როდესაც
2 ერთი ღობის იქით 13 წლის ლევანი ცხოვრობს – მგონი,
3 ყველაზე ცელქი და ხმაურიანი ბიჭი არა მხოლოდ მთელ
4 ქუჩაზე, არამედ დასავლეთ ნაძალადევის ტერიტორიაზეც.
5 ახალ წლამდე ერთი ათი დღით ადრე მან ჩრდილოეთ
6 კორეის თავდაცვის სამინისტროსთან ყოველწლიური
7 კონტრაქტი განაახლა და სახლი სხვადასხვა ზომის, ფერისა
8 და მოქმედების რადიუსის მქონე ასაფეთქებლებით გაავსო.
9 თითქმის ერთი კვირა პატიოსნად დუმდა, მაგრამ 25
10 დეკემბერს ტელევიზორში რომის პაპის გამოჩენა ვეღარ
11 გადაიტანა, დაიწყო და აღარც გაჩერებულა.

13 ლევანის დამსახურებით მთელმა უბანმა საზეიმოდ
14 აღვნიშნეთ არა მხოლოდ ახალი წლის, ბედობისა და შობის, არამედ 9 იანვრის, 12 იანვრის თერთმეტის
15 ნახევრის, 16 იანვრის სამის 15 წუთისა და სხვათა შემობრძანება. დღეს, კვირას, მაინცდამაინც
16 დილაუთენია, შტურმის დაგეგმვა გადაწყვიტა და ორი ქუჩის იქით მკვდარი მეზობელიც წამოაგდო.

17 სხვა მხრივ, ძალიან კარგი ბიჭია. ერთხელ თავისი ეზოდან დედაჩემს გადმოსძახა, ნატო დეიდა, ცოტა
18 ხნით კნუტი მათხოვეთ, ვეთამაშები და დაგიბრუნებთო. დედაჩემმა უარი ვერ უთხრა და ღობიდან
19 გადააწოდა. ერთ საათში თამაშით გაბრუებული და კარგად გამძღარი ფისო უკან დააბრუნა, მაგრამ იმის
20 მერე აღარ მოუთხოვია – უცხო სახლში აღმოჩენისგან გაგიჟებულს, თურმე ყველა კუთხე მოუნიშნავს...

21 მოკლედ, ლევანის დილის არიის გამო უკვე ერთი საათია სრულიად გაბრუებული ვზივარ მსოფლიოში
23 ყველაზე უარეს არხზე გადართული ტელევიზორის წინ და ყავის ინექციას ვიკეთებ.

24 დავლევ და მოვალ...

25 მოვედი.

26 რადგან გავიღვიძე და ჯერჯერობით სხვა გეგმა არ მაქვს, მუშაობა გადავწყვიტე. უკანასკნელი ხუთი
27 თვეა სახლიდან ვმუშაობ, ლოგინიდან „სამსახურამდე“ მისასვლელად ზუსტად ორწამ-ნახევარი და ექვსი
28 ნაბიჯი მჭირდება. შეიძლება ცოტა მოსაბეზრებელია, მაგრამ როდესაც საღამოს, საცობებისგან
29 გაცოფებული მეგობრების სტატუსებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ გამიმართლა.

30 გამიმართლა იმ მხრივაც, რომ საინტერესო სამსახური მაქვს, სწორედ ისეთი, რომელიც კვირა დღეს
31 მუშაობისთვის განსაკუთრებულ განწყობას არ საჭიროებს. მხოლოდ კომპიუტერს უნდა მივუჯდე და
32 წიგნის კითხვა დავიწყო. ახლა დიმიტრი გლუხოვსკის „მეტრო 2035-ის“ თარგმანს ვარედაქტირებ. ეს
33 სერიის მესამე წიგნია, სრულიად საოცარი პოსტაპოკალიფსური ისტორიაა. უფრო საოცარი კი ის ენაა,
34 რომლითაც გლუხოვსკი მოსკოვის მეტროში გამომწყვდეული კაცობრიობის ნარჩენის ამბავს აღწერს.
35 საბედნიეროდ, ნამდვილად არ ვიცი, როგორ ლაპარაკობენ თანამედროვე მოსკოვში, მაგრამ ზუსტად ვიცი,
36 როგორ ილაპარაკებენ და იცხოვრებენ 30-იან წლებში.

18 იანვარი, ორშაბათი

სამუშაო კვირის პირველი დღე ელექტრონული ფოსტის შემოწმებით დავიწყე, ზუსტად ისე, როგორც ამას უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში ვაკეთებდი – მაშინ, როდესაც აქტიური ჟურნალისტი ვიყავი და კულტურული მოვლენების შესახებ ვწერდი. სექტემბრის შემდეგ არაფერი დამიწერია, არც ერთ პრესკონფერენციაზე ან ღონისძიებაზე არ ვყოფილვარ. როგორც ჩანს, ეს უკვე შენიშნეს, რაზეც დღითიდღე შემცირებული წერილების რაოდენობაც მეტყველებს. მალე კაბიანი აგული ერისთავი (გმირი ქართული ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“) ვიქნები, თუმცა მხოლოდ ჟურნალისტური წრისთვის: ერი ხომ თავის გმირებს არ ივიწყებს – ასე ვიმშვიდებ თავს.

ინტერნეტით ვიგებ, რომ „იგლზის“ გიტარისტი გარდაიცვალა. ლემი კილმისტერის, დევიდ ბოუისა და ალან რიკმანისგან განსხვავებით, მისმა სიკვდილმა ნაკლებად დამამწუხრა. ერთი სიმღერის გარდა, მაინც ვერაფერს ვიხსენებ. კიდევ მახსოვს მოზარდობისას განცდილი ტკივილი – იმ უსაშველოდ გრძელ სიმღერაზე იმდენ ხანს ვცეკვავდი, რომ ფეხსაცმელმა ქუსლები გადამიყვლიფა. რა სასტუმრო იყო ამისთანა ის „Hotel California“, 6 წუთსა და 30 წამს რომ უმღეროდნენ?! აგერ ჩვენები სამშობლოზე სიმღერებს ორ-სამ წუთში ატევენ.

კნავილი მესმის. ჩავალ, ვნახავ, რა უნდა.

ეს ფისო დაახლოებთ ორი კვირის წინ ვიშვილეთ (თუ ვიკნუტეთ?). სულ შავია, თვალებიც შავი აქვს და სურვილებიც. პირველი ორი დღე მორცხვობდა, მერე აიწყვიტა და არ გაჩერებულა. ისეთი მოძრავია, ფოტოსაც ვერ ვუღებ. ამიტომ, როდესაც იმ დღეს მათე მაყაშვილი წუწუნებდა, ინტერნეტში კატების ფოტოები და ვიდეოები მომრავლდაო, მე საერთოდ არ მგულისხმობდა. [...]

http://www.tavisupleba.org/content/liberty-diaries-ia-vekua/27508002.html

3 **კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ მისი მახასიათებლები:**

დღიური

- ☐ ავტორი წერს პირველ პირში
- ☐ ფიქციური ტექსტია
- ☐ ფაქტები თანამიმდევრულადაა აღწერილი
- ☐ ფაქტები არათანამიმდევრულადაა აღწერილი
- ☐ პერიოდულად მითითებულია თარიღი

4 **მონიშნეთ (✓), რომელ თემებზე საუბრობს ია ვეკუა და მიუწერეთ შესაბამისი სტრიქონების ნომრები:**

- ○ მეზობელი ბიჭი .....
- ○ მეგობრები .....
- ○ სამუშაო .....
- ○ შინაური ცხოველი .....
- ○ რუსული ლიტერატურის ჟანრები .....

5 **დაწერეთ, რას თვლის ია ვეკუა უპირატესობად და რა ნაკლი აქვს მის სამუშაოს სხვა ტიპის სამსახურთან შედარებით:**

უპირატესობა	ნაკლი
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

6 **ჩაწერეთ ცხრილში ვის/რას ეკუთვნის ქვემოთ მოცემული ფრაზები:**

ინტერნეტი	მათე მაყაშვილი	ლევანი

ა. ინტერნეტში კატების ფოტოები და ვიდეოები მომრავლდაო.

ბ. ნატო დეიდა, ცოტა ხნით კნუტი მათხოვეთ, ვეთამაშები და დაგიბრუნებთო.

გ. რომ „იგლზის“ გიტარისტი გარდაიცვალა.

7 **დააკვირდით მე-6 დავალებაში მოცემულ წინადადებებს და შეავსეთ წესი. გამოიყენეთ სიტყვა საინტერესო:**

ამბობს, რომ …… = ამბობს, …… - ☐

8 **დააკვირდით მე-7 დავალებაში თქვენ მიერ შედგენილ წესს და დააბოლოვეთ შემდეგი წინადადებები:**

ა. ია ამბობს, საინტერესო სამსახური ……

ბ. ავტორი ამბობს, ფისო ორი კვირის წინ ……

გ. ია ამბობს, რადგან გავიღვიძე, მუშაობა ……

დ. ავტორი ამბობს, რომ ადრე კულტურული მოვლენების შესახებ ……

ბლოკი 2

რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში

1 **ა. იმუშავეთ წყვილებში თემაზე: რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში?**
ჯგუფის წინაშე ჩამოაყალიბეთ თქვენი იდეები ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით:

ჩემი აზრით, ... ვფიქრობ, რომ	
..., რადგან ....იმიტომ, რომ	
ამას ადასტურებს ..... მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ	

ბ. გადახედეთ მე-2 დავალების ტექსტს და შეადარეთ, თქვენ მიერ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რამდენი დაემთხვა ტექსტისას.

2 **წაიკითხეთ ტექსტი და ქვემოთ მოცემულ ფოტოებს მიუწერეთ იმ აბზაცის ნომერი, რომლის საილუსტრაციოდაც გამოდგება. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.**

სტერეოტიპები, რომლებიც ბედნიერებას გვპარავს

რომელია ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპები, რომლებიც ბედნიერების შეგრძნებას გვართმევს, გვაიძულებს, რომ ჩვენთვის უცხო მიზნებისკენ ვისწრაფოთ და ვერ ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით.

1. უნდა ვიცხოვროთ გარკვეული წესებით

ეს შეიძლება იყოს მშობლის, ახლობლის მითითება ან საკუთარი თავისთვის შემუშავებული წესები. თქვენ გგონიათ, რომ მათი მიხედვით უნდა წარიმართოს ცხოვრება. როცა ეს წესები არ სრულდება, ადამიანი თავს უბედურად გრძნობს, ნერვიულობს, თუ რას იფიქრებენ მასზე სხვები. თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი იმ ასაკში დაოჯახება, რომელიც საზოგადოებისთვის არის მისაღები, ან იქ მუშაობა, სადაც მშობლებს სურთ. მუდმივად სხვისი მითითებების შესრულების შედეგად თქვენ ირთულებთ ცხოვრებას.

2. ოცნებებისადმი სწრაფვა ღრუბლებში ფრენას ნიშნავს

უნდა მიჰყვეთ საკუთარ ოცნებებს და თქვენში სხვადასხვა ნიჭი განავითაროთ. რა თქმა უნდა, ეს მარტივი სულაც არ არის, მაგრამ ასე საკუთარ თავს იპოვით, რაც ბედნიერებისთვის აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, მთელ ცხოვრებას თვითგვემაში გაატარებთ.
ოცნებები იმას უსრულდება, ვისაც გულწრფელად სჯერა და იმის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს.

3. თუ არ გყავს მეწყვილე, უბედური ხარ

რატომღაც მიჩნეულია, რომ თუ მეწყვილე არ გყავთ, ხართ მარტო, ანუ უბედური, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ურთიერთობას ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს, პირიქით, შეიძლება ადამიანმა თავი უფრო მარტოსულადაც იგრძნოს. ამიტომ, პირველ რიგში, ბედნიერად ყოფნა ურთიერთობის გარეშეც უნდა ისწავლოთ და ამ შემთხვევაში თქვენთვის ჭეშმარიტად ჰარმონიულ პიროვნებას მიიზიდავთ.

თუ ურთიერთობა თქვენთვის ბედნიერების მომტანი არ არის და ის მხოლოდ სულიერ ტკივილს გაყენებთ, მის შენარჩუნებას აზრი არ აქვს.

4. ბედნიერებაა, როცა გაქვს ყველაფერი, რასაც მოისურვებ

მატერიალური ფასეულობებისადმი მუდმივი ლტოლვა ადამიანს დღევანდელობის შეგრძნებას აკარგვინებს. ის "უკეთეს მომავალზე" ფიქრში იმდენად ჩაფლულია, რომ რეალურ დროში თავს უბედურად გრძნობს. მიაჩნია, რომ მასთან ბედნიერება მხოლოდ მორიგი სურვილის ასრულებით მოვა, მაგრამ ბედნიერება უფრო მარტივია. საჭიროა მხოლოდ დავაფასოთ ის, რაც უკვე გვაქვს, გვიხაროდეს წვრილმანები და ვერც კი შევამჩნევთ, ისე ვიგრძნობთ თავს ბედნიერად. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს მიზნებზე უარი უნდა თქვათ, უბრალოდ იყავით ბედნიერი მუდამ და არა ხანდახან.

5. ზოგს ყველაფერი ადვილად გამოსდის

შური და ბოროტება დროსა და ენერგიას უაზროდ გვახარჯვინებს, ეს კი ბედნიერ წუთებს ანადგურებს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ტყუილად არავის არაფერი ეძლევა, უბრალოდ, თქვენ ყველაფერი არ იცით. მაგალითად, ერთი შეხედვით წარმატებულმა და ბედნიერმა ადამიანმა შესაძლოა სინამდვილეში უამრავი რამ გადაიტანა, სანამ ამ ყველაფერს მიაღწევდა. როცა გშურთ, თქვენ მაინც ვერ მიიღებთ იმას, რაც სხვებს აქვთ. უკეთესია, სხვისი წარმატებებით გავიხაროთ და შურისთვის დახარჯული დროის ნაცვლად თვით-განვითარებაზე ვიფიქროთ.

6. რას იტყვის ხალხი?

საჭიროა სხვებს თავი აღარ შეადაროთ, გეყოთ მათ წინაშე მუდმივად რაღაცის მტკიცება. ნუ დარდობთ იმაზე, რას იფიქრებენ ან იტყვიან თქვენზე, ეს უზარმაზარ ენერგიას გართმევთ და ხელს უშლის თქვენში საუკეთესოს განვითარებას.

მთელი ცხოვრება იმაზე ფიქრი, თუ რას იტყვის ხალხი, თქვენს ნამდვილ სახეს გიკარგავთ.

7. მუდმივად ბედნიერნი მხოლოდ სულელი ადამიანები არიან

ეს არ არის სწორი. ეს ადამიანები შეგნებულად ისწრაფვიან ბედნიერებისკენ, მიუხედავად მათი მდგომარეობისა. ისინი სწორად იქცევიან, რადგან ბედნიერება ყველა მისწრაფების საბოლოო მიზანია და მათ ამ მიზანს უკვე მიაღწიეს.

http://webgeorgia.ge/blog/10stereotipi-romlebic-bednierebas-gvparavs/



3 **კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მიუწერეთ ფრაზებს შესაბამისი აბზაცის ნომერი:**

ა. ხშირად მარტო, სასიყვარულო ურთიერთობის გარეშე ცხოვრება უბედურ ცხოვრებასთან ასოცირდება. ☐

ბ. ბევრი ფიქრობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ძალიან ადვილად აღწევს წარმატებას. ☐

გ. ხშირად თვლიან, რომ მუდამ ბედნიერი ადამიანი არც ისე გონიერია. ☐

დ. ადამიანები ხშირად თვლიან, რომ ბედნიერებისთვის აუცილებელია ყველა სურვილი აუსრულდეთ. ☐

ე. ხშირად ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ გარშემო მყოფების აზრებს. ☐

4 **მე-2 დავალებაში მოცემული ტექსტის მიხედვით მონიშნეთ, სწორია/არასწორია. დაასაბუთეთ თქვენი აზრი ტექსტიდან.**

	სწორია	არასწორია
1. სტერეოტიპები გვეხმარება ბედნიერების მოპოვებაში.		
2. მუდმივად სხვისი აზრის მოსმენით ადამიანი კარგავს ბედნიერებას.		
3. ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ბედნიერი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ რომელიმე სურვილი აუსრულდება.		
4. სხვა ადამიანთან ურთიერთობის დროს შესაძლოა ადამიანმა უფრო მარტოსულად იგრძნოს თავი.		
5. მუდმივად სხვებთან თავის შედარებით იპოვით ბედნიერებას.		
6. ოცნებების ასრულება შესაძლებელია, თუ ამის გულწრფელად გჯერა.		
7. როცა სხვა ადამიანის გვშურს, ამით ხელს ვუწყობთ ჩვენს ბედნიერებას.		
8. ადამიანი თუ სულ ბედნიერია, მაშინ ის სულელია.		

5 **იმუშავეთ წყვილებში: მოიფიქრეთ 5-7 შეკითხვა ტექსტის პარაგრაფებისა და 1-ელ დავალებაში ჩამოთვლილი შეხედულებების მიხედვით.**

მაგალითად

- რამდენად აქცევთ ყურადღებას სხვის აზრს?
- როგორ ფიქრობთ, ადამიანს მუდმივად უნდა ჰქონდეს ოცნებები?

გაცვალეთ მეწყვილეები. თქვენს ახალ მეწყვილეს დაუსვით თქვენ მიერ მოფიქრებული შეკითხვები და პასუხები ჩაინიშნეთ.

გაცვალეთ როლები.

6 წინა დავალებაში ჩანიშნული მეწყვილის პასუხების მიხედვით უთხარით მას, თქვენი აზრით, რომელია მისი ყველაზე სწორი დამოკიდებულება. დაასაბუთეთ რატომ.

ბლოკი 3

რა არის ბედნიერება

1 ა. დაიყავით წყვილებად. წაიკითხეთ განმარტებითი ლექსიკონიდან რა არის ბედნიერება და დაწერეთ მისი თქვენეული ვერსია:

ბედნიერება არის _____

_____

_____

_____

ბედნიერება (ბედნიერებისა) 1. დიდი სიხარულისა და სრული კმაყოფილების განცდა, ნეტარება, ლხენა, სიამე. მიხარია! ბედნიერებით მევსება გული!; ჩვენ ბედნიერებას საზღვარი არ ექნება!; ჩემო ბედნიერებავ! ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიცოცხლევ! ვერავის დავუთმობ შენს თავს! 2. ყოველგვარი სიკეთითა და სიხარულით სავსე ცხოვრება, სრული კეთილდღეობა. საქართველოს ბედნიერება, ჩვენი ბედნიერებაა! 3. გადატანითი მნიშვნელობით: კარგი ბედი, გაბედნიერება. მამა! ჩემს ბედნიერებას ელოდი და, აი, ვიპოვე!; გილოცავ შვილის ბედნიერებას!

www.ena.ge

ბ. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და შეავსეთ / დახვეწეთ ბედნიერების თქვენეული განმარტება 1-ელ დავალებაში.

2 კიდევ ერთხელ ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და მონიშნეთ (✓), ჩამოთვლილთაგან რა შეიძლება ვთქვათ ბედნიერების ჰორმონზე – ენდორფინზე:

- ☐ ენდორფინი გამომუშავდება თავის ტვინში.
- ☐ ენდორფინი აძლიერებს იმუნურ სისტემას.
- ☐ ენდორფინი გამომუშავდება ნერვული სისტემის მიერ.
- ☐ ენდორფინის ქიმიური ფორმულა ჰგავს ჟანგბადის ქიმიურ ფორმულას.
- ☐ ენდორფინი ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას.
- ☐ ენდორფინი ხელს უწყობს სუნთქვის სისტემის მუშაობას.
- ☐ ენდორფინის ქიმიური ფორმულა ჰგავს მორფინის ქიმიურ ფორმულას.

3 ვიდეოჩანაწერის (**1.1**) მიხედვით ჩამოთვალეთ, რა ფაქტორები უწყობს ხელს ენდორფინის გამომუშავებას:

4 ა. ვიდეოჩანაწერის (1.1) მიხედვით შეავსეთ ფრაზები:

1. ..... სტრესის შესამცირებელი საშუალებაა.
2. ..... ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი საშუალებაა.
3. ..... სისხლში ლიმფოციტების გასაზრდელი საშუალებაა.
4. ..... ბედნიერების ჰორმონების მოსამატებელი საშუალებაა.

ბ. დავალებიდან (4.ა) ამოწერეთ და დააკვირდით, როგორი <u>საშუალებებია</u> მოცემული წინადადებებში. გახაზეთ ამ ფორმების საერთო აფიქსები. შემოხაზეთ განსხვავებული ნაწილები.

გ. როგორ ფიქრობთ, რა ფუნქცია აქვს ამ აფიქსებს?

5 დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ფრაზებს.

ა. ცხრილის მეორე გრაფაში მოცემულ ხაზგასმულ სიტყვებს პირველ გრაფაში მოუძებნეთ პარალელური ფორმები (სახელზმნები):

მუსიკალური თერაპია სტრესის შემცირებას უწყობს ხელს. ენდორფინი ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები სისხლში ლიმფოციტების გაზრდას ეხმარება. სპორტი ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონების მომატებას უწყობს ხელს.	
მუსიკალური თერაპია კარგია სტრესის <u>შესამცირებლად.</u> ენდორფინი საუკეთესოა ჯანმრთელობის <u>შესანარჩუნებლად.</u> მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები კარგია სისხლში ლიმფოციტების <u>გასაზრდელად.</u> სპორტი საუკეთესოა ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონების <u>მოსამატებლად.</u>	

ბ. რომელ შეკითხვას დაუსვამთ მეორე გრაფაში ხაზგასმულ სიტყვებს?

რამდენი?	რომელი?
რისთვის?	რის გამო?

გ. შეადარეთ ორივე გრაფის სიტყვები. ბლოკში მოცემული სუფიქსები ჩაწერეთ ფორმულაში ისე, რომ მეორე გრაფის სიტყვები მიიღოთ:

-ად ზმნისწინი -ლ/-ელ სა

[ ] + [ ] + ... + [ ] + [ ]

დ. სწორად დააკავშირეთ ერთმანეთთან:

შესამცირებელი	საუკეთესოა
მოსამატებელი	საშუალება
გასაზრდელად	კარგია
შესანარჩუნებლად	საშუალება

ბლოკი 4

თაობები და ღირებულებები

1 როგორ ფიქრობთ, რითი განსხვავდება სხვადასხვა თაობის შეხედულებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა. სხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტულობა;

ბ. მატერიალური ღირებულებები;

გ. სხვა: დაასახელეთ საკითხი, რომელზეც, თქვენი აზრით, თაობებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

2 წაიკითხეთ ტექსტი. რა სათაურს შეურჩევდით ნანა სუმბაძის კვლევას?

_____

საქართველოში ადამიანები ერთმანეთს ნაკლებად ენდობიან; ახალგაზრდობა გაცილებით რელიგიურია, ვიდრე უფროსი თაობა; ამასთანავე – გაცილებით ტოლერანტული არარელიგიური უმცირესობების ჯგუფების მიმართ; ქვეყანაში თვითიდენტიფიკაციის დროს ქრისტიანობას გაცილებით მაღალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე მოქალაქეობას; უმეტესობისათვის დემოკრატია და მისი ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: პროტესტი, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა – მნიშვნელოვანი ღირებულებებია. თუმცა, ამასთანავე, ბევრს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი მიზნისთვის სახელმწიფომ, შესაძლოა, კანონიც დაარღვიოს. ეს მხოლოდ ნაწილია იმ შედეგებისა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ნანა სუმბაძის კვლევის შედეგად გამოვლინდა.

კვლევაში ღირებულებების არსებული საზომებიდან შერჩეული იყო ორი:

ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი – ინდივიდუალისტური კულტურა გულისხმობს ქვეყანაში იმ ინდივიდების დიდ რაოდენობას, ვისაც სტაბილური პიროვნული თვისებები გააჩნია და ნაკლებად არის დამოკიდებული სხვებზე. ხოლო კოლექტიური კულტურის წევრთა „მე კონცეფცია“ კი უფრო მეტად როლებითა და ჯგუფებისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება;

მატერიალისტური და პოსტმატერიალისტური – მატერიალისტურ ღირებულებებს ახლავს ეკონომიკის, ბიუროკრატიისა და მეცნიერების განვითარება, ხოლო პოსტმატერიალისტური ღირებულებები ძირითადად დაკავშირებულია დემოკრატიასთან;

ამასთან, კვლევისას შეფასდა რელიგიასთან, ჯანმრთელობასთან, განათლებასთან, აღზრდასთან დაკავშირებული ღირებულებები. ღირებულებებთან ერთად შეფასდა ის ფაქტორებიც, რომლებსაც ჩვეულებრივ მას უკავშირებენ, მაგალითად: ნდობა სხვების მიმართ, ოპტიმიზმი, ეკონომიკური კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება, თვითშეფასება.

სხვადასხვა თაობის ადამიანთა ღირებულებების გამოსარკვევად გამოჰკითხეს სამი თაობის წარმომადგენლები: 18-24, 40-50 და 60-70 წლის.

ახალგაზრდა თაობამ – (18-25 წლის ადამიანები) შეგნებული ცხოვრება დამოუკიდებელ საქართველოში გაატარა, ხოლო მათი მშობლებისა (40-50 წლის ადამიანები) და ბებია-ბაბუების თაობა (60-70 წლის ადამიანები) კომუნისტური წყობის დროს ჩამოყალიბდა. ამიტომ, მშობლების თაობას უფრო მეტად გაუჭირდა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობასთან მორგება. შესაბამისად, ამ თაობის ღირებულებებიც ნაკლებად შეიცვალა.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ კოლექტივიზმი აშკარად მატულობს ასაკთან ერთად და თაობებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კოლექტივიზმის მაღალი მაჩვენებელი აქვს 18-24 წლის რესპონდენტების მხოლოდ 32.7 პროცენტს, სამაგიეროდ, კოლექტივიზმის დაბალი მაჩვენებლი აქვს 60-70 წლის რესპონდენტების 40.9 პროცენტს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამივე თაობის წარმომადგენელთა უმეტესობისათვის დემოკრატია და მისი ძირითადი მახასიათებლები, როგორებიცაა: საპროტესტო აქციებში მონაწილეობა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა – მნიშვნელოვანი ღირებულებებია. გამოკითხულთა 71.1% დემოკრატიას მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევს. 53.0% კი ფიქრობს, რომ საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი. თაობები თანხმდებიან იმაზეც, რომ აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

სამაგიეროდ, წინა თაობებისგან განსხვავებით, ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად შემწყნარებელია სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ. ეს ეხება ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს, ნარკომანებს, კრიმინალებს და ა.შ. უფროს თაობებზე მეტად ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ჰომოსექსუალ ქალებსა და კაცებს უნდა ჰქონდეთ უფლება ისე იცხოვრონ, როგორც მათ სურთ (14.4%), მაგრამ ეს ჰუმანური დამოკიდებულება არ ეხება სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, რომელთა მიმართაც ახალგაზრდობა ნაკლებად იჩენს შემწყნარებლობას.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, რელიგია გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდებში, ვიდრე უფროს თაობებში.

ზოგადად, რესპონდენტთა უდიდესი ნაწილისათვის (65.9%) ქრისტიანობა უფრო მეტად არის თვითიდენტურობის საფუძველი, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა (34.1%). აქედან, რელიგია ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა რესპონდენტთა 55.3%-ისთვის, საშუალო ასაკის რესპონდენტთა 44.8%-ის და

უფროსი ასაკის რესპონდენტთა 41.3%-თვის. თუმცა, რელიგიურ რიტუალებს ასრულებს მხოლოდ გამოკითხულთა 37.0%.

საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის წევრთა ურთიერთნდობასა და სოლიდარობაზე. სხვა ადამიანებისადმი ნდობას დემოკრატიისა და საზოგადოებრივი აქტივობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევენ. თუმცა, ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ნდობა სხვების მიმართ ძალზე დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 20.6 პროცენტს მიაჩნია, რომ უმრავლესობა ნდობას იმსახურებს, დანარჩენი 79.4 პროცენტი კი ემხრობა მოსაზრებას, რომ სხვებთან ურთიერთობისას ადამიანს უფრო მეტი სიფრთხილე მართებს.

ჩატარებული კვლევისას, საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობამ ადამიანურ ღირებულებებს შორის ყველაზე სასურველ თვისებებად მიიჩნია მეგობრებისადმი ერთგულება, ადამიანების პატივისცემა, სხვებისათვის დახმარების გაწევა, ტრადიციების დაცვა, საზოგადოებისათვის თავის მოწონება, თავმდაბლობა და ა.შ.

http://online.tsu.edu.ge/ge/science/9957/?p=15

3 კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაახარისხეთ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია:

ა. ამ თაობის წარმომადგენლებს გაუჭირდათ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სინამდვილესთან შეგუება.

ბ. ეს თაობა უფრო მეტად შემწყნარებელია განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ.

გ. ამ თაობის წარმომადგენლებისთვის რელიგია ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

დ. ამ თაობას კოლექტივიზმის დაბალი მაჩვენებელი აქვს.

ე. ეს თაობა აუცილებლად თვლის, ადამიანს აზრის გამოხატვის თავისუფლება ჰქონდეს.

ახალგაზრდები (18-24 წელი)	
საშუალო ასაკის წარმომადგენლები (40-50 წელი)	
უფროსი ასაკის წარმომადგენლები (60-70 წელი)	

4 ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილი ღირებულებებიდან, რომლებზე აქვთ საერთო აზრი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს?

ა. ნდობა;

ბ. კანონის წინაშე თანასწორობა;

გ. რელიგია;

დ. დემოკრატიული მმართველობა;

ე. კოლექტივიზმი;

ვ. მოქალაქეთა აქტიურობა.

5 იმუშავეთ ჯგუფებში: ჩამოწერეთ მიზეზები, რომლებიც განაპირობებს თაობებს შორის განსხვავებული შეხედულებების არსებობას. თქვენი ჩამონათვალი შეადარეთ სხვა ჯგუფების ჩამონათვალს.

თავი II

ოჯახი

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

სალიტერატურო ენის ნორმების ფარგლებში თოქ-შოუს ტიპის სატელევიზიო გადაცემიდან სასაუბრო მეტყველების გაგება შვილებისა და მშობლების ურთიერთობის თემაზე.

კითხვა:

ვრცელი ტექსტის სწრაფად წაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება;

ადრეული ქორწინების თემაზე სტატიების გაგება, რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს.

ლაპარაკი:

მშობლებისა და შვილების თემის შესახებ დისკუსიაში ჩართვა, საუბარი შთაბეჭდილებებზე, იდეებზე, გრძნობებზე და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა;

პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან თავის დაღწევის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა.

წერა:

არგუმენტირებული ესეს წერა, განსხვავებული მოსაზრებების დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა;

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციისა და არგუმენტების სინთეზი.

გრამატიკა/ლექსიკა



- ტერმინის განმარტების ჩამოყალიბება მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებით (რომელიც / რომელსაც / რომლებიც ...);
- კონსტრუქციები: რაც უფრო ... , მით უფრო; როგორც .... , ასევე ... .

- ოჯახის ცხოვრებასთან და მის პრობლემებთან დაკავშირებული ლექსიკა.

ბლოკი **1** – მშობლები და შვილები

ბლოკი **2** – ოჯახის განმარტება

ბლოკი **3** – ოჯახის განვითარების ეტაპები

ბლოკი **4** – ადრეული ქორწინება

მშობლები და შვილები

1 იმუშავეთ წყვილებში და შეავსეთ ცხრილი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები. ყუთში მოცემული ფრაზები დაგეხმარებათ აზრის გამოხატვაში:

ჩემს მშობლებში მომწონს, რომ ...
ჩემთვის მიუღებელია ...
მიმაჩნია, რომ ...

იმიტომ, რომ ...
რადგან ...
რადგანაც ...

რა მოგწონთ თქვენს მშობლებში?	რა არ მოგწონთ თქვენს მშობლებში?

2 შეაჯამეთ ჯგუფში, რა პრობლემები აქვთ შვილებს მშობლებთან? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი არგუმენტები.

3 ა. რას ფიქრობთ შემდეგ ფრაზაზე: „მთელი ჩემი ცხოვრება ეს არის მცდელობა, რომ დავძლიო მამაჩემის გავლენა ჩემზე“ (ფრანც კაფკა).

ბ. ნახეთ ნაწყვეტი ვიდეოჩანაწერიდან (2.1ა) და შეადარეთ თქვენი მოსაზრება გადაცემის სტუმრის, გია მურღულიას, მოსაზრებას.

4 ა. როგორ გესმით გამონათქვამი: „შვილი მტრად გაზარდე და მოყვრად გამოგადგებაო.“ თქვენი ჰიპოთეზა წერილობით ჩამოაყალიბეთ ჯგუფში.

ბ. უყურეთ ნაწყვეტს ვიდეოჩანაწერიდან (2.1ბ) და შეადარეთ აქ გადმოცემული აზრი თქვენს ჰიპოთეზას.

5 ა. იმუშავეთ ჯგუფებში და შეავსეთ ცხრილი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები:

რა სურთ მშობლებს შვილებისგან?	რა სურთ შვილებს?



ბ. ნახეთ ნაწყვეტი ვიდეოჩანაწერიდან (2.1გ) და შეავსეთ ცხრილი დამატებითი ინფორმაციით.

6 შეაჯამეთ ჯგუფში თქვენი მოსაზრებები ამ საკითხზე და ჩამოაყალიბეთ იდეალური მშობლის რამდენიმე კრიტერიუმი.

ბლოკი 2

ოჯახის განმარტება

1 სიახლოვის მიხედვით გადაანაწილეთ წრეებში თქვენთან ნათესაური კავშირის მქონე ადამიანები:



2 პირველი დავალების სქემის მიხედვით დაწერეთ ოჯახის განმარტება.

3 1-ელ დავალებაში გამოთქმული მოსაზრებები და თქვენი განმარტებები შეადარეთ სხვადასხვა განმარტებას ლექსიკონებში. რომელ განმარტებასთან არის ყველაზე ახლოს თქვენი განმარტება?

ოჯახი – ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან (მშობლები, შვილები, შვილიშვილები...). მოვიდა სადილობის დრო, შეგროვდნენ ოჯახის წევრები. ჩემი ოჯახი დიდი და მხიარულია. ოჯახის უფროსი ხალისიანი კაცი იყო.

ოჯახს მოეკიდება – ოჯახს შექმნის, ცოლს შეირთავს, – დაოჯახდება, დაცოლშვილდება. აუცილებელია, მოვეკიდო ოჯახს, ცოლი უნდა მოვიყვანო.

ოჯახის დანგრევა – ცოლ-ქმრის გაყრა, განქორწინება. კარგი ოჯახი დაინგრა.

1. საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში, რამდენაედაც, სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ასეთი რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა შორის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო სამართლის 1152-ე მუხლით აღიარებულია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა და განმარტებულია, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. სხვა უფლებებთან ერთად, მათ აქვთ საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის (თუ ამით არ ილახება ოჯახის საერთო ინტერესი) თავისუფლად არჩევის, თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება. პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობით ან სქესის ნიშნით არის დისკრიმინაცია, რაც დაუშვებელია და იკრძალება კანონით.

2. ქორწინებისა და სისხლის ნათესაობის ნიადაგზე შექმნილი სოციალური სისტემა – მცირე ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, მორალური ურთიერთპასუხისმგებლობით და ურთიერთდახმარებით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ტენდენციებს და განსაკუთრებით დასავლეთის საზოგადოების რეალობას, მაშინ შეიძლება უფრო საგულისხმოდ გვეჩვენოს შემდეგი განმარტება: „ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით ან მათ გარეშე, ან მარტოხელა მშობელი შვილით“, ამგვარად, ოჯახი არის საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი) დაფუძნებული ცოლქმრულ კავშირსა და ნათესაურ ურთიერთობაზე, ანუ იგი მოიცავს ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის და სხვა ნათესავებს შორის ურთიერთობებს, ურთიერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და უძღვებიან საერთო მეურნეობას. ოჯახი სოციალურ-ბიოლოგიური წარმონაქმნია. მას განაპირობებს როგორც სოციალური, ასევე ბიოლოგიური მოთხოვნილებები (სქესობრივი ინსტიქტები).

4 ა. დააკვირდით ლექსიკონის განმარტებას მე-3 დავალებიდან და დაუკავშირეთ ერთმანეთს დეფინიციების ნაწილები:
ოჯახი არის...

1. ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი,	ა. რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით.
2. მცირე ჯგუფი,	ბ. რომელსაც გავლილი აქვს რეგისტრაცია სახელმწიფო ორგანოში.
3. ნებაყოფლობითი კავშირი,	გ. რომელიც შედეგება უახლოესი ნათესავებისაგან.

ბ. დააკვირდით განმარტებებს და შეავსეთ წესი:

x (ოჯახი)	-ის განმარტება / დეფინიცია:
x	არის N-ი , ... იც ...
x	არის N-ი, ... ის ..... ც ...
x	არის N-ი, ... საც ...

5 მიღებული წესის მიხედვით განმარტეთ ტერმინები ყუთში მოცემული ფრაზების მეშვეობით, გამოიყენეთ კავშირები: რომელსაც, რომლებიც, რომლის...

ოჯახი მოზარდი შვილით
ოჯახი ხანდაზმული მშობლებით
ახალგაზრდა ოჯახი პატარა შვილით
ახალგაზრდა ოჯახი
პირველი შვილის სოციალურ სისტემაში გაშვება
მშობლების ოჯახიდან მოზრდილი შვილის გასვლა
ოჯახი სასკოლო ასაკის შვილით

ბლოკი 3

ოჯახის განვითარების ეტაპები

1 **დაიყავით ჯგუფებად და ჩამოაყალიბეთ ოჯახის ძირითადი მახასიათებლები:**

2 **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტიდან და ამოწერეთ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ოჯახის არსებობაზე:**

ოჯახის განვითარების ეტაპები

რა არის ოჯახი? ოჯახი, პირველ რიგში, სოციალური სისტემაა, რომელიც მუდმივად დაკავშირებულია გარემოსთან. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესი, ცვლილება და მოვლენა. ოჯახის ფუნქციონირება ერთდროულად ორ ძირითად კანონს – ჰომეოსტაზისა და განვითარების კანონებს ექვემდებარება. პირველი მათგანი სტაბილურობის შენარჩუნებას გულისხმობს, მეორე კი მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრულ მონაცვლეობას უკავშირდება. მოვლენათა მონაცვლეობა ქმნის ოჯახის ცხოვრებისეულ ციკლს, რომელიც შესაძლოა დაიყოს ეტაპებად. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, ჩვეულებრივ, რამდენიმე თვიდან ერთ-ორ წლამდე გრძელდება და ახასიათებს გარკვეული სირთულეები.



3 **დაუკავშირეთ ერთმანეთს:**

მოვლენათა მონაცვლეობა	მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრული მონაცვლეობა
განვითარების კანონი	სტაბილურობის შენარჩუნება
ჰომეოსტაზის კანონი	ციკლი
ერთი ეტაპი	რამდენიმე თვიდან ერთ-ორ წლამდე გრძელდება

4 **დაიყავით წყვილებად. ერთმა მეწყვილემ ქვემოთ მოცემულ შეკითხვაზე პასუხი წაიკითხოს ტექსტიდან, მეორემ კი დაიმახსოვროს და დაწეროს კედელზე გაკრულ ფურცელზე. თითოეული შეკითხვის წასაკითხად, დასამახსოვრებლად და ფურცელზე დასაწერად მეწყვილეებს აქვთ 2 წუთი.**

ა. რას შეიძლება შევადაროთ ოჯახი?

ბ. რაზეა დამოკიდებული ოჯახის ფუნქციონირება?

გ. რამდენ ხანს გრძელდება ოჯახური ცხოვრების თითოეული ეტაპი და რითი ხასიათდება?

5 **ა. გაეცანით ტექსტებს და შეუსაბამეთ სათაურები მათი შინაარსიდან გამომდინარე:**

ოჯახი მოზარდი შვილით

ოჯახი ხანდაზმული მშობლებით

ახალგაზრდა ოჯახი პატარა შვილით

ახალგაზრდა ოჯახი

პირველი შვილის სოციალურ სისტემაში გაშვება

მშობლების ოჯახიდან მოზრდილი შვილის გასვლა

ოჯახი სასკოლო ასაკის შვილით

ბ. ქვემოთ მოცემული ოჯახის განვითარების ძირითადი ეტაპები დანომრეთ თანამიმდევრულად, ეტაპების მიხედვით:

ა

აღნიშნული ეტაპი იწყება პირველი შვილის გაჩენის შემდგომ, როდესაც წყვილი კვლავ ახალი ამოცანის გადაჭრის წინაშე დგება. მეუღლეებს უწევთ ახალი როლების მორგება – დედისა და მამის; მშობლის პოზიციის ჩამოყალიბება კრიზისული პროცესია და ორივე მშობლისთვის გარკვეულ გარდატეხას გულისხმობს. ეს გარდატეხა მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც ოჯახში ბავშვის განვითარების პროცესის მიმდინარეობას, ასევე მშობლების პიროვნებისა, მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ამ ეტაპზე ოჯახში ძირეულად იცვლება ყველაფერი. მეუღლის როლს ბავშვის დაბადების შემდეგ ემატება მშობლის როლი და იკვეთება ამ როლებს შორის კონფლიქტების მოგვარების საჭიროება. შვილის გაჩენა გარკვეულ გავლენას ახდენს მეუღლეებს შორის დისტანციაზე - ზრდის ან ამცირებს მას.

ამ ეტაპზე საკმაოდ გავრცელებულია დედის თვითრეალიზაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. როგორც წესი, დედას უწევს სახლში დარჩენა და ბავშვზე ზრუნვა მაშინ, როდესაც მამა ინარჩუნებს კავშირს გარესამყაროსთან, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხიც მასზე გადადის, რაც თითქოსდა „ათავისუფლებს“ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობისგან. ამის ნიადაგზე მეუღლეებს შორის შესაძლოა შეიქმნას კონფლიქტური სიტუაციები, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მათ კავშირს. ხდება ისე, რომ ცოლს ეზრდება მოთხოვნები ბავშვზე ზრუნვაში დასახმარებლად, ხოლო ქმარს უჩნდება გრძნობა, რომ ცოლი და შვილი მის სამსახურსა და კარიერას საფრთხეს უქმნიან.

ოჯახის განვითარების ეს ეტაპი რთულდება იმ ფაქტით, რომ ხდება უფროსი თაობის ოჯახის წევრების პენსიაზე გასვლა, რაც თავისთავად კიდევ ერთხელ იწვევს ოჯახში მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ხელახლა გადანაწილებას.

ოჯახური სტრუქტურის შეცვლის კიდევ ერთი მიზეზი არის ოჯახის უფროსი წევრების ავადმყოფობის ხშირი ფაქტები. ეს ძალიან ამძიმებს ოჯახის ცხოვრებას. ამ ეტაპზე ოჯახის თითოეულ წევრს უწევს დიდი ძალისხმევისა და მოთმინების გამოჩენა. ოჯახის მთავარი ამოცანა სიცოცხლის შენარჩუნება ხდება.

ოჯახების უმეტესობა გადის განვითარების ყველა ზემოთ განხილულ ეტაპს, თუმცა ესეც ინდივიდუალური და სხვადასხვაგვარია. მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში, ყოფილმა მეუღლეებმა შესაძლოა სხვა პარტნიორთან ახალი ოჯახი შექმნან. ასევე, არსებობს ოჯახები, სადაც შვილებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა და მაშინ, როდესაც უფროს შვილებს უკვე საკუთარი ოჯახი და შვილები ჰყავთ, მშობლები კვლავ შვილის მოლოდინში არიან; გამონაკლისს წარმოადგენს ასევე მრავალშვილიანი ოჯახები ან ოჯახები, რომლებსაც ქმნიან პარტნიორები, რომლებმაც უკვე რამდენჯერმე შექმნეს ოჯახი და ჰყავთ შვილები.

თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ოჯახის სტრუქტურა და მახასიათებლები, გარკვეულ ეტაპზე ყველა ოჯახი დგას სპეციფიკური ამოცანების წინაშე, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია შემდგომი განვითარებისთვის.

ოჯახისთვის სრულიად ახალი პროცესია, როდესაც უწევს შვილის პირველად გაშვება სხვა სოციალურ გარემოში, როგორიცაა საბავშვო ბაღი. ეს არის ოჯახის განვითრების მორიგი ციკლი და მნიშვნელოვანი ეტაპი იმ თვალსაზრისით, რომ ოჯახს დღის განმავლობაში გარკვეული დროით უწევს შვილთან განშორება და ოჯახმა, როგორც სისტემამ, უნდა ისწავლოს სხვა სოციალურ სისტემასთან, ამ შემთხვევაში, საბავშვო ბაღთან, თანამშრომლობა. ოჯახში იწყება პასუხისმგებლობების გადანაწილების მორიგი ეტაპი, რაც დაკავშირებულია ბავშვის ბაღში თუ სხვა ადგილებში ტარებასთან. ამ ეტაპზე ხშირად ხდება ისე, რომ დედა იწყებს მუშაობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაწილობრივ ოჯახური საქმეებისა და მოვალეობების საკუთარ თავზე აღება სხვა ადამიანს უწევს, ეს კი, როგორც წესი, უთანხმოების მიზეზი ხდება.

ახალგაზრდად ითვლება ოჯახი თანაცხოვრების დაწყებიდან პირველი შვილის გაჩენამდე. ამ ეტაპზე წყვილისთვის წამყვანი საკითხი ახალი სოციალური როლის მორგება და მასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებაა.

ამ პერიოდში ასევე მიმდინარეობს მშობლების ოჯახისგან გამიჯვნა (თუ ეს მანამდე არ მომხდარა),

მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობის ახალი საზღვრების ჩამოყალიბება, პირადი და ოჯახური მოთხოვნილებების გამიჯვნა.

ახალგაზრდა ოჯახს უწევს ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმება, რაც შესაძლოა ეხებოდეს ცხოვრებისეულ ყველა სფეროს – სიახლოვისა და პირადი საზღვრების დაცვას, ყოფით საკითხებზე პასუხისმგებლობის აღებას, სექსუალური ურთიერთობებისა და ბავშვის გაჩენის საკითხებს და ა.შ. ამ ეტაპის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანაცხოვრების პროცესში წყვილს უწევს ერთმანეთის საფუძვლიანი შესწავლა.

ეს ეტაპი იწყება მაშინ, როდესაც უფროსი შვილი მოზარდობის ასაკში შედის. ოჯახს ამ ეტაპზეც უწევს მიღებული წესების შეცვლა, რაც დაკავშირებულია მოზარდის მოთხოვნილებასთან, ეწეოდეს ავტონომიურ ცხოვრებას და გააფართოვოს ურთიერთობის საზღვრები სოციუმთან. ამ ეტაპზე პრობლემების მოგვარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა ოჯახს აქამდე გამართული შიდა კომუნიკაცია.

ამ ეტაპის ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებელი არის ის, რომ ხდება სხვადასხვა თაობის კრიზისული ეტაპების თანხვედრა – ხშირ შემთხვევაში მშობლებს აქვთ ე.წ. „შუალედური ასაკის კრიზისი“, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფასეულობებისა და საკუთარი მიღწევების გადაფასება, ხოლო შვილს კი „მოზარდობის ასაკის კრიზისი“, როდესაც მიმდინარეობს ცვლილებები როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ დონეზე. კრიზისული ეტაპების თანხვედრა უფრო მგრძნობიარეს ხდის ოჯახს, სახეზეა მაღალი შფოთვის დონე და დაუცველობის განცდა.

განვითარების ამ ეტაპზე, ხშირ შემთხვევაში, შვილი საკუთარ ოჯახს ქმნის და მშობლების ოჯახს ტოვებს. თუ ზრდასრულ შვილს ოჯახი ჯერ კიდევ ეხმარება ფინანსურად და მხაარს უჭერს, სრულფასოვანი დიფერენციაცია და ავტონომიის შექმნა, ბუნებრივია, არ ხდება. პროცესს, რომლის მეშვეობითაც მოზრდილი ვაჟი ან ქალიშვილი ცდილობს მშობლების ოჯახიდან გამოსვლას, „ემოციური გაყრა“ შეგვიძლია ვუწიდით. როგორც წესი, ყველა ადამიანს აქვს გარკვეული დონის დაუსრულებელი ემოციური კავშირი საკუთარ მშობლე-

რაც უფრო ჰარმონიულია შვილისა და მშობლების ემოციური კონტაქტი, მით უფრო ნაკლებია სირთულეები მშობლების ოჯახიდან გასვლის დროს.

ამ ეტაპზეც მიმდინარეობს ოჯახის სტრუქტურის შეცვლა. მშობლებს უწევთ იმის გაცნობიერება და აღიარება, რომ ამ ეტაპისთვის უკვე შესრულებული აქვთ მშობლის ძირითადი ფუნქციები. თუ განვლილ ეტაპებზე მეუღლეთა თანაცხოვრების მთავარი არსი შვილები იყო, ახლა წინა პლანზე ისევ წყვილის ურთიერთობები გამოდის, თითქოს მეუღლეებს ყველაფრის თავიდან დაწყება უწევთ და თითქოს ხელახლა უნდა „ისწავლონ“ ერთმანეთთან ურთიერთობა.

ამ ეტაპზე ოჯახს უწევს კიდევ ერთ ახალ სისტემასთან – სკოლასთან ურთიერთობის აწყობა. საბავშვო ბაღთან შედარებით, სკოლას მეტი მოთხოვნები აქვს.

ოჯახში ურთიერთობების გართულების კიდევ ერთი მიზეზი შესაძლოა გახდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა შვილის დახმარება, ხელშეწყობა მეცადინეობის პროცესში, მისი წაყვანა სკოლაში ან ოჯახში დახვედრა. ამ დროს, როგორც წესი, ოჯახში ხშირია ემოციური დაძაბულობა, რადგან მშობლებს საკუთარ თავზე უწევთ ახალი პასუხისმგებლობების აღება. მეუღლეებს შორის დამატებითი მოვალეობების თანაბრად გადანაწილება, როგორც წესი, ვერ ხერხდება, რაც იწვევს ე.წ. კოალიციების შექმნას შვილსა და ერთ-ერთ მშობელს შორის. მაგალითად, მამა ადანაშაულებს დედას, რომ ლოიალურია შვილის მიმართ, ხოლო დედა მამას სიმკაცრეს აბრალებს. ამის ნიადაგზე მშობლებს შორის ხშირია უთანხმოება და კონფლიქტი, რაც ბავშვს ხელს უწყობს მანიპულაციური ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სანამ მშობლები ერთმანეთს ადანაშაულებენ, შვილზე გავლენას ვერავინ ახდენს.

ნანა ფიფია

აღნიშნული მასალა "საქართველოს ბავშვების" ინტელექტუალური საკუთრებაა და შესაბამისი საავტორო უფლება დაცულია .

6 **ა. დააკვირდით მოცემულ წინადადებებს და შეავსეთ ფორმულები:**

ოჯახის პასუხისმგებლობა **როგორც** ქალის, **ასევე** კაცის პასუხისმგებლობაა.

ოჯახის პასუხისმგებლობა = …-ის პასუხისმგებლობა + …-ის პასუხისმგებლობა

რაც უფრო ჰარმონიულია შვილისა და მშობლების ემოციური კონტაქტი, **მით უფრო** ნაკლებია სირთულეები მშობლების ოჯახიდან გასვლის დროს.

< (მეტი) ჰარმონიული … > (ნაკლები) სირთულეები …

ბ. გააერთიანეთ წინადადებები შესაბამისი კავშირებით:

როგორც, … ასევე
რაც უფრო … , მით უფრო

1. ეს გარდატეხა მნიშვნელოვნად განაპირობებს ოჯახში ბავშვის განვითარების პროცესს.
ეს გარდატეხა მნიშვნელოვნად განაპირობებს მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

2. „მოზარდობის ასაკის კრიზისის“ დროს მიმდინარეობს ცვლილებები ფიზიკურ დონეზე.
„მოზარდობის ასაკის კრიზისის“ დროს მიმდინარეობს ცვლილებები ემოციურ დონეზე.

3. თუ ემოციური კონტაქტი შვილსა და მშობლებს შორის ჰარმონიულია, სირთულეები შვილების მშობლების ოჯახიდან გასვლის დროს ნაკლებია.

ბლოკი 4

ადრეული ქორწინება

1 **წაიკითხეთ და გაარკვიეთ, რა პრობლემას ეხება ტექსტი?**

სოფო და ლაშა

სოფოს და ლაშას პირველივე კურსზე შეუყვარდათ ერთმანეთი. ეს ორივესთვის პირველი დიდი სიყვარული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები წინააღმდეგი იყვნენ, ისინი მალე დაქორწინდნენ. სოფო დაორსულდა, აკადემიური წელი აიღო უნივერსიტეტში და გოგო გაუჩნდა. სოფოს ბებიას და ბაბუას უხაროდათ, რომ შვილთაშვილს მოესწრნენ. ლაშას მამა კი ძალიან განიცდიდა, რადგან სამსახური დაკარგა და არ იცოდა, რითი ერჩინა დიდი ოჯახი. გახშირდა ცოლ-ქმარს შორის კამათი. ლაშამ მოუხშირა სმას...

2 **დაიყავით ჯგუფებად და ჩამოაყალიბეთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ადრეულ ასაკში ქორწინებას.**

	დადებითი მხარე	უარყოფითი მხარე
სოციალური		
ფსიქოლოგიური		
ფიზიოლოგიური		
განათლება		
კარიერა		

3 **გაეცანით ტექსტებს და შეავსეთ ცხრილი ტექსტებიდან ამოკრეფილი ინფორმაციით.**

ადრეული ქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები:

გვერდით გეყოლება ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარს; მასთან ურთიერთობით მიიღებ დიდ სიამოვნებას; გექნება შვილის შეძენით განცდილი სიხარული და ბედნიერება; ახალგაზრდობაშივე მოესწრები შვილებსა და შვილიშვილებს; ასაკის მატებასთან ერთად, ძნელდება ოჯახის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ კარგია, თუ ამ გადაწყვეტილებას ადრევე მიიღებ...

უარყოფითი მხარეები:

მოზარდებში ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები როგორც დედის, ასევე ახალშობილის მხრივ; უარის თქმა განათლების მიღების გაგრძელებაზე, ან სწავლის დროებით გადადება; ოჯახის ვალდებულებებიდან გამომდინარე, უარის თქმა გართობაზე და საკუთარი სურვილისამებრ დროის განკარგვაზე; ყოველდღიური საოჯახო საქმის შესრულება, რაც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, მოსაბეზრებელი და გაუსაძლისიც კი გახდეს; უმუშევრობა და ეკონომიკური პრობლემები; დროთა განმავლობაში ღირებულებათა გადაფასების შედეგად წყვილის ურთიერთობაში წარმოქმნილი პრობლემები; ადრეული შვილოსნობით გამოწვეული სირთულეები და პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ახალშობილის ჯანმრთელობაზე, მის მომავალზე ზრუნვას; შესაძლო განქორწინება; არასასურველი ორსულობა, აბორტი...

რა არის ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები?

არსებობს რამდენიმე მიზეზი. პირველ რიგში, ეს, რა თქმა უნდა, არის სიყვარული. გარდატეხის ასაკში, ისედაც არასტაბილური ჰორმონალური ფონი კიდევ უფრო ამძაფრებს გრძნობებს. წყვილებს ჰგონიათ, რომ არავის ჰყვარებია ერთმანეთი ისე როგორც მათ. ეცვლებათ ღირებულებები და ფასეულობები. ჰგონიათ, რომ მათთვის გაიხსნა ცა, უყვარდებათ მზე, ფოთოლი, კენჭი და ფიქრობენ, რომ ეს ის გრძნობაა, რის გამოც უნდა გადადგან მნიშვნელოვანი ნაბიჯი – შექმნან ოჯახი.

მეორე მიზეზი არის მშობლების ტოტალური კონტროლისაგან თავის დაღწევა, ანუ მე უკვე ცოლიანი ან გათხოვილი ვარ და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, ჩემს ცხოვრებას თავად მივხედავ. რეალურად კი, სიტუაცია სრულიად განსხვავებულია.

მესამე მიზეზი გახლავთ ე.წ. ლეგალური სექსი, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთ დროს, უკვე გევალება იმის კეთება, რაც ძალიან გაინტერესებს.

და ბოლოს, კიდევ ერთი მიზეზი დაუგეგმავი ფეხმძიმობაა. ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც წყვილი დაქორწინდა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის მისაღები ყოფილიყო მათი ქორწინება და ბავშვს მიეღო მამის გვარი. სამი თვის შემდეგ ეს წყვილი განქორწინდა.

რა სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვება ადრეულ ქორწინებას?

ოჯახის შექმნის დროს ადამიანი ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად მომზადებული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა იცის, რა არის ოჯახი, რისთვის ქმნის მას და რა ფუნქცია ეკისრება. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღონ გააზრებულად და არა სპონტანურად, უეცრად, მხოლოდ გრძნობებსა და ემოციებზე დაყრდნობით. გადაწყვეტილების მიღებამდე როგორც გოგონამ, ასევე ვაჟმა უნდა გააცნობიეროს ის დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რომლებიც ოჯახის შექმნასა და ბავშვის აღზრდას უკავშირდება. გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა, ადრეულ ასაკში ქორწინება მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ასოცირდება, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

1. არასრულფასოვანი განათლება

მოზარდების უმრავლესობა, რომლებიც ადრეულ ასაკში ქორწინდებიან, ვეღარ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. უკეთეს შემთხვევაში, უწევთ სწავლის გადადება რამდენიმე წლით, რაც, შესაბამისად, უარყოფითად აისახება მათ სამომავლო პროფესიასა და კარიერაზე.

2. მწირი შემოსავალი

ახალგაზრდა მშობლებს, რომლებსაც განათლება და მუშაობის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, არა აქვთ მუდმივი სამსახური და სტაბილური შემოსავალი; შესაბამისად, უჭირთ როგორც საკუთარი თავის, ასევე ოჯახის რჩენა. ადრეულ ასაკში დაქორწინებული მოზარდების უმრავლესობა ოჯახს ქმნის მშობლების ფინანსური მხარდაჭერის იმედით, იმედის გაცრუებას კი მოჰყვება სერიოზული პრობლემები ახალგაზრდა წყვილის ურთიერთობაში. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რატომ უნდა გადავდოთ ოჯახის შექმნა, ვიდრე თავად არ შეგვეძლება ფინანსურად ოჯახის მართვა.

3. ღირებულებათა გადაფასება

ადამიანი ზრდისა და გამოცდილების შეძენის პროცესში ყალიბდება, ეცვლება გემოვნება, ღირებულებები, ფასეულობები, შეხედულებები. ის, რაც ადრე მოსაწონი და მისაღები იყო, მიუღებელი ხდება. აღნიშნულ ცვლილებებს ხშირად მოჰყვება ახალგაზრდა წყვილს შორის ხასიათის შეუთავსებლობა, ოჯახური სიმტკიცის რღვევა და ბოლოს – განქორწინება. მსგავსი შემთხვევისაგან არა თუ მოზარდები, არამედ მოზრდილებიც კი არ არიან დაცულნი, თუმცა გაცილებით ხშირად ეს ფაქტები ახალგაზრდა წყვილებში უფრო დასტურდება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 21 845 ქორწინებიდან 2060 განქორწინებით დასრულდა, განქორწინებათა დაახლოებით 20% 16-დან 19 წლამდე ასაკის მოზარდებზე მოდის.

სიყვარულის გარდა ოჯახის წევრებს გარკვეული მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრიათ ერთმანეთის წინაშე, ამიტომ ოჯახის შექმნა და სასურველი ურთიერთობების შენარჩუნება არც ისე იოლია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

წყარო: http://www.geoyouth.ge

4 **მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (2.2) და ისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე:**

ა. რა არის საქართველოში ადრეული ქორწინების ძირითადი მიზეზი?

ბ. რა არის საქართველოში ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგები?

5 **მოამზადეთ პრეზენტაცია თქვენს ქვეყანაში/რეგიონში ადრეული ქორწინების შესახებ. გაითვალისწინეთ შემდეგი პუნქტები:**

- ადრეული ქორწინებების სტატისტიკა;
- სოციო-ეკონომიკური და კულტურული ფონი;
- ადრეული ქორწინების მიზეზი;
- ადრეული ქორწინების შედეგები.

თავი III

პრესა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
ახალი ამბების სატელევიზიო რეპორტაჟის გაგება;
სატელევიზიო სიუჟეტიდან (სალიტერატურო ენით მოსაუბრეთა) ცალკეული დეტალების გაგება.

კითხვა:
ქართულ ონლაინ მედიასივრცეში გარკვევა;
ახალი ამბების რუბრიკის ტექსტის დეტალურად გაგება და ტექსტი სტრუქტურირება;
ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ტექსტის გაგება (ლექსიკონის დახმარებით).

ლაპარაკი:
არგუმენტირებული დისკუსია.

წერა:
ჟურნალისტის პოზიციიდან რაიმე ამბის დეტალურად და თანამიმდევრულად აღწერა, მთავარი დეტალების წინ წამოწევა, ახალი ამბების თანამიმდევრობის დაცვა.

გრამატიკა/ლექსიკა



- ქცევის ნიშანი მესამე პირთან -უ-;
- თურმეობითის ფორმები აქტიურ- და პასიურსუბიექტიან ზმნებში.

- ახალი ამბების ტექსტების ენის რეგისტრი და შესაბამისი ლექსიკა;
- ოფიციალური დოკუმენტის (ჟურნალისტური ეთიკის ქარტია) ენის რეგისტრი და შესაბამისი ლექსიკა.

ბლოკი **1** – ქართული მედია

ბლოკი **2** – საინფორმაციო ტექსტები

ბლოკი **3** – ყვითელი პრესა

ბლოკი **4** – ჟურნალისტური ეთიკა

ბლოკი 1

ქართული მედია

1 **გაეცანით ქართული მედიის ინტერნეტგამოცემებს და მეწყვილესთან ერთად გაარკვიეთ, რომელი რუბრიკა (მაგ., ახალი ამბები, საზოგადოება და მსგავსი თემები) რა თემაზეა? უცნობი ტერმინების მნიშვნელობის გასარკვევად გამოიყენეთ ონლაინ გამარტებითი ლექსიკონი ena.ge**

ა. netgazeti.ge

ბ. **www.radiotavisupleba.ge**



გ. **www.tabula.ge**

2 ა. შეადარეთ ეს მედიაპორტალები თქვენს მშობლიურენოვან მედიაპორტალებს: რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? ჩამოწერეთ განსხვავებული რუბრიკები თქვენსა და ქართულენოვან მედიებს შორის.

ბ. როგორ ფიქრობთ, რით არის გამოწვეული ეს განსხვავებები?

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1). რომელ რუბრიკას მიაკუთვნებთ მას?

4 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) და ჩამოწერეთ პუნქტებად რაზეა საუბარი:

1. ბოინგის ჩამოგდების ფაქტი BBC-დან;
2. .....
3. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ვებგვერდზე;
4. .....
5. .....
6. .....

5 ა. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) კიდევ ერთხელ და გაარკვიეთ, ვის ეკუთვნის მოცემული ფრაზები:

საგარეო საქმეთა მინისტრი

პრემიერ-მინისტრი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

1. ეს ყველაფერი მოხდა, მოგეხსენებათ, იმ ტერიტორიაზე, სადაც უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, რომელიც ხორციელდება ტერორისტების მიერ და გარე ძალების მხარდაჭერა აშკარაა.

2. ქართული მხარე გამოძიების შედეგებს დაელოდება. ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ თანავუგრძნოთ დაღუპულთა ოჯახებს.

3. ეს არის საშინელი კატასრტოფა, რომელმაც დაგვანახა, რომ, თუკი იგი კავშირშია იმ მდგომარეობასთან, რომელიც ახლა არის უკრაინაში, მაშინ ეს არის კიდევ უფრო დიდი კატასტროფა.

ბ. რომელი პოლიტიკოსის პოზიცია არის ყველაზე ნეიტრალური, რომლისაა ყველაზე ცალსახა და რომელი მათგანის – დიპლომატიური, თუმცა არა ნეიტრალური. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

გ. პოლიტიკოსთა მიერ გამოთქმულ პოზიციებში იპოვეთ მარკერი სიტყვა:

- მკვეთრი, ცალსახა პოზიციის გამომხატველი სიტყვა: .....
- არანეიტრალური, მაგრამ არაცალსახა პოზიციის გამომხატველი სიტყვა: .....

6 **ა. მიუწერეთ ქვემოთ მოცემულ ზმნებს შესაბამისი სახელზმნები და იპოვეთ ლექსიკონში მათი მნიშვნელობა:**

მაგალითად

მიუსამძიმრეს - მისამძიმრება
(ზმნა) (სახელზმნა)

გაუზიარებს _____

თანაუგრძნობს _____

ბ. დააკვირდით ზმნების ფორმებს. რომელი პრეფიქსი განასხვავებს მათ სახელზმნებისგან?

_____

_____

_____

გ. როგორ ფიქრობთ, რას გამოხატავს ეს პრეფიქსი ზმნაში?

_____

_____

_____

_____

ბლოკი 2

საინფორმაციო ტექსტები

1 **ისრით დაუკავშირეთ ერთმანეთს რუბრიკები და ახალი ამბები:**

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- საზოგადოება
- ადამიანის უფლებები
- განათლება
- გარემოს დაცვა
- კულტურა
- სპორტი
- ვაკანსიები კახეთში

თეა წულუკიანი - პროკურატურაში სათანადო საკადრო ცვლილებები ვერ მოხერხდა

ორშაბათი, 5 აპრილი, 2013, 11:58

„არ უარვყოფ, რომ პროკურატურაში ამ ხუთი თვის განმავლობაში სათანადო საკადრო ცვლილებები ვერ მოხერხდა, რადგან გამოსაძიებელია უამრავი საქმე და თუ დღესვე ყველა პროკურორს დავითხოვთ, უამრავი საქმე დაუმთავრებელი დარჩება", - აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში.

„გურჯაანის ნაყინმა" წარმოება განაახლა

სამშაბათი, 9 აპრილი, 2013, 1:59

„გურჯაანის ნაყინმა" წარმოება განაახლა. ახალი სეზონისთვის კომპანიამ 2 ახალი სახეობის ნაყინი დაამატა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „გურჯაანის ნაყინის" გენერალურმა დირექტორმა, გურამ ბერიკაშვილმა განუცხადა, წელს რამდენიმე სახეობის ნაყინზე ფასის შემცირებაც იგეგმება.

რობერტ სტურუა თეატრის სამხატვრო კონსულტანტად დაინიშნა

სამშაბათი, 26 მარტი, 2013, 11:58

რეჟისორი რობერტ სტურუა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო კონსულტანტად დაინიშნა. როგორც თეატრის მმართველმა, პაატა გულიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რობერტ სტურუა შემოქმედებით პროცესს უხელმძღვანელებს.

21 მარტს ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნება

ოთხშაბათი, 20 მარტი, 2013, 15:55

21 მარტი ტყის საერთაშორისო დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა. ამ დღის აღნიშვნის მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის თაობაზე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა

ოთხშაბათი, 20 მარტი, 2013, 10:39

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა. განცხადებების წარდგენის ბოლო ვადა 24 მარტია. სახელფასო ანაზღაურება 2 300 ლარია.

2 დაიყავით წყვილებად და წაიკითხეთ ტექსტები:

1.

RMG-ის გაფიცული თანამშრომლები მორიგი აქციის გამართვას თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის წინ, დღეს გეგმავენ.

ერთ-ერთი გაფიცულის, ლადო ასლანიშვილის, თქმით, 400-500 ადამიანი 70-მდე მანქანით თბილისისკენ მიემართება. მისივე თქმით, აქციას კაზრეთსა და ბოლნისში მცხოვრები RMG-ის დასაქმებულები შეუერთდნენ. აქციის მონაწილეები მთავრობის ადმინისტრაციის წინ 12 საათზე აქციის გამართვას აპირებენ.

"მოთხოვნები არ შეცვლილა, იგივეა. დრო გაჰყავთ, როცა საწარმო არ უნდა გაჩერდეს. ნაკლებად გვაქცევს მთავრობა ყურადღებას და უნდა მოვუწოდოთ, რომ რაც შეიძლება მალე ჩაერთონ ამ პროცესებში. ის ინვესტორიც ზარალდება და ჩვენც ვზარალდებით"– ამბობს ლადო ასლანიშვილი.

RMG-ის თანამშრომლებმა 14 თებერვლიდან დაიწყეს გაფიცვა მოთხოვნებით: ხელფასების 100%-იანი ზრდა, სამუშაო პირობებისა და სადაზღვევო პირობების გაუმჯობესება, კოლექტიური კონტრაქტებისა და მენეჯმენტის შეცვლა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ მათ აღნიშნული მოთხოვნების ნაწილობრივ შესრულება შეუძლიათ. კომპანია თანახმაა, რომ სამუშაო და სადაზღვევო პირობები გააუმჯობესოს, ასევე, 40-მდე თანამშრომელი აღადგინოს. გაფიცულები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მოითხოვენ, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში მედიატორის როლი შეასრულოს.

მიშა მეფარიშვილი

http://netgazeti.newscoop.pro/GE/105/News/28929/

2.

„კავკასუს ონლაინს" ბაზარზე ახალი ინტერნეტპაკეტები შემოაქვს, რომელთა სიჩქარეც აქამდე არსებულთან შედარებით მაღალია, თუმცა ამავე დროს იზრდება მინიმალური პაკეტის ფასიც.

თუკი აქამდე მინიმალური პაკეტის სიჩქარე 5 მბ, ხოლო ფასი 20 ლარი იყო, 1-ლი მარტიდან მინიმალური პაკეტი 25-ლარიანი იქნება, სიჩქარე კი გაორმაგდება.

როგორც "კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი რუსუდან კაპანაძე აცხადებს, მათთვის, ვინც კავკასუსის ქსელში ახლა ერთვება, ახალი პაკეტები უკვე ხელმისაწვდომია, ხოლო მათ, ვინც ქსელში უკვე ჩართულია, ახალი პაკეტის არჩევის საშუალება 1-ლი მარტიდან ექნებათ.

1-ლი მარტიდან კავკასუსის მომხმარებლები შემდეგი პაკეტებით ისარგებლებენ: 10 მბ – 25 ლარი; 30 მბ – 35ლარი; 50 მბ – 45ლარი და 100 მბ –100ლარი.

ახალი პაკეტის ასარჩევად მომხმარებლებმა უნდა დარეკონ. თუ მომხმარებლები 1-ელ მარტამდე არ აირჩევენ, მათ ავტომატურად ჩაერთვებათ ახალი პაკეტი გაზრდილი სიჩქარითა და ფასით: „ჩვენ კანონი გვავალდებულებს მომხმარებლებისთვის შეტყობინების გაგზავნას. ეტაპობრივად ყველა ჩვენს მომხმარებელს მიუვა ინდივიდუალური გაფრთხილება და შეთავაზება პაკეტებთან დაკავშირებით, პაკეტის ასარჩევად მათ უბრალოდ უნდა დარეკონ კომპანიაში" – აცხადებს რუსუდან კაპანაძე.

„კავკასუს ონლაინის" ცხელი ხაზის ნომერი: 220 00 00

ანი ბერუკაშვილი

http://netgazeti.newscoop.pro/GE/105/Technology/28028/

3.

დღეს, 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტში „საერთაშორისო გამჭირვალობა" საქართველოს საპარლამენტო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი ვებგვერდის - Chemiparlamenti.ge-ს პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, საიტი მიზნად ისახავს, რომ მოსახლეობა უფრო ინფორმირებული იყოს. მომხმარებელს საშუალება ექნება, საიტზე დეპუტატს მისთვის საინტერესო კითხვები დაუსვას, გარდა ამისა, საიტზე შესაბამისი პროცედურის გავლის შემთხვევაში, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ პარლამენტში მიმდინარე მოვლენებზე შეტყობინებები მობილურით მიიღოთ. ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, ვებგვერდი შესაძლებელს ხდის საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეები უფრო მეტად ჩაერთონ:

„საიტი შეეხება ზოგადად პარლამენტის საქმიანობას, დეპუტატების საქმიანობას და ამ კუთხით არის გარკვეული სიახლეები, ანუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ანგარიშვალდებულება დეპუტატებისა, ზოგადად, საპარლამენტო პროცესის გამჭვირვალობა და ა.შ. რამდენიმე ძირითადი ფუნქცია აქვს ამ ვებგვერდს. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ კითხვები დაუსვან დეპუტატს. ეს კითხვები იქნება საჯარო და დეპუტატები, ასე ვთქვათ, იძულებული იქნებიან გასცენ პასუხი ამ კითხვებს, რადგან საჯარო იქნება ინფორმაცია. ჩვენი ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ შეაფასოს, რამდენ კითხვას გასცა პასუხი დეპუტატმა, რამდენს არ გასცა და ა.შ." – ამბობს საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საპარლამენტო პროგრამის ხელმძღვანელი ლევან ნატროშვილი.

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკო ნერგაძე ამბობს, რომ ეს ინიციატივა ძალიან პროდუქტიულია: „არის ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პარლამენტის გამჭვირვალობის გაზრდას. არის ბევრი რაღაც, რაშიც ვთანამშრომლობთ. დავიწყეთ თანამშრომლობის გაღრმავება. ვეცდებით, რომ ნაწილი ინფორმაციისა, რომელიც ამ საიტზე განთავსდება, პარლამენტის ოფიციალურ გვერდზეც დავდოთ. მთავარი ამოცანა არის, რომ რაც შეიძლება მეტი იცოდეს ადამიანმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება პარლამენტში."

პარლამენტი

http://netgazeti.newscoop.pro/GE/105/Technology/21109/

ა. გამოკვეთეთ თითოეული ტექსტის მთავარი აზრი:

1. _____

2. _____

3. _____

ბ. რომელ რუბრიკას მიაკუთვნებთ ამ ტექსტებს?

1. _____

2. _____

3. _____

3 **დაიყავით წყვილებად, აირჩიეთ მე-2 დავალებიდან ერთ-ერთი ტექსტი და დაამუშავეთ ერთად.**

მთავარი აზრის განსაზღვის შემდეგ გამოყავით მინიმუმ ორი (შეიძლება სამი ან ოთხი) მეორეხარისხოვანი აზრი:

4 **წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ მონაცემთა რუკა:**

22 თებერვალი, 2014 , 3:28 pm

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ამ დროისთვის ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

პოლიციის ცნობით, ავტოავარიისას ერთი ადამიანი მძიმედ დაშავდა, მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.



5 დაიყავით ჯგუფებად და გაინაწილეთ მეორე დავალების ტექსტები. დაამუშავეთ ისინი და გააკეთეთ მე-4 დავალების მსგავსი ინფორმაციის რუკები.

6 ა. შეადარეთ მე-4 დავალების ტექსტი ფეისბუქ მიმოწერას და იპოვეთ განსხვავებები:

დავალება 4	დავალება 6
არსებითი სახელები	
ავტოსაგზაო შემთხვევა	ავარია
ზმნები	
მოხდა	მომხდარა



[1] საავარიო ბალიში

ბ. დააკვირდით მე-4 დავალების ტექსტს და შეადარეთ, რა არის ინფორმაციის წყარო ამ ტექსტში და რა არის – მე-6 დავალების დიალოგში?

_____

გ. დააკვირდით ზმნებს ცხრილის (დავალება 6 ა.) მარჯვენა სვეტში:

1. რა ფუნქციით შეგხვედრიათ ეს ფორმები, როგორ მოქმედებას გამოხატავს ისინი?

_____

2. რა ფუნქციით არის გამოყენებული ეს ფორმები დიალოგში?

_____

დ. დააკვირდით ცხრილის (დავალება 6 ა.) მარჯვენა სვეტში მოცემულ თურმეობითის ფორმებს და გაანაწილეთ ზმნები შინაარსობრივად ცხრილის ორ სვეტში:

ზმნები აქტიური სუბიექტით	ზმნები პასიური სუბიექტით
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____

ე. რა აქვთ საერთო ფორმის მხრივ აქტიურ - და პასიურსუბიექტიან ზმნებს?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ბლოკი 3

ყვითელი პრესა

1 **მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ და დაწერეთ ყვითელი პრესის თქვენეული განმარტება:**

2 **ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.2) და ამოწერეთ:**

ა) „ყვითელი პრესის“ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვა ან ფრაზა.

ბ) „ყვითელი პრესის“ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა ან ფრაზა.

3 **ვიდეოჩანაწერის (3.2) მიხედვით გაარკვიეთ, ვის ეკუთვნის ქვემოთ მოცემული ფრაზები? ფრაზებს მიუწერეთ ინიციალები:**

ლულუ კახიანი – ლ.კ.

ირაკლი აბსანძე – ი.ა.

- საბჭოთა პერიოდში ბულვარული გამოცემები არ იყო. .....
- ქართველებს სხვისი ცხოვრების ქექვა უყვართ. .....
- 50-იან წლებში ყვითელი პრესა ცნობილი ადამიანების პირად ცხოვრებას განიხილავდა. .....
- ქართველებს აინტერესებთ ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების დეტალები. .....
- ბულვარული პრესა უფრო მეტად იყიდება, ვიდრე რესპექტაბელური მედიაგამოცემები. .....
- ქვეყნებში, სადაც ყვითელი პრესა არ არსებობს, დემოკრატია არ არის ან ეს ქვეყნები დემოკრატიის დაბალ საფეხურზე დგას. .....
- ყვითელი პრესა ადვილად წასაკითხია და მასში ბევრი ფოტოა. .....
- ყვითელი პრესა მას შემდეგ არსებობს, რაც თავად პრესა გამოიგონეს. .....

4 შეავსეთ ცხრილი და მონაცემები შეაჯამეთ დაფაზე.

ყველაზე მეტად მაინტერესებს			
ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრება, მათი სასიყვარულო თავგადასავლები.	ცნობილი ადამიანების ცხოვრების სტილი, მათი ქონებრივი მდგომარეობა, მოგზაურობის ისტორიები, გარდერობი და ა.შ.	ქალაქის / ქვეყნის ახალი ამბები: სად იკრიბებიან ცნობილი ადამიანები, რომელია ელიტარული კლუბები, კაფე-ბარები და ა.შ.	ყველა სკანდალური ამბავი.

5 დაიყავით წყვილებად და ჰკითხეთ ერთმანეთს: კითხულობთ თუ არა ყვითელ პრესას? რა გაინტერესებთ უფრო მეტად?



ბლოკი 4

ჟურნალისტური ეთიკა

1 იმსჯელეთ შემდეგ საკითხზე: აუცილებელია თუ არა, ვიცოდეთ საყვარელი მსახიობის ან ფეხბურთელის პირადი ცხოვრების დეტალები? ჯობს, მხოლოდ მათი პროფესიული ცხოვრება იყოს გასაჯაროებული?

2 მეწყვილესთან ერთად შეიმუშავეთ ჟურნალისტური ეთიკის[1] წესები: თქვენი აზრით, პროფესიული საქმიანობისას რა უნდა გააკეთოს აუცილებლად ჟურნალისტმა (+) და რისი გაკეთება არ შეიძლება (-).

+	
–	

3 ა. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში 11 მუხლია. დაიყავით ჯგუფებად, განიხილეთ ქარტიის 2-3 მუხლი, დაიხმარეთ ლექსიკონი და თქვენი სიტყვებით დაწერეთ, რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.	ჟურნალისტმა ყოველთვის სიმართლე უნდა წეროს. მისი ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს.
2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.	
3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.	
4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.	
5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.	

[1] ეთიკა - გარკვეული საზოგადოებრივი წრის, პროფესიის წევრთა ყოფაქცევის ნორმები.

6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.	
7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.	
8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.	
9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.	
10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.	
11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: · ფაქტის განზრახ დამახინჯება; · ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; · პლაგიატი.	

ბ. შეაჯამეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე მარჯვენა სვეტში თქვენ მიერ ჩამოწერილი განმარტებები.

4 **წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის რომელი მუხლი დაირღვა თითოეულ შემთხვევაში?**

ა. ჟურნალისტს რედაქტორმა დაავალა, დაეწერა სტატია. ჟურნალისტმა ინტერნეტში ნახა სხვა ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ამ თემაზე, გადმოწერა და რედაქტორს მიუტანა.

ბ. ერთ-ერთ სკოლაში მეცხრეკლასელებმა იჩხუბეს. ჩხუბის ერთი მონაწილე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჟურნალისტმა მოამზადა ტელესიუჟეტი ამ ამბის შესახებ. კადრში კარგად ჩანდა ბავშვი, რომელიც საავადმყოფოში იწვა.

გ. ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ეწერა, რომ გასული კვირის განმავლობაში უამრავი ადამიანი მოიწამლა ქალაქში რძის პროდუქტების ერთ-ერთი მწარმოებელი კომპანიის პროდუქციის მოხმარების გამო. ყველა სხვა გამოცემასა და ტელეგადაცემაში კომპეტენტურმა ორგანოებმა არ დაადასტურეს ეს ფაქტი. შემდეგ დღეებში ჟურნალს ამის შესახებ არაფერი დაუწერია.

დ. ჟურნალისტს ჰყავს მეგობარი, რომელიც, თავის მხრივ, ცნობილ მსახიობთან მეგობრობს. მეგობრის სახლში ყოფნისას მის კომპიუტერში ჟურნალისტმა შემთხვევით აღმოაჩინა ამ ცნობილი მსახიობის სკანდალური ფოტოები და გადმოიწერა. მეორე დღეს კი სკანდალური სტატია დაწერა მსახიობზე და ეს ფოტოები დაურთო.

---

5 **დაიყავით ოთხ ჯგუფად. მოიფიქრეთ ამბავი და შეადგინეთ ინფორმაციის რუკა. თითოეულმა ჯგუფმა თავისი რუკა გადასცეს გვერდითა ჯგუფს (წრიულად), რომელიც შეეცდება, ინფორმაციის რუკის დახმარებით დაწეროს სხვა ჯგუფის მიერ მოფიქრებული ამბავი ჟურნალისტური ეთიკის დაცვით. შემდეგ ფურცელი დაუბრუნეთ ინფორმაციის რუკის ავტორთა ჯგუფს, რომელიც შეამოწმებს, რამდენად სწორად დაწერეთ მათი ამბავი.**

ინფორმაციის რუკა

მეზობელი ჯგუფის მიერ გამოგონილი ამბავი:

თავი IV

თავისუფალი დრო: დასვენება და გართობა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს ძირითადად ყველაფრის გაგება შეუძლია ტურიზმის თემაზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო გადაცემიდან.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს სტატიები, სხვადასხვა ტიპის ტექსტები თემაზე: თავისუფალი დროის განაწილება. გაიზიაროს/არ გაიზიაროს ავტორის პოზიცია.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება;

ალტერნატიული შეხედულებების შეფასება;

შეუძლია რეაგირების მოხდენა სხვათა არგუმენტებზე.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია კარგად ჩამოაყალიბოს და დეტალურად დაწეროს ტექსტი წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

გრამატიკა/ლექსიკა



- სასურველი, მაგრამ არმომხდარი მოქმედება – მეორე თურმეობითი;
- აუცილებელი და შესაძლო მოქმედება – მეორე კავშირებითი;

- მსგავსებისა და განსხვავების გამოხატვა კავშირებით: მაშინ, როცა; ისევე, როგორც; -თან შედარებით.

ბლოკი **1** – როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?

ბლოკი **2** – დაკარგული თამაშები

ბლოკი **3** – ტურისტული მომსახურება საქართველოში

ბლოკი **4** – ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტურიზმი?

ბლოკი 1

როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?

1 **ჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, ვინ სად ატარებს თავისუფალ დროს და რატომ:**

ა. ჩაინიშნეთ სტატისტიკური მონაცემები;

ბ. ჩაინიშნეთ 4-5 რესპონდენტის არგუმენტი.

სტატისტიკა	არგუმენტები
ტელევიზორთან სახლში: 2 ქალაქგარეთ: საცურაო აუზზე:	

გ. ეთანხმებით თუ არა ჯგუფელების მოსაზრებებს? იმსჯელეთ ჯგუფში.

მაგალითად

რიტა მართალია, ბუნებაში დროის გატარება უკეთესია ჯანმრთელობისთვისაც.

გამოიყენეთ ფრაზები:

ვეთანხმები / არ ვეთანხმები;

მე განსხვავებული აზრი მაქვს ამასთან დაკავშირებით;

ნაწილობრივ ვეთანხმები;

ვიზიარებ მის პოზიციას;

ვეთანხმები, თუმცა ...

2 **გაეცანით ტექსტს და შეადარეთ მოცემული სტატისტიკა თქვენს სტატისტიკას: რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის?**

სად ვატარებთ თავისუფალ დროს / რუბრიკა : ქცევა და ჩვევები / ელექტრონული გამოცემა № 94

დაკავებული ადამიანები მუდამ თავისუფალ დროსა და შვებულებას ნატრობენ, სტუდენტები და მოსწავლეები არდადეგებს ელოდებიან მოუთმენლად. OECD (the organisation for Econimic Co-operation and Development) შეეცადა დაედგინა სამსახურის გარდა, რითი არიან დაკავებული სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. მათი მონაცემებით ადამიანები დღე-ღამეში საშუალოდ 10-11 საათს ჭამასა და ძილს უთმობენ, რაც გასაკვირი არცაა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იაპონელებს აქვთ – ისინი მხოლოდ 8-9 საათს იყენებენ ძილისა და ჭამისთვის. დანარჩენი დრო სხვადასხვა სახის მოვალეობებზე ნაწილდება და, როგორც წესი, ადამიანებს დღეში მხოლოდ 2-3 საათი რჩებათ საკუთარი თავისთვის. შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში მთელი სამსაათ-ნახევარიც კი ჰქონიათ სრულიად თავისუფალი.

თუმცა, ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, რაში ვიყენებთ ამ საათებს და არა ის, ზუსტად რამდენი წუთი გვაქვს დღის განმავლობაში. ACT დაინტერესდა, სად ატარებენ საქართველოს მოქალაქეები თავისუფალ დროს და აღმოჩნდა, რომ სახლში ყოფნა ჩვეული ქცევაა მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის.

გთხოვთ, მითხრათ ძირითადად სად ატარებთ თავისუფალ დროს?



რთული სათქმელია, ეს მაჩვენებელი ეკონომიკური ფაქტორებითაა გამოწვეული თუ სხვა მიზეზებით, მაგრამ მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით ამაში საოცარი არაფერია. განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაიწყეს კიდეც ზრუნვა იმაზე, როგორ მოაშორონ ადამიანები ტელევიზორებსა და კომპიუტერებს, როგორ მოწყვიტონ ელექტრონულ სამყაროს. იმედია, საქართველოშიც უფრო მეტი გასართობი დაწესებულება იქნება და მოქალაქეებს სახლიდან გასვლის სურვილი გაუჩნდებათ.

2011 წლის იანვარში გამოიკითხა თბილისისა და საქართველოს დიდი ქალაქების 1200 ზრდასრული მაცხოვრებელი. მონაცემთა სტატისიკური სხვაობა არ აღემატება 2.9%-ს.

3 **ა. როგორ ანაწილებთ თქვენს თავისუფალ დროს? რას უთმობთ მეტ დროს?**

ბ. წაიკითხეთ ტექსტი და შეადარეთ, თქვენ როგორ ანაწილებთ დროს. იმსჯელეთ, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ავტორს?

როგორ გავანაწილოთ ჩვენი თავისუფალი დრო?

30.03.2015 თამთა თოდაძე

„დრო ფულია!“ – ბენჟამინ ფრანკლინი

აღნიშნული ფრაზა, რომელიც ბენჟამენ ფრანკლინმა შემოგვთავაზა, წარმოდგენილი იყო მოთხრობაში „რჩევები ახალგაზრდა საქმოსანს", რომელშიც ის ცდილობდა განემარტა დროის ღირებულება და მისი მნიშვნელობა. როგორ გავანაწილოთ დრო პროდუქტიულად, რომ ჩვენ მიერ დახარჯული დროი შეესაბამებოდეს ფასსა და ღირებულებას. ფასი არის ის, რასაც ვიხდი, ღირებულება კი ის, თუ რა მსურს მივიღო ყოველივე ამისგან. **დრო არის ის, რისი დაბრუნებაც შეუძლებელია!** შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ დროის განაწილებაზე, კარგად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რაში ვკარგავთ ჩვენს ძვირფას წუთებს და რას ვიღებთ ამისგან.

ერთი სრული დღე უდრის 24 საათს. როგორ ვანაწილებთ მას?

1. პირველ რიგში, მნიშვლელოვანია ერთმანეთისაგან გამოვყოთ **აუცილებელი და სასურველი დროის განაწილება**. აუცილებელი ნიშნავს იმ საქმეების ჩამონათვალს, რომლებსაც ვალდებული ხართ, დაუთმოთ თქვენი დღის გარკვეული პერიოდი. ეს შეიძლება იყოს სამსახური, განათლება, ოჯახი და სხვა. თუ ხართ სტუდენტი,ვალდებული ხართ, ყოველ დილით წახვიდეთ უნივერსიტეტში; თუ სამსახური გაქვთ, ვალდებული ხართ, დღის განმავლობაში იმუშაოთ. ვალდებული ხართ, დრო სწორად გადაანაწილოთ.თითოეულ ჩვენგანს გვრჩება თავისუფალი დროც. როდესაც დროს უთმობთ ონლაინსივრცეს და სოციალურ ქსელებს, ეს უკვე სასურველი დროის განაწილებაა. თქვენ არ ხართ ვალდებული, თქვენ უბრალოდ გსურთ. მოცემულ სტატიაში შევეცდები შემოგთავაზოთ, სად შეგიძლიათ გაატაროთ თავისუფალი დრო პროდუქტიულად და ამავდროულად ისიამოვნოთ.

2. **ძვირფასი ადამიანები – ოჯახი და მეგობრები**. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც თქვენი ძვირფასი დროის ნაწილს უთმობთ თქვენთვის ყველაზე საყვარელ ადამიანებს. წარმოიდგინეთ მთელი დღის/კვირის დაძაბული სამუშაო განრიგის შემდეგ თქვენ გარშემო შემოკრებილი წრე, რომელიც ცდილობს სიყვარული და ბედნიერება გაგიზიაროთ. მათთან ერთად თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სხვადასხვა ადგილას, ეს იქნება კინო, თეატრი, ბოულინგი თუ სხვა. მთავარია **დაიმახსოვროთ! წუთი – ეს ის ფენომენია, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია! შესაბამისად, ის არის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი საგანძური, ამიტომ გადაიხადეთ ის იმ ადამიანებში, რომლებიც გიყვართ!**

3. **საკუთარ თავზე მუშაობა** – თავისუფალ დროს თქვენ შეგიძლიათ ისეთი რამით დაკავდეთ, რაც ყოველთვის გინდოდათ ან გიზიდავდათ. მაგალითად, ყოველთვის გსურდათ გესაუბრათ ესპანურ ენაზე, გევლოთ სპორტულ დარბაზში, რათა სასურველი სხეულის ფორმა შეგენარჩუნებინათ ან შეგესწავლათ, როგორ უნდა იცეკვოთ ტანგო. თავისუფალი დრო გაძლევთ იმის საშუალებას, რომ ყველა თქვენი სურვილი და ფანტაზია რეალობაში განახორციელოთ. ნუ დაელოდებით ხვალინდელ დღეს, **დაიმახსოვრეთ, ეს თქვენ გძინავთ და არა დროს, ის წარმავალია!**

4. **ქალაქგარეთ გასვლა და დასვენება** – მე ძალიან მშურს საზღვარგარეთ მცხოვრები ხალხის, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში დაუზოგავად შრომობს, ხოლო შაბათ-კვირას ცდილობს ქალაქგარეთ ე.წ. „weekend“ მოიწყოს. საქართველოში ეს კულტურა უფრო და უფრო იხვეწება, თუმცა, ჯერ ბოლომდე ვერ დამკვიდრდა. როდესაც ვსაუბრობთ საყვარელ ადამიანებთან ერთად დროის გატარებაზე, წარმოიდგინეთ, რა ჯობია ზაფხულის მზიან დღეებს ან მათთან ერთად გუნდაობას ზამთრის ცივ დღეებში ქალაქგარეთ, იქ, სადაც ყოველდღიურ ვალდებულებებს და რუტინას ტოვებთ.

5. **სოციალური ქსელებისათვის დათმობილი დროის შეზღუდვა** – 21-ე საუკუნეში ყველაფერი ძალიან შეიცვალა, თითქოს ონლაინ ურთიერთობებმა ჩაანაცვლა რეალური ცხოვრება. ადამიანები ძალიან დიდ დროს უთმობენ სოციალურ ქსელებს, მათ შეუძლიათ მთელი საღამო იყვნენ Facebook-ზე და აზიარებდნენ სხვადასხვა ინფორმაციას, აკომენტარებდნენ სურათებს ან უბრალოდ ესაუბრებოდნენ მათთვის ძვირფას ადამიანებს ვირტუალურად. **დაიმახსოვეთ! სასაუბროდ არაფერია იმაზე ძვირფასი, როდესაც ადამიანს პირადად ესაუბრები, მასთან ერთად ატარებ დროს!** ონლაინ ურთიერთობები მაშინაა რეკომენდებული, როდესაც მანძილი გაშორებთ, სხვაგვარად უკეთესია მასთან იყო, ვიდრე მასთან ახლოს – კომპიუტერით. კომპიუტერთან უბრალოდ ჯდომით დახარჯული წუთები, ეს ფუჭად დახარჯული დროა, რომელიც ბევრად უფრო პროდუქტიულად შეგიძლიათ გამოიყენოთ.

4 **ა. ტექსტის მე-2 და მე-3 აბზაცებიდან ამოიწერეთ აუცილებელი და შესაძლო მოქმედებები:**

აუცილებელი მოქმედება	შესაძლო მოქმედება
• ვალდებული ხართ, წახვიდეთ უნივერსიტეტში	• .....
•	• .....
•	• .....

ბ. ცხრილის მარცხენა სვეტში ჩაწერილ წინადადებებში იპოვეთ ზმნური წყვილები:

მაგალითად

ვალდებული ხართ, გადაანაწილოთ.

გ. რომელი ზმნით შეიძლება შეიცვალოს აუცილებელი მოქმედების გამოხატვისას პირველი ზმნა? რომელი ზმნით შეიძლება შეიცვალოს შესაძლო მოქმედების გამოხატვისას პირველი ზმნა?

შეავსეთ წესი:

აუცილებელი მოქმედება გამოიხატება აუცილებლობის გამომხატველი ფრაზით ან „უნდა“ ზმნით და ძირითადი ზმნის მეორე კავშირებითის ფორმით.

შესაძლო მოქმედება გამოიხატება .... გამომხატველი ფრაზით ან .... ზმნით და ძირითადი ზმნის .... ფორმით.

დ. რა საერთო აქვს აუცილებელი და შესაძლო მოქმედების გამომხატველ ძირითად ზმნებს?

---

5 ა. წაიკითხეთ მეოთხე აბზაცი და იპოვეთ ზმნები, რომლებიც სასურველ, მაგრამ არმომხდარ მოქმედებებს გამოხატავს.

ბ. დააკვირდით ამ ზმნებს: რა აქვთ მათ საერთო ფორმის მხრივ? გამოყავით საერთო მორფემები და შეავსეთ წესი:

სასურველი, მაგრამ არმომხდარი მოქმედება
მეორე თურმეობითი

… + ….. + ზმნის ძირი + მწკრივის ნიშანი

ბლოკი 2

დაკარგული თამაშები

1 ა. დააკვირდით სურათებს და გაიხსენეთ, თამაშის რომელი სახეობები გეცნობათ?

წყარო: http://aww.ge/miviwyebuli-tamashebi-romlebzec-taobebi-gaizardnen-tqveni-shvili-tamashobs-mat/)

ბ. ქვემოთ მოცემული თამაშის დასახელებები მიუსადაგეთ სურათებს.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

1. რეზინობანა - გოგონებისათვის საყვარელი თამაში, რომლის მთავარი ატრიბუტი რეზინაა.

2. დაჭერობანა - ერთი გარბის, მეორე იჭერს.

3. კლასობანა - ადრე ძალიან პოპულარული თამაში იყო. ასფალტზე დახატულია კუბიკები, რომლებზეც აწერია ციფრები და მასზე თამაშობენ. მთავარია ქვა მოახვედრონ ერთ-ერთ კვადრატში.

4. დახუჭობანა - ერთ-ერთი მოთამაშე ხუჭავს თვალებს, სხვები იმალებიან და შემდეგ ვინც დაიხუჭა, ის ეძებს დანარჩენს.

5. წრეში ბურთი - ორი მოთამაშე დგას ერთმანეთის პირისპირ გარკვეულ მანძილზე და შუაში მდგომ ერთ ან რამდენიმე მოთამაშეს ესვრის ბურთს. თამაშისას მთავარია ბურთი არ მოგხვდეს!

6. ვისი სული გსურს - ცოცხალ ჯაჭვს თუ გაარღვევ, ყველაზე მაგარი ხარ.

2 ისაუბრეთ, კიდევ რომელი თამაში გასხენდებათ, რომელიც დღეს აღარ არის აქტუალური? აღწერეთ თამაშის წესი.

3 წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და მონიშნეთ სწორი პასუხები:

თამაში ჭვავის ყანაში – ზაფხული და თავისუფალი დრო

ახლა თბილისში ძალიან ცხელი აგვისტოა. მე, ზაზა და გიოც დასვენებისთვის ვემზადებით. გიო ჩემი 4 წლის შვილია. ვფიქრობ, ცოტა ხანს ზღვაზე გავუშვა, მერე იქნებ რომელიმე გრილ კურორტზეც წავიყვანო, თუმცა ყველაზე მეტად რომელიმე სოფელში მინდა დიდი, მწვანე ეზო და უამრავი ინტერაქტიული თამაში.

კომპიუტერის სახლში დატოვება არ გამოვა, მეტისმეტად ბევრი სამუშაო მაქვს, მაგრამ აუცილებლად დავმალავ ლეპტოპს და ვეცდები, მხოლოდ მაშინ ვიმუშაო, როდესაც გიო დაიძინებს, თორემ ხომ იცით? მულტფილმები, კომპიუტერული თამაშები... და გამოვა, რომ სულ ტყუილად შევარჩიე მთიანი სოფლის ულამაზესი სახლი თავისი დიდი და მწვანე ეზოთი – გიორგის ზაფხული კომპიუტერთან გაივლის...

გეცნობათ არა? ძალიან ბევრი მშობელი სვამს შეკითხვას, რატომ აღარ თამაშობენ ჩვენი შვილები ეზოში, თანატოლებთან ერთად, რატომ ურჩევნიათ კომპიუტერ-აიპედ-აიფონები. რატომ იკარგებოდა ძველად თამაშები და რატომ ქრება ახლაც? რატომ გვავიწყდება ჩვენი ბავშვობის თამაშები?

თქვენ გახსოვთ, რას თამაშობდით ზაფხულობით? მე – მხოლოდ რამდენიმე თამაში, ისიც ფრაგმენტულად.

ხუთქვაობანა? – ცარცით იხატებოდა რამდენიმეგანყოფილებიანი კვადრატი, შუაში - წრეში, ერთმანეთზე ეწყობოდა ქვები და ბურთით უნდა დაგვენგრია ეს ქვის გორა. მერე რა ხდებოდა, აღარ მახსოვს.

რეზინობანა? – ოხ, დღესაც მაკანკალებს ამ თამაშის გახსენებაზე, ყველა ჩემი დიდი კომპლექსი სწორედ ამ თამაშის ბრალია.

წრეში ბურთი, ორდროშობანა, დახუჭობანა, ციფრობანა, დაჭერობანა, კლასობანა, ვისი სული გსურს, ამის პატრონმა რა ქნას და კიდევ მრავალი თამაში…

ნეტავ სად წავიდა ეს თამაშები?

ან ჩვენი მშობლების დროინდელი თამაშები (თუ თამაშობები) სად წავიდა?

პასუხის გასაცემად ისევ დიალექტურ კორპუსს მივადექი:

ერთი საინტერესო ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ თამაშობდნენ ბურთს სოფელ ბახვში:

„სააღდგომოდ ბურთის თამაშობა ვიცოდით. ბურთის თამაშობა ასე იყო: ზედოურები და ქვედოურები ჯგუფებად იყო დაყოფილი. შეაგდებდნენ ბურთს და იწყებდნენ ტრიალს. ტრიალებდნენ, ტრიალებდნენ... როდესაც დაინახავდნენ გამქცევს, მაშინვე გადაუგდებდნენ იმას ბურთს. ის გაიქცეოდა, მაგრამ რას გაიქცეოდა! გაფრინდებოდა ბურთიანად. ერთი იყო თენეიშვილი, იმას ვერც ერთი კაცი ვერ ეწეოდა, ცხენს ასწრებდა. ცხენზე ენიძლავებოდა ხალხს და უგებდა კიდეც. ის თუ წაიღებდა ბურთს, გაჩერდებოდა თამაში იმიტომ, რომ მაინც ვერ დაეწეოდნენ და ვერ წაართმევდნენ ბურთს.”

ვკითხულობ დიალექტურ ტექსტებს, მხატვრულ ლიტერატურას, ვიხსენებ ჩემი ბავშვობის თამაშებს, ვეკითხები სხვებსაც – მინდა კარგად დავგეგმოთ ჩვენი არდადეგების სულ რამდენიმე დღე, როცა მე ჩემს ბავშვობაში დავბრუნდები, გიოს კი მშობლებსა და თანატოლებთან გართობის ბედნიერი დღეები ექნება. მთავარია, არ დაგვეზაროს და ისევ კომპიუტერებს არ მივუსხდეთ.

წყარო: http://mastsavlebeli.ge/?p=3407

- ❑ ბლოგერის სურვილია, მისმა შვილმა არდადეგების დროს ითამაშოს ეზოში, თანატოლებთან ერთად.
- ❑ ბლოგის ავტორი თვლის, რომ კომპიუტერი აუცილებელი ნივთია, რომლის გარეშეც დასვენება წარმოუდგენელია.
- ❑ დასვენების უკეთ დასაგეგმად, ბლოგერი იხსენებს ბავშვობის თამაშებს.

4 ტექსტის მიხედვით უპასუხეთ, სწორია თუ არა:

1. ბავშვი რომ მხოლოდ კომპიუტერით არ გაერთოს, მშობელთან ერთად უნდა ითამაშოს სხვა თამაშები.

_____

2. ძველად ბავშვები უფრო მეტად თამაშობდნენ ინტერაქტიულ თამაშებს, რადგან მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ.

_____

3. ყველა თაობა კარგავს მისთვის დამახასიათებელ თამაშებს.

_____

4. არდადეგებზე სოფელში წასვლით თავიდან ავიცილებთ კომპიუტერთან თავისუფალი დროის გატაებას.

_____

5 ა. გადაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და აღწერეთ ავტორის გეგმები არდადეგებთან დაკავშირებით (კურორტები, დროის გატარების საშუალებები...).

ბ. რამდენად მისაღებია თქვენთვის დროის ასე გატარება? თქვენ რას გეგმავთ არდადეგების / შვებულების დროს?

6 აღწერეთ თქვენი სიტყვებით ტექსტში ნახსენები ძველებური სააღდგომო ბურთის თამაში:

7 დაიყავით ორ ჯგუფად, რვეულის მე-3 დავალებაში შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით წარმართეთ დისკუსია თემაზე: „მივიწყებული თუ თანამედროვე თამაშები?"

ბლოკი 3

ტურისტული მომსახურება საქართველოში

1 დააკვირდით რუკას და გამოთქვით ვარაუდი, რა საერთო აქვს რუკაზე შემოხაზულ ადგილებს?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.1) და შეავსეთ მონაცემები:

განთავსების ობიექტებში 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ტურისტთა რაოდენობის ზრდა.	გასულ წელთან შედარებით - ..... % ბოლო ერთ თვეში - .....
საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ივნისის თვეში.	.....
საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა წინა წლის ივნისის თვესთან შედარებით.	.....

3 ნიმუშის მიხედვით იპოვეთ წინადადებების წყვილებს შორის მსგავსება და განსხვავება. მსგავსება (=), ხოლო განსხვავება (≠) სიმბოლოთი აღნიშნეთ.

ნიმუში: ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით გამოიკითხა ბაზარზე არსებული 7 ტურისტული კომპანია. გამოკითხვამ აჩვენა, რომ როგორც შარშან, ასევე წელს პოპულარულია თურქეთის, ეგვიპტისა და დუბაის ტურები.

შარშან = წელს

ა. ქართველებისთვის, ყველაზე პოპულარული ტურებია ეგვიპტე და თურქეთი მაშინ, როცა უცხოელები უპირატესობას ანიჭებენ კახეთის, იმერეთისა და აჭარის ტურებს.

……..... ☐ ……..... ...მაშინ, როცა...

ბ. კომპანია ,,GO TOUR"-ი მომხმარებელს სთავაზობს ტურებს როგორც მსოფლიოს გარშემო, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

…… ☐ …… როგორც..., ასევე...

გ. წელს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები გვაქვს, შარშანდელთან შედარებით უფრო მეტ ტურისტს ველოდებით.

…… ☐ …… წელს, ... შარშანდელთან შედარებით უფრო

4 წაიკითხეთ ტექსტის დასაწყისი მომხმარებელთა კვლევის შედეგების ანალიზის შესახებ. რომელ ძირითად ტენდენციებს გამოჰყოფთ?

მაგალითად

დასვენების პერიოდის ხანგრძლივობა...

ტურიზმის სფეროს მომხმარებელთა კვლევისას ჩატარდა როგორც სატელეფონო, ასევე ანკეტების საშუალებით გამოკითხვა. ტელეფონით გამოჰკითხეს 800-მდე რესპონდენტი, ხოლო კითხვარების მეშვეობით – 300.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმრავლოსობამ, კერძოდ 88%-მა, დაისვენა ზაფხულში. ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს კავშირი, რომელიც შეინიშნება დამსვენებელთა რაოდენობასა და ასაკობრივ ჯგუფებს შორის, დამსვენებელთა ნახევარზე მეტი, კერძოდ კი 57% 25 წლამდე ასაკისაა, 30% – 20-50 წლის და დამსვენებლების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, მხოლოდ 13%, დაფიქსირდა 50 წლის ზევით ადამიანებში.

ზოგადად დამსვენებელთა უმრავლესობა (68%) ისვენებდა ორი კვირა ან მეტი, გამოკითხულთა 10% – ერთი კვირა, დანარჩენი 22% კი – 10 დღე.

საინტერესოა მაჩვენებლები დასვენების ადგილის მიხედვით. აშკარად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ დასასვენებელ ადგილებს შორის ლიდერობს კურორტი. თუ მოცემულ მონაცემებს განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ ეტაპზე ყველაზე მეტი ადამიანი, გამოკითხულთა 59%, ისვენებს კურორტზე.

მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს საზღვარგარეთ წასვლას და დასვენებას, ამიტომ ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს სასარგებლოდ და ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ტურიზმის სათანადოდ განვითარებას.

დამსვენებელთა ხვედრითი წილი რესპონდენტებში



საინტერესოა ის ფაქტი, რომ კურორტზე დამსვენებელთა უმრავლესობა – 72% ცხოვრობდა ნაქირავებ სახლში, 16% – საკუთარ სახლში და მხოლოდ 12% ცხოვრობდა სასტუმროში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სასტუმროებში მომსახურება არასათანადოდაა განვითარებული და, შესაბამისად, მომხმარებელიც არ ჰყავს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მაღალი ფასებით, ასევე მომსახურების საჭირო დონის არარსებობით, ანუ ფასსა და მომსახურებას შორის შეუსაბამობით, ან უბრალოდ სასტუმროთა სიმცირით საკურორტო ადგილებში და ა.შ.

5 **სქემაზე მონაცემული მონაცემების მიხედვით ისაუბრეთ, როგორია დამსვენებელთა პროცენტული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით.**



6 **ა. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ, რა შეიძლება იყოს იმისი მიზეზი, რომ ამა თუ იმ რეგიონში დამსვენებელთა მეტი რაოდენობაა, ვიდრე სხვა დანარჩენში?**

ბ. წაიკითხეთ კვლევის გაგრძელება და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდები:

ჩატარებული კვლევის მიხედვით შეგვიძლია ერთმანეთს დავუკავშიროთ, რამდენად არის დატვირთული რეგიონები ვიზიტორებით და როგორია მათზე მოთხოვნა. უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებლები საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანეთში გამოკითხულთა მხოლოდ 1%-მა დაისვენა და ამავე დროს რესპონდენტთა 18%-ს აქვს სურვილი დაისვენოს ამავე რეგიონში. თუ კი სვანეთში არსებულ მდგომარეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ვიზიტორთა დაინტერესების მხრივ პოტენციალი მას მართლაც გააჩნია, რადგან რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ერთად 14 კურორტი, 140 სამკურნალო წყალი და 561 კულტურული ძეგლია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, ფაქტობრივად, ჩვენს შემთხვევაში, ორი გაერთიანებული რეგიონის ფარგლებში მხოლოდ 17 სასტუმროა. განსაკუთრებით დიდი პრობლემა, რის გამოც, სავარაუდოდ, პოტენციური ვიზიტორები ვერ ახერხებენ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას და სვანეთის მონახულებას გახლავთ ის, რომ ამ რეგიონში მთლიანად მოშლილია საგზაო ინფრასტრუქტურა. იგივე შეიძლება ითქვას რაჭასთან დაკავშირებითაც, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ 6%-მა დაისვენა, დასვენების სურვილი კი 24%-მა გამოთქვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარა ამ კუთხითაც ინარჩუნებს ლიდერობას და მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 38%-მა სწორედ აჭარაში დაისვენა, 20%-ს კვლავ სურს ამ რეგიონში დასვენება. ეს მაჩვენებელი არც არის გასაკვირი, რადგან აჭარაში ვიზიტორებს ზღვა და საკმაოდ მომხიბვლელი გარემო იზიდავს. როგორც ვიცით, მოცემულ რეგიონში 6 კურორტი, 44 ძეგლი და 38 სამკურნალო წყალია. ამასთანავე, სასტუმროების რიცხვი არ არის ცოტა (37), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობას და რეგიონის პოტენციალს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული რიცხვიც საკმარისი არ არის.

რეგიონებში ვიზიტორთა რაოდენობასა და მათ მოთხოვნას შორის თანაფარდობა



საკმაოდ საინტერესოა ის, რომ რესპონდენტთა 15%-მა გამოთქვა აფხაზეთში დასვენების სურვილი. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რამდენად დიდი პოტენციალი გააჩნია აფხაზეთს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით (38 ძეგლი, 19 კურორტი და 72 სამკურნალო-გამაჯანსაღებელი წყალი), გარდა ამისა, საქართველოს სხვა ზღვისპირა რეგიონებისგან განსხვავებით, აქ საზღვაო სეზონი უფრო დიდხანს – 5 თვეს გრძელდება, მაგრამ გარკვეული ცნობილი გარემოებების გამო აღნიშნული პოტენციალის გამოყენება ვერ ხერხდება.

რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, განსაკუთრებული ინტერესი რომელიმე კუთხის მიმართ არ დაფიქსირებულა. უფრო მეტიც, ქვემო ქართლის რეგიონში დასვენების მსურველთა რაოდენობა ნულია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს მოსახლეობის არაინფორმირებულობით ქვემო ქართლის პოტენციალთან დაკავშირებით, კერძოდ ამ რეგიონში არის 7 კურორტი, 59 სამკურნალო წყალი და თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი რაოდენობის – 289 კულტურული ძეგლი.

გ. კვლევის ავტორის აზრით, რა არის მთავარი ხელის შემშლელი მიზეზი იმისა, რომ, სურვილის მიუხედავად, დამსვენებლები არ ჩადიან:

სვანეთსა და რაჭაში _____

ქვემო ქართლში _____

დ. აკმაყოფილებს თუ არა ტურიზმის პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით მოთხოვნებს აჭარაში არსებული მდგომარეობა? რატომ?

_____

7 **დაიყავით ჯგუფებად და გაინაწილეთ კვლევის მონაცემების სქემატური აღწერილობები (ა, ბ, ...). შეადგინეთ ტექსტი სქემების მიხედვით და წარუდგინეთ დანარჩენ ჯგუფებს.**

_____

_____

ა. ტრანსპორტი

სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა



მომხმარებელთა კმაყოფილება სატრანსპორტო საშუალებებით



ბ. დანახარჯები

ტურისტთა დანახარჯები 1 წლის განმავლობაში





გ. კურორტების მახასიათებლები





ბლოკი 4

ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტურიზმი?

1 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.2) და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რატომ ურჩევნია ანას სამოგზაუროდ წასვლა დამოუკიდებლად, ტურისტული კომპანიის დახმარების გარეშე?

ბ. ტურიზმის გაყიდვების მენეჯერის აზრით, რატომ ირჩევენ ქართველი მომხმარებლები ტურისტული სააგენტოთი მოგზაურობას?

2 რატომ არ სარგებლობს ანა ტურისტული სააგენტოების მომსახურებით?

3 რა ტიპის ტურის შეთავაზება არის საჭირო ანასნაირი ტურისტებისთვის? აღწერეთ, როგორია ასეთი ტური?

4 გამართეთ დისკუსია, რა გზით ჯობს შემდეგ ღონისძიებებზე მოხვედრა:

ა. ევროპის ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში ბარსელონაში;

ბ. პოლ მაკარტნის კონცერტი მიუნხენში.

გამოიყენეთ სასურველი მოქმედების აღმნიშვნელი ფრაზები:

წავიდოდი ტურისტულ სააგენტოში …	შევუკვეთავდი ბილეთს ონლაინ …

თავი V

მუსიკა, სიმღერა, ცეკვა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს ხელოვნების თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟიდან.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და დეტალურად გაიგოს მხატვრული ხასიათის ტექსტი, საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ლექსიკონი; გამოკვეთოს ავტორის პოზიცია.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება;

მას ასევე შეუძლია რეაგირების მოხდენა სხვათა არგუმენტებზე.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია ხელოვნების თემის შესახებ დეტალური ტექსტების დაწერა, სხვადასხვა პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა.

გრამატიკა/ლექსიკა



- უარყოფითი მიმღეობა
- დონიანი ვნებითი
- კაუზატივი ა-პრეფიქსით

ბლოკი **1** – მუსიკოსი

ბლოკი **2** – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ბლოკი **3** – თანამედროვე ქართველი მუსიკოსები

ბლოკი **4** – სუხიშვილები

ბლოკი 1

მუსიკოსი

1 **ა. რომელ ინსტრუმენტზე დაკვრას ისწავლიდით? რატომ?**

ვიოლინო	საქსაფონი
ტუჩის გარმონი	გიტარა
ფორტეპიანო	კლარნეტი
დოლი / ტამტამი	ჩელო

ბ. დააჯგუფეთ ეს ინსტრუმენტები რაიმე ნიშნის მიხედვით ორ ჯგუფად:

კრიტერიუმი	ა	ბ	გ	დ
ინსტრუმენტები				

2 **წაიკითხეთ ტექსტი და გამოთქვით თქვენი მოსაზრება, რატომ არ მოსწონდათ მეზობლებს ტუჩის გარმონზე დამკვრელი მუსიკოსი?**

მუსიკოსი

(ნაწყვეტი)

– ის ჩემი მეზობელია, – თქვა ნუგზარმა. – მაშინ ყველანი მუსიკოსს ვეძახდით. ამ დაძახებაში არ იგრძნობოდა ის პატივისცემა, რომელსაც რატომღაც იწვევენ მუსიკოსები. ალბათ იმიტომ იწვევენ, რომ არის მათში რაღაც ისეთი, რაც აიძულებთ იყვნენ მუსიკოსები და არა, ვთქვათ... რა ვიცი, რამდენი სხვა პროფესიაა... ჰო, ამ დაძახებაში პატივისცემა კი არა, დაცინვა იგრძნობოდა. ალბათ, იმიტომ, რომ იმ ინსტრუმენტზე უკრავდა.

– რომელ ინსტრუმენტზე? – ვკითხე მე.

– ტუჩის გარმონზე უკრავდა... ჩვენ ყოველთვის ვბრაზდებოდით, როდესაც ის უკრავდა... რაღა რატომღაც – წარმოიდგინე ტუჩის გარმონზე <u>დაუმთავრებელი</u> დაკვრის მოსმენა... ამ ინსტრუმენტის ხმას მეზობლები სხვადასხვანაირად ვეძახდით – ზოგი წრიპინს, ზოგი ჩხავილს, ზოგიც წრუპუნს... უფრო ეს სიტყვა მიგვაჩნდა შესაფერისად – წრუპუნი. მას შეეძლო <u>დაუსრულებლად</u> დაეკრა თავის ინსტრუმენტზე. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა ეს. ის რაღაც სხვანაირად უკრავდა. რატომღაც ყოველთვის ირჩევდა სევდიან მელოდიას. უკრავდა ხანგრძლივი ჩაბერვით. ყოველი შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი მის კისერზე, მკრთალი ძარღვი – შუბლზე და ასე დაუსრულებლად...

ეზოში მეორე მუსიკოსიც გვყავდა, ნამდვილი მუსიკოსი. ის ვიოლინოზე უკრავდა. ის უფრო ხშირად უკრავდა, მაგრამ არავინ ბრაზდებოდა – ის ნამდვილი მუსიკოსი იყო. მეზობლებიდან ზოგს მართლა უყვარდა ვიოლინო, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერ გამოხატავდა საყვედურს – იცოდა, რომ ვიოლინო აღიარებუ-

ლი ინსტრუმენტი იყო. სამაგიეროდ, ისიც ყველამ იცოდა, რომ ტუჩის გარმონი არ იყო ასეთი ინსტრუმენტი და ყველა იძახდა, რომ ყურისწამღები იყო ეს ,,დაუმთავრებელი წრუპუნი". სიმართლე რომ ითქვას, ის არ უკრავდა ძალიან ბევრს, არ უკრავდა დაუსრულებლად: დაკვრა მაშინვე წყდებოდა, როდესაც გაისმოდა ვიოლინოს ხმა. ტუჩის გარმონის ხმა მაშინვე იკარგებოდა.

ვიოლინოს გაგონებაზე, თითქოს იმალებაო. მევიოლინე უკრავდა გამებს, რთულ პასაჟებს, მერე ეტიუდებს და მთელ კონცერტებს. ჩვენც ვიყურებოდით იქით, საიდანაც მოდიოდა ბგერები და გვეჩვენებოდა, რომ ფანჯარა უკრავდა. როდესაც მევიოლინე ამთავრებდა დაკვრას, ეზოში ათიოდე წუთით სიჩუმე იყო. მერე შემპარავად იწყებდა დაკვრას მუსიკოსი. ისმოდა ლამაზი, სევდიანი მელოდია, მაგრამ ჩვენ მაინც გვეჩვენებოდა, რომ მისი ფანჯარა ,,წრუპუნებდა". ყველა იწყებდა ლაპარაკს: იძახდნენ, რომ მუსიკოსმა გააჭირა საქმე, რომ წაიღო ყურები, რომ აღარაა მისგან საშველი... ერთ დღეს ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი შემოვიდა ეზოში და გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა. მეზობელს ვიოლინოც სძულდა. ის საერთოდ უკმეხი იყო და იმ დროს, მგონი, ცოტათი მთვრალიც. ,,შენ ეი, მუსიკოსო!" – დაიღრიალა მან. ფანჯარაში მუსიკოსი გამოჩნდა. ,,რა გნებავთ?" ,,გააჩერე რა, თუ ღმერთი გწამს, ნუ წაიღე ყურები". ეს პირველად ხდებოდა, როდესაც მუსიკოსს პირში ეუბნებოდნენ საყვედურს. ,,რას გიშლით?" – ჰკითხა მუსიკოსმა. ,,როგორ თუ რას!.. აღარაა მოსვენება". მეზობელი ცოტათი მთვრალი იყო. ,,კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ორ გარმონზე ერთად <u>დაუკრავდი</u>", – თქვა მეზობელმა და მიმოიხედა – უნდოდა ჩვენს სახეებზე ამოეკითხა, როგორ მივიღებდით მის ენამოსწრებულობას. ,,ერთი ხელითაც შემიძლია ორი გარმონის დაჭერა", – სცადა ხუმრობა მუსიკოსმაც. ,,კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ოთხი გარმონით დაუკრავდი!" – დაიყვირა მეზობელმა, მოეწონა ნათქვამი და აღფრთოვანებით გამოიხედა ჩვენსკენ. პირველად ზოგს მოეწონა ხუმრობა, მთქმელიც კი. მუსიკოსი ნაწყენი ჩანდა და ცდილობდა ეთქვა რაიმე. ვერაფერი თქვა და შებრუნდა ოთახში.

იმ დღეს ყველანი ველოდით, როდის გავიგონებდით მისი ინსტრუმენტის ხმას, მაგრამ ფანჯარა დუმდა.

გურამ დოჩანაშვილი

3 **შეავსეთ ცხრილი ინფორმაციით ტექსტში ნახსენები ორი მუსიკოსის შესახებ:**

	შესრულებული ნაწარმოებები ტიპები	მეზობლების დამოკიდებულება
ტუჩის გარმონზე დამკვრელი მუსიკოსი		მის დაკვრას ეძახდნენ წრიპინს ....
მევიოლინე		

4 **დააკვირდით ტექსტს და კონტექსტიდან გამომდინარე განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს:**

ა. ენამოსწრებულობა

ბ. უკმეხი

რა დაგეხმარათ ამ სიტყვების მნიშვნელობის განმარტებაში?

5 ა. იპოვეთ ტექსტში სინონიმი მიმღეობისა:

დაუმთავრებელი (დაკვრა) –

ბ. იპოვეთ, რომელი საწყისებისგან არის ნაწარმოები ეს ორი სინონიმური მიმღეობა:

გ. „ბ“ დავალებაში ნაპოვნი საწყისებისგან აწარმოეთ მოცემული დადებითი ფორმის მიმღეობები და გამოყავით მორფემები:

მაგალითად

გა-კეთ-ებ-ა ⇒ გა-კეთ-ებ-ულ-ი

დ. დააკვირდით საწყისებსა და მიმღეობებს და ჩამოაყალიბეთ წესი:

დამთავრება – დაუმთავრებელი
დასრულება – დაუსრულებელი

საწყისი: → უარყოფითი მიმღეობა

ზმნისწინი + ძირი + ებ-ა ზმნისწინი … …. … … …

6 აღწერეთ ნუგზარის (მთხრობელის) დამოკიდებულება:

ა. ზოგადად მუსიკოსების მიმართ;

ბ. ტუჩის გარმონზე დამკვრელი მუსიკოსის მიმართ.

7 დაიყავით ჯგუფებად და დაწერეთ ამ ისტორიის გაგრძელება.

ბლოკი 2

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი

1 დააკვირდით ფოტოებს და მეწყვილესთან ერთად დასვით შეკითხვები, რომლებზეც ისურვებდით პასუხის მიღებას ამ ფოტოებიდან გამომდინარე:

ა.

ბ.

გ. _____





2 **მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (5.1) და დაწერეთ, რა ინფორმაცია გაიგეთ თითოეული ფოტოს შესახებ:**

ა. _____

ბ. _____

გ. _____

3 **ვიდეოჩანაწერის (5.1) მიხედვით დანომრეთ ფრაზები თანამიმდევრობით:**

- ◯ ოპერამ შეინარჩუნა ფსევდო-მავრიტანული სტილი.
- ◯ 12 აპრილს ოპერისა და ბალეტის თეატრში ფარდა საზეიმოდ გაიხსნა იტალიელი მუსიკოსების სცენაზე გამოსვლით.
- ◯ ეს კულტურული ბედნიერება მხოლოდ 23 წელს გაგრძელდა.
- ◯ ესკიზის მიხედვით სერგო ქობულაძის ფარდა თავიდან შეიქმნა.
- ◯ შენობა იმდენად დაზიანდა, რომ მისი სხვა ადგილას აშენება გადაწყდა.
- ◯ 22 წლის შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე ოპერისა და ბალეტის ახალი თეატრი აშენდა.
- ◯ განადგურდა სანოტო ბიბლიოთეკა.
- ◯ რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნის კვირეული.
- ◯ ალექსანდრე დიუმა წერს, რომ ბევრ თეატრში ყოფილა, მაგრამ ასეთი თვალწარმტაცი ნაგებობა, როგორიც თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრია, ჯერ არსად უნახავს.
- ◯ 3 ნოემბერს საოპერო ცხოვრება თავიდან დაიწყო.
- ◯ ხანძარს შეეწირა სერგო ქობულაძის ისტორიული ფარდა.

4 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (5.1) კიდევ ერთხელ და გაარკვიეთ:

ა. რა ჰქვია დღეს გოლოვინის პროსპექტს?

ბ. რა სტილით იყო აშენებული ოპერის პირველი თეატრი და რა სტილით – მეორე თეატრი?

გ. ვის ეკუთვნის ფრაზა: "ჩემი ცხოვრების მანძილზე მე თითქმის ყველა თეატრი მოვინახულე, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება სილამაზით თბილისის თეატრს".

5 ა. ამოწერეთ ვიდეოჩანაწერიდან (5.1) წინადადებები, რომლებშიც ეს ზმნები გვხვდება:

დააზიანა დაზიანდა

ბ. რა განსხვავებაა ამ ორ ზმნას შორის?

გ. გაიხსენეთ და ჩაწერეთ ცხრილში მსგავსი ფორმის ზმნები:

ზიან-**დ**-ებ-ა / დაზიან**დ**ა	ა-ზიან-**ებ**-ს / დაა**ზ**იანა

დ. დააკვირდით ცხრილში ამოწერილ ზმნებს და განსაზღვრეთ, რა ფუნქცია აქვს ამ ზმნებში შემდეგ აფიქსებს:

- -დ სუფიქსი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც _____

_____

- ა- პრეფიქსი გამოხატავს მოქმედებას, _____

_____

ბლოკი 3

თანამედროვე ქართველი მუსიკოსები

ირაკლი ჩარკვიანი (1961-2006) – ქართველი მუსიკოსი, პოეტი და მწერალი. მოღვაწეობის ბოლო წლებში ცნობილი იყო ფსევდონიმით „მეფე“.

1 **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ერთი წინადადებით „რა აშფოთებს ირაკლი ჩარკვიანს“.**

_____

_____

რა აშფოთებს ირაკლი ჩარკვიანს?

1. ვფიქრობ, დღეს ისეთი მუსიკოსი, რომელიც, ასე თუ ისე, მწვავედ ასახავს დღევანდელ რეალობას და, ამავე დროს, მის შემოქმედებაში კომერციის ელემენტებიც შეიმჩნევა, არის ირაკლი ჩარკვიანი. მის ბოლო ნამუშევარში, რომელსაც ჰქვია „ამო“, არის ანალოგიური სახელწოდების სიმღერა. სიმღერაში ირაკლი ამბობს:

„ჭერს, ნუღარ უყურებ ჭერს,
თუ არ უშველი თავს,
არავინ გაგიღებს კარს.
წელს, აღარ ახსოვხარ ძველს,
შენ, დღეს ვერ გადაგარჩენს „ხვალ“,
შენ, ვერ გააღვიძებ ხალხს,
თუ არ გაანძრევ ხელს და არ გატეხავ კარს.
და მერე თუ არ მიაჭერ გაზს,
ისევ დაგიჭერს ის,
ვინც ვერ უშველა თავს.”

ირაკლი ყოველთვის თვითონაა საკუთარი სიმღერების ტექსტის ავტორი და ეს ტექსტები ხშირად სწორედ სოციალური ჟღერადობისაა.

2. ირაკლი ჩარკვიანი: „თანამედროვე ქართული მუსიკა დღეს ნაკლებად პრობლემატურია, არადა მეტი სოციალური მუხტი უნდა იყოს, რადგან ირგვლივ ბევრი სიმწვავეა. ახალგაზრდები ამას არ გამოხატავენ თავიანთი შემოქმედებით. მათი მიდგომა მუსიკის მიმართ ძალიან კომპრომისულია, რაც, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელიცაა. ყოველ შემთხვევაში, მე მგონი, ეს ჩვენი კულტურული ჩაკეტილობის ბრალია. დასავლურ კულტურებში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივ, ახალგაზრდები აქტიურები არიან. ეს კიდევ იმის ბრალია, რომ საუბედუროდ, საქართველოში არ განვითარდა დემოკრატიული ინსტიტუტები და როკ-ენ-როლი – დემოკრატიის მუსიკა. სამწუხაროდ, სოციალურად აქტიურ მუსიკაში მე დღეისათვის ვერავის ვხედავ, ეს ცუდია.

3. ჩვენი ახალგაზრდები ნაცადი, უკვე განვლილი გზებით მიდიან და ეჭიდებიან ეთნოგრაფიულ მუსიკას, რომელიც მსოფლიოში 60 -70-იანი წლებიდან არის მიღებული. არავის უჩნდება სურვილი, მუსიკით გამოთქვას საკუთარი აზრი დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს, ალბათ, ჩვენი ხასიათის კომპრომისულობა და აღმოსავლური შემგუებლობაა, რომელიც ძალიან თვალშისაცემია.

4. საერთოდაც, ჩვენს კულტურაში ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ, ამიტომ იმის ილუზია არა მაქვს, რომ დღეს ვინმე გამოჩნდება და პროტესტს ასე მკაფიოდ გამოხატავს. თუნდაც 90-იან წლებში ერთი „რეაქტიული კლუბი“ იყო და ორი-სამი მსგავსი არსებობდა. 80-იან წლებშიც ძალიან ცოტანი იყვნენ. ჩვენთან რევოლუცია ყოველთვის ელიტურია. ნორმალურად არასოდეს მიდის სიტუაცია, რადგან ეს არ არის მასობრივი. ჩემი აზრით, ეს დამღუპველია საერთოდ ქვეყნისთვის. ახალგაზრდები იმ საკითხების ირგვლივ ერთიანდებიან, რომლებიც აბსოლუტურად ჩაკეტილი და კონსერვატიულია და არა იმ საკითხებში, რომლებმაც შესაძლოა ქვეყნის ბედი გადაწყვიტოს.

5. კოტე ყუბანეიშვილი და კიდევ სხვები, ანუ იყვნენ ისეთები, რომლებიც არღვევდნენ იმ წესებს და საზოგადოებას აიძულებდნენ, ადრენალინი გამოეყო. დღეს ახალგაზრდებს შორის ასეთ პერსონაჟს ვერ ვხედავ. ესენი არიან ყველაფერთან შეგუებულები. მათ სურვილიც კი არ უჩნდებათ, რომ სოციალურად აქტიური პოზიცია გამოხატონ და მიღებული წესრიგი დაარღვიონ.

6. „ზუმბას“ შემოქმედებაში ირონია იგრძნობა, მაგრამ მათი აქტიური პოზიცია მე ჯერ არ დამინახავს. მიკვირს, რომ ჩემი სიმღერის – „შენ აფრენ!“ შემდეგ, გარღვევის მცდელობა მაინც არ იგრძნობა. ეს ნამდვილად არ არის კარგი. ეროვნულმა მოძრაობამ ახალგაზრდების მუსიკალური პროტესტი იმ თვალსაზრისით ჩაკლა, რომ ახალგაზრდებმა გააკეთეს მხოლოდ ერთი დასკვნა – მათი პოლიტიკური აქტივობის შედეგად შესაძლებელი იყო ისინი პარლამენტში მოხვედრილიყვნენ და ამით ფინანსური მომავალი გასჩენოდათ. ეს, უბრალოდ, ცხოვრებასთან პრაგმატული დამოკიდებულებაა. დასავლეთისგან განსხვავებით, აქ ადამიანს ერთადერთი შანსი აქვს – გახდეს პოლიტიკოსი. მხოლოდ მაშინ ექნება ფინანსური დივიდენდები და შეძლებს ცხოვრებას. ეს, საუბედუროდ, ამ საკითხისადმი ძალიან პრაგმატული, ვიწრო და აღმოსავლური მიდგომაა“.

7. როგორც ირაკლი ჩარკვიანის საუბრიდან ჩანს, დემოკრატიული მუსიკა საქართველოში განწირულია და მას მომავალი არ ექნება, თუკი ახალგაზრდები არ გამოფხიზლდებიან და შეეგუებიან ყოველდღიურ მარაზმს, რომელიც გამეფებულია ქართულ სინამდვილეში. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მომავალში ამ თემის განსახილველად ჟურნალისტები მხოლოდ ირაკლის, ლადოს, რობის, ზაზასა და ბესელას არ მივმართავთ და ახალი სახეებიც გამოჩნდებიან, თორემ ირგვლივ მომრავლდნენ „დამპალი ვაშლის გამყიდველები“, რომლებიც „ისევ გაცვამენ ჯვარს, ისევ ჩაგსვამენ იქ, სადაც სვამენ ამ ბნელ ხალხს“.

წყარო: http://anarekly.blogspot.com/2011/10/blog-post.html

2 გადახედეთ ტექსტს და დაწერეთ:

ა. რომელ აბზაცში არის საუბარი პრობლემაზე? რაში მდგომარეობს ეს პრობლემა?

ბ. რომელ აბზაცში არის საუბარი პრობლემის გადაჭრის გზაზე და რაში მდგომარეობს იგი?

3 ტექსტიდან (დავალება 1) გამომდინერე დაწერეთ:

ა. როგორი უნდა იყოს მუსიკა ირაკლი ჩარკვიანის აზრით:

ბ. რას გულისხმობს ირაკლი ჩარკვიანი მუსიკისადმი ვიწრო და აღმოსავლურ მიდგომაში?

4 ტექსტის მიხედვით განმარტეთ ფრაზები:

ა. ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებაში კომერციის ელემენტებიც შეიმჩნევა.

ბ. ახალგაზრდების მიდგომა მუსიკის მიმართ ძალიან კომპრომისულია, რაც, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელიცაა.

გ. ჩვენთან რევოლუცია ყოველთვის ელიტურია.

5 წაიკითხეთ და განმარტეთ, რას გულისხმობს ირაკლი ჩარკვიანი ამ ფრაზაში: „ესენი არიან ყველაფერთან შეგუებულები. მათ სურვილიც კი არ უჩნდებათ, რომ სოციალურად აქტიური პოზიცია გამოხატონ და მიღებული წესრიგი დაარღვიონ".

6 დაიყავით ორ ჯგუფად და გამართეთ დისკუსია: როგორ ფიქრობთ, რა არის მუსიკის დანიშნულება? მუსიკა, როგორც ხელოვნება თუ მუსიკა, როგორც ადამინის მდგომარეობის გამოხატვის საშუალება. თქვენი მოსაზრებები ერთმანეთს არგუმენტებით დაუსაბუთეთ. გამოიყენეთ ფრაზები შემსწავლელის რვეულიდან (ბლოკი 2, დავალება 4).

ბლოკი 4

სუხიშვილები

1 წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, რატომ ჰქვია ეროვნული ცეკვის ანსამბლს „სუხიშვილები“?

1. როცა 2011 წელს ჩვენი დროის ერთ-ერთი გენიოსი, სტივ ჯობსი გარდაიცვალა, მისმა კოლეგამ (Ethernet-ის თანაგამომგონებელმა), ბობ მეტკალფმა, მასზე ასეთი რამ თქვა: კომპიუტერულ ინდუსტრიაში სტივის უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ კომპიუტერი ნერდებს გამოაცალა ხელიდან და ხალხს მისცაო.

2. სულ სხვა სფეროში, მაგრამ პრაქტიკულად ასეთივე რევოლუციური ნაბიჯი საქართველოში ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა გადადგეს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. მათ ფოლკლორული ცეკვები თანამედროვე ადამიანებისთვის მისაღები გახადეს; ისეთი სახე მისცეს ეთნიკურ ცეკვებს, რომ მათ არა მარტო ეთნოგრაფებში, არამედ ხალხშიც გამოეწვია აღტაცება.

3. კიდევ ერთი პარალელი რომ გავავლოთ, ეს ისეთივე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, როგორიც გერმანელი ძმების, გრიმების, ღვაწლი კაცობრიობის წინაშე, რომელთაც მე-19 საუკუნეში ფოლკლორული

თქმულებები მოაგროვეს, კარგად შეისწავლეს, გასაგებ ენაზე დაწერეს და შედეგად, ისეთი ზღაპრების უკვდავყოფას შეუწყეს ხელი, როგორებიცაა: სუპერპოპულარული „კონკია“, „თოვლის დედოფალი“ ან თანამედროვე ბავშვების უსაყვარლესი „რაპუნცელი“.

4. ამავე გზით, ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა გადაარჩინეს და შეინარჩუნეს ის, რაც დღეს ქართველისთვის ყველაზე საამაყო და იდენტობის განუყოფელი ნაწილია: ქართული ცეკვა.

5. დღეს საქართველოში თითქმის ყველამ იცის „სუხიშვილები“, მაგრამ ალბათ ცოტა დაფიქრებულა, რომ თუ არა ილიკოსა და ნინოს ძალისხმევა 1930-1940-იან წლებში, ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწეოდა ამ საამაყო ეროვნულ ფენომენს – ქართულ ცეკვას. იმ პერიოდის საქართველოში ხომ საცეკვაო ხელოვნება საგრძნობლად მივიწყებული იყო ისევე, როგორც მე-19 საუკუნის ინგლისში მივიწყებას ეძლეოდა საშობაო ტრადიციები და რომ არა დიდი მწერლის, ჩარლზ დიკენსის საშობაო ნოველა, „საშობაო სიმღერა“, შესაძლოა, ევროპაში სულაც არ ყოფილიყო შობა ისეთი მოვლენა, როგორიც დღეს არის.

6. სუხიშვილი დღეს ისეთივე ბრენდია, როგორიც, მაგალითად, სახელგანთქმული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია (და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საოჯახო ბიზნესი) „ფორდი“. ეს სახელწოდებაც კომპანიის დამაარსებლის, ჰენრის, გვარია, რომლის საქმესაც დღეს მისი შთამომავლები აგრძელებენ. თუმცა, „ფორდისგან“ განსხვავებით, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ანსამბლი მსოფლიოში ოფიციალურად „საქართველოს ნაციონალური ბალეტის“ სახელით წარდგებოდა. ინგლისურენოვან ქვეყნებში უფრო Georgian State Dance Company-ს სახელით იცნობდნენ.

7. „სუხიშვილები“ კი იყო ის, რაც დასს ხალხმა შეარქვა და დიდი ხანია, რაც მათ ყველა ამ სახელით მოიხსენიებს. ამიტომ ამ სახელის წინ წამოწევა გადაწყვიტეს და დღეს უკვე აფიშებზეც ასე წერენ. ეს იმანაც გამოიწვია, რომ მომრავლდა სახელმწიფო ანსამბლები, რომლებიც (ფაქტობრივად, ყველა მათგანი) „ქართულ სახელმწიფო ანსამბლებად“ იწოდება.

8. დღეს „სუხიშვილებზე“ და უკვე „რამიშვილებზეც“ საავტორო უფლებები დარეგისტრირებული აქვთ.

9. და როცა ნინო სუხიშვილს ამ ბრენდის, „სუხიშვილების“, პოტენციურ ღირებულებაზე ვეკითხებით, გვპასუხობს: „არ იყიდება. ჩემთვის შეუფასებელია“.

10. არ არის გასაკვირი, ეს მისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე შოუ თუ ბიზნესი. ეს არის ქვეყნის გადარჩენის, საკუთარი იდენტობის დაცვის არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი საშუალება. ეს მისთვის – ყოველგვარი პათეტიკის გარეშე – ქვეყნის სიყვარულია: „არა აქვს მნიშვნელობა, რა ფორმითაა პატრიოტიზმი გამოხატული – ტყვიას აეფარები ომის დროს, საბრძოლველად წახვალ თუ მთელ ცხოვრებას პოლიტიკას დაუთმობ. თავის პატრიოტიზმს ყველა ისე ამჟღავნებს, როგორც შეუძლია. ჩემთვის ეს არის ძალიან დიდი პატრიოტიზმი და მამულიშვილობა – ის, რაც ნინომ და ილიკომ გააკეთეს და რის გაგრძელებასაც მე და ილიკოც ვცდილობთ. და რომ არა ისეთი სიყვარული, როგორიც ჩვენ გვაქვს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ძალიან ძნელი იქნებოდა მუშაობა. მთელ მსოფლიოში მეკითხებიან ჟურნალისტები, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო? და აი, ალბათ ზუსტად ეს სიყვარულია. ესაა, რაც ჩვენ ძალას გვაძლევს“.

11. და კიდევ – არის რაღაც, რასაც ნინო სუხიშვილი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის „ერთ დიდ

მისტიფიკაციას“ დაარქმევდა: „ცოტა რაღაც მისტიკური აუცილებლად ხდება. ამას ვერ ახსნი, ვერ ისწავლი, ვერ მოჰყვები, ვერ გადმოსცემ... რაღაც ისეთი მისტიკური ხდება, რაც სუხიშვილების წარმატებას დღემდე თან სდევს და ამისთვის მადლობელი ვარ“.

12. ყველაფერს მართლაც ვერ გადმოსცემ სიტყვებით. დანარჩენი უნდა ნახო, შეიგრძნო და განიცადო.

წყარო: http://forbes.ge/news/277/suxiSvilebi (ტექსტში შეტანია გარკვეული ცვლილები)

2 წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და დაწერეთ, რა აერთიანებთ:

ა. სუხიშვილებსა და სტივ ჯობსს?

ბ. სუხიშვილებსა და ძმებ გრიმებს?

3 ტექსტის მიხედვით განმარტეთ ფრაზები:

ა. ისეთი სახე მისცეს ეთნიკურ ცეკვებს, რომ მათ არამარტო ეთნოგრაფებში, არამედ ხალხშიც გამოეწვია აღტაცება.

ბ. ზღაპრების უკვდავყოფას შეუწყეს ხელი.

გ. გადაარჩინეს და შეინარჩუნეს ის, რაც დღეს ქართველისთვის ყველაზე საამაყო და იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

დ. სუხიშვილი – ეს ისეთივე ბრენდია დღეს, როგორიც სახელგანთქმული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია „ფორდი“.

4 **დაუკავშირეთ ერთმანეთს:**

რევოლუციური ნაბიჯი	დარეგისტრირებული
ხალხში გამოიწვია	მოაგროვეს
თქმულებები	აღტაცება
საავტორო უფლებები აქვთ	გადადგეს

5 **თქვენი აზრით, როგორ განვითარდებოდა ქართული ცეკვა, რომ არა „სუხიშვილები“?**

თავი VI

საქართველო და მისი ეთნოსები

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდან ეთნო-კულტურულ თემებზე, მათ შორის ძლიერი ფონური ხმაურით.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია ძირითად ყველაფერი გაიგოს სტატიებიდან ისტორიულ და ეთნოკულტურულ თემებზე, ასევე, ამოიცნოს ავტორის განსხვავებული პოზიცია.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა;

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება;

შემსწავლელს შეუძლია ალტერნატიული შეხედულებების შეფასება და რეაგირება სხვათა არგუმენტებზე.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია წერილობით ტექსტებში დამოკიდებულებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა;

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზით ტექსტის დაწერა.

გრამატიკა/ლექსიკა



- ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სემანტიკა და ფორმა;
- მიერ თანდებული ნათესაობით ბრუნვასთან.

ბლოკი **1** – ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსები საქართველოში

ბლოკი **2** – გერმანელები საქართველოში

ბლოკი **3** – ქართველი ებრაელები

ბლოკი **4** – მულტიკულტურალიზმი

- ისტორიასთან, კულტურასთან და ეთნოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ბლოკი 1

ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსები საქართველოში

1 **ა. მოიძიეთ ინტერნეტში ინფორმაცია, რამდენი ეთნოსი ცხოვრობს საქართველოში და იპოვეთ მათგან ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი:**

ბ. გადაამოწმეთ თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია შემდეგ ტექსტში:

ეთნიკური ჯგუფები საქართველოში

ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში (6,6%) წარმოადგენენ აზერბაიჯანელები, რომლებიც კომპაქტურად ქვემო ქართლში ცხოვრობენ.

26 აპრილს თბილისში, ევროპის სახლში, საქართველოს გაეროს ასოციაციამ ოფიციალურად გახსნა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში.“ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციის დამყარების გზით, ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაცია გააძლიეროს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,2%-ს შეადგენენ. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში (6,6%) აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც კომპაქტურად ქვემო ქართლში ცხოვრობენ.

გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორი სულეიმან სულეიმანოვი ამბობს:

„თქვენც ალბათ იმის მოწმე ხართ, რომ საქართველოში მოდის ახალგაზრდობა, რომელიც ფლობს ქართულ ენას მაღალ დონეზე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ახალგაზრდები ძალიან კარგად ილაპარაკებენ ქართულად. მე სოფელში დაბადებულ-გაზრდილი კაცი ვარ, მიჭირს ქართულად საუბარი. ჩემი ვაჟიშვილი თბილისში დაიბადა, მას ენის პრობლემა არ აქვს. ენა არის ჭიშკარი, ყველამ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა.

ჩემი პირადი აზრია, რომ სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ერების წარმომადგენლები საქართველოში მეგობრულად ცხოვრობენ. აზერბაიჯანელები და სომხები საქართველოში ახლაც ისევე ცხოვრობენ, როგორც ადრე. ე.ი. არის მხოლოდ კრიტიკა, (ერთმანეთს ვაკრიტიკებთ) რატომ არ იცი სომხური ენა? მე კი ვიცი, სხვებმა არ იციან. ჩემი კოლეგა ვან ბაიბურთი ძალიან კარგად ლაპარაკობს აზერბაიჯანულად იმიტომ, რომ ადრე, ბავშვობაში, იგი ცხოვრობდა თბილისში, ხარფუგში, აზერბაიჯანელების მიერ დასახლებულ ქუჩაზე. როგორც ვცხოვრობდით, ისევ ისე ვცხოვრობთ ჩვენ.“

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მეორე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ სომხები (5,7%), ისინი ძირითადად კომპაქტურად არიან ჩასახლებულები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ექსპერტი მარი მიქოიანი ეროვნული უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით ამბობს:

„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა რეგიონებში გადადგმულმა ნაბიჯებმა, დღესდღეობით ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულია თარჯიმანთა პრობლემა. ეს განსაკუთრებით ეხება პენიტენციალურ სისტემას, სასამართლოებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების უფლებებს. მათ აქვთ კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მიიღონ ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე, რაც აბსოლუტურად არის მოშლილი. რამდენიმე შეკითხვა იყო დასმული კონკრეტული სამინისტროს მიმართ, სამწუხაროდ, დღემდე პასუხი არ არსებობს. იგივე პრობლემაა სახელმღვანელოების თარგმანთან დაკავშირე-

ბით. აბსოლუტურად გაუგებარი კონტექსტი, ვერ გაიგებ, რა არის თარგმნილი. რაც შეეხება მედიას, დღესდღეობით ეროვნული უმცირესობებისთვის „პირველი საინფორმაციო კავკასიური“ არხი კვირაში 5 დღე ამზადებს სამენოვან გამოშვებებს (საზოგადოებრივ მაუწყებელსაც აქვს მსგავსი ტიპის გამოშვებები სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე). გარდა ამისა, ჯერჯერობით 15-წუთიანი ქრონომეტრაჟით რეგიონალურ გამოშვებებს ამზადებს კვირაში 2-ჯერ. მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს გადაცემები არის პოლარიზებული და ტენდენციური, ნამდვილად არ არის ასე. არხი მაქსიმალურად ცდილობს, ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია. ოპოზიციის წარმომადგენლები როდესაც აქტიურობენ, თუ ხელმისაწვდომია ჩვენთვის პრეს-რელიზი, რას აკეთებენ, სად მიდიან და ვის ხვდებიან, მე პირადად, როგორც ამ გამოშვების მთავარი პროდიუსერი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი პრობლემა არ არის ამის გაშუქება, ანუ არავინ არ გიკრძალავს. კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო... ეს არის ენის ცოდნა და არცოდნა. სამწუხაროდ, ეს ძალიან დიდი პრობლემაა და როდესაც საუბარია იმაზე, რა დონეზე უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენა, დავიწყოთ იქიდან, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა არ არის ვინმეს მხრიდან იმპერატიულად დავალებული. უბრალოდ, ადამიანს თუ აქვს იმის განცდა, რომ იგი არის ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე და სურს იყოს ინტეგრირებული, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაკვირველია, მან უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა და ამისი ერთ-ერთი მაგალითი მე ვარ."

(წყარო: http://www.amerikiskhma.com/a/article149269405/1210133.html)

2 **გადახედეთ კიდევ ერთხელ წინა დავალებაში მოცემულ ტექსტს და გამოკვეთეთ, რა პრობლემები არსებობს საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით:**

3 **ტექსტის თანახმად, რა არის ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლის მოტივაცია?**

4 **როგორ ფიქრობთ, რა იგულისხმება სახელმძღვანელოების თარგმნის პრობლემაში?**

5 **როგორი წარმოდგენა დაგრჩათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ, მიიჩნევენ თუ არა ეთნიკური უმცირესობები თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად? ტექსტზე დაყრდნობით დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება:**

ბლოკი 2

გერმანელები საქართველოში

1 იმუშავეთ წყვილებში, თქვენი აზრით, რა არის ზოგადად ეთნოსების მიგრაციის მიზეზი?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.1) და ჩამოთვალეთ მიზეზები, რომელთა გამოც გერმანელები ჩამოვიდნენ საქართველოში.

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერები (6.1 და 6.1 ა) და უპასუხეთ კითხვებს:

ა. როდის ჩამოვიდა გერმანელების პირველი ნაკადი საქართველოში?

ბ. რა შემორჩა საქართველოში დღემდე გერმანელი კოლონისტებისგან?

4 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.1 ბ) და დაწერეთ, როგორ გესმით ფრაზა „გერმანელებმა რადიკალურად შეცვალეს საქართველოში არსებული სიტუაცია.“

5 **დააკვირდით შემდეგ წინადადებებს და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვას მოითხოვს თანდებული „მიერ“:**

ა. ბოლნისში დღემდე შემორჩა გერმანელების მიერ დაპროექტებული ქუჩა.

ბ. თბილისში ბევრი ქუჩა დაპროექტებულია გერმანელი არქიტექტორების მიერ.

გ. გერმანელი არქიტექტორების მიერ შეტანილი წვლილი უდიდესია.

დ. გერმანელების მიწები კოლმეურნეობის მიერ იქნა წართმეული.

ბლოკი 3

ქართველი ებრაელები

1 **იმუშავეთ წყვილებში: მოუყევით ერთმანეთს, რომელი ქვეყნის ებრაელებს იცნობთ და რითია გამორჩეული მათი ცხოვრება/ისტორია მოცემულ ქვეყანაში.**

2 **წაიკითხეთ ტექსტი და ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.2). მოკლედ შეაჯამეთ, რით განსხვავდებოდა ქართველი ებრაელების ცხოვრება სხვა ქვეყნებში მათი ყოფისგან:**

ზედაპირულად შესწავლილი ისტორია – რა ვიცით ქართველი ებრაელების შესახებ?

საქართველოს ეროვნული გალერეა გამოფენას მასპინძლობს, რომელზეც ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ნახატები, რელიგიური და საყოფაცხოვრებო ექსპონატებია გამოფენილი.

„ნეტგაზეთი“ გამოფენის ავტორ ლელა წიწუაშვილს ესაუბრა. მისი თქმით, გამოფენაზე გამოტანილი ექსპონატები კარგად წარმოაჩენენ, თუ როგორი პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდათ ებრაელებსა და ქართველებს 26 საუკუნის განმავლობაში. თუმცა, მრავალსაუკუნოვანი თანაცხვორების მიუხედავად, ებრაელთა ყოფა თითქმის შეუსწავლელია.

„საქართველოში მცხოვრები ებრაელების წეს-ჩვეულებებს ვიგებთ ამ ნამუშევრებითა და ექსპონატებით. ეს არის მატერიალური კულტურის დამადასტურებელი ნივთები, რომლებიც აშკარას ხდის, როგორი იყო მათი რელიგია, როგორ ცხოვრობდნენ,“ – განაცხადა ლელა წიწუაშვილმა.

ლელა წიწუაშვილმა აღნიშნა, რომ ებრაელები თბილისსა თუ სხვა ქალაქებში ძირითადად ერთ უბანში იყვნენ კონცენტრირებული, თუმცა, ევროპისგან განსხვავებით, ისინი გეტოებში იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ.

„ქართველი ებრაელები არის მსოფლიოში უნიკალური ფენომენი. საქართველო იყო ერთადერთი ქვეყნა, სადაც არ არსებობდა გეტო. ებრაელები ყოველთვის ცხოვრობდნენ თავისუფლად და, როგორც წესი, ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრში“, – ამბობს გამოფენის ავტორი.

ებრაელები კონცენტრირებულად იმიტომ ცხოვრობდნენ, რომ არ დაეკარგათ თავიანთი ავთენტურობა და ტრადიციები. ამიტომ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიუხედავად, ებრაელები მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ წეს-ჩვეულებებს, გვეუბნება ლელა წიწუაშვილი.

„თავიანთი უბნები ჰქონდათ და გეტყვით რატომ. წარმოიდგინეთ დიასპორა და სამშობლოს მოწყვეტილები საუკუნეების მანძლზე რომ არ ყოფილიყვნენ ერთად, ვერ გადარჩებოდნენ, ვერ შეინარჩუნებდნენ, დაკარგავდნენ თავიანთ ავთენტურობას, ინდივიდუალურობას,“ – ამბობს ლელა წიწუაშვილი.

გამოფენის ავტორი, რომელმაც დაიცვა სადოქტორო ნამუშევარი „იუდაიზმი საქართველოს ხელოვნებაში“, აღნიშნავს, რომ ებრაელთა „ასიმილაციის“ პროცესი მე-20 საუკუნის შუა წლებში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა და ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ქართველი ებრაელების ინტეგრაციის პროცესიც დასრულდა.

მე-20 საუკუნეში მრავალი ნივთი, რომლებიც ქართელ ებრაელთა ცხოვრების ყოველდღიურობა იყო, ისტორიის საკუთრებად იქცა და თბილისში 1933 წელს დაარსებულ ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიდო ბინა.

ჩვენი მასპინძენლი იხსენებს, რომ მუზეუმში დაცული ექსპონატები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეცნიერებმა და ეთნოგრაფებმა მუზეუმის შექმნის წინა პერიოდში მოიძიეს.

ლელა წიწუაშვილი აღნიშნავს, რომ გამოფენას დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა, რადგან უამრავი მასალა არ იყო კოდირებული. ექსპონატებს არ გააჩნდა ანოტაციები, რომელთა მოძიება და შექმნა დიდ შრომას მოითხოვს.

საინტერესოა, რატომ არ იჩენდა ქართული საზოგადეობა ინტერესს იმ ეთნოსის მიმართ, რომელთანაც ასე დიდხანს და მშვიდობიანად თანაცხოვრობდა, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ?

ლელა წიწუაშვილს ამ კითხვაზე ნაწილობრივ აქვს პასუხი. მას მიაჩნია, რომ ასეთი დამოკიდებულება ნაწილობრივ საბჭოთა ანტისემიტიზმის ბრალია. 1953 წელს სწორედ ანტისემიტიზმის გამო ქართველ ებრაელთა მუზეუმი დაიხურა, რომელიც 2006 წელს კვლავ გაიხსნა.

„ეს იყო ძველი საინვენტარო წიგნები. დაიხურა მუზეუმი, იყო სტალინის რეპრესიების პერიოდი. კოლექციებში შევიდა მშრალი ინფორმაცია მათ შესახებ. როგორც წესი, არ არსებობდა მეცნიერული შესწავლის პრეცედენტი. ზუსტად ეს იყო საინტერესო და გაუგებარი, რომ ამდენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ტრადიცია გვაქვს და არ არსებობდა შესწავლის პრეცედენტი,“ – ამბობს წიწუაშვილი.

ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი ვარაუდობს, რომ გაკრვეული როლი ევროპელი ებრაელების დაწინაურებაში იმ წნეხმა ითამაშა, როემლსაც ევროპაში განიცდიდნენ, რაც ებრაელებს მეტ ძალასა და გამძლეობას აძლევდა.

მეორე მხრივ, 1953 წლამდე ებრაელთა საქართველოში ცხოვრების მთელი ისტორიაა, რომელიც ისტორიული ფაქტების ნაკლებობას განიცდის და ებრაელთა ცხოვრება ქართულ საისტორიო თუ სხვა ნაწარმოებებში არ ჩანს.

საინტერესოა, როგორ აისახა ებრაული თემატიკა ქართველი მხატვრების შემოქმედებაში? როდესაც საქართველოს ებრალეთა მუზეუმი გაიხსნა, ფაქტობრივად, არ არსებობდა ფერწერული ტილოები, რომლებსაც ქართველ ებრაელთა მუზეუმის კოლექციაში შეიტანდნენ. მუზეუმის მესვეურებმა ქართველ მხატვრებს სთხოვეს, შეექმნათ ებრაელთა თემაზე ნამუშევრები.

გამონაკლისი შალომ კოგოშვილის ნამუშევრებია, რომლებიც არა დაკვეთით, არამედ მისი სურვილით შეიქმნა. ქართველი ებრაელი მხატვრის ნამუშევრები მის მიერ ბავშვობაში განცდილს ემყარება და, გამოფენის ავტორის თქმით, ამ ნამუშევრებს ეთნოგრაფიული მნიშნელობაც აქვს.

ლელა წიწუაშვილთან საუბარი იმით დავამთავრეთ, რომ იგი დღემდე ცდილობს გაიგოს, რა არის იმისი მიზეზი, რომ ევროპაში წნეხის ქვეშ მცხოვრები ებრაული თემი უფრო განათლებული და მატერიალურად უფრო შემლებული იყო, ვიდრე საქართველოში მცხოვრები ებრაული თემი. რატომ ვერ განვითარდნენ კეთილგანწყობილ ქართულ საზოგადოებაში მცხოვრები ებრაელები ისე, როგორც ევროპაში:

„მართლა პარადოქსია, რომელიც კიდევ მოითხოვს შესწავლას. როდესაც დავიცავი სადოქტორო, წერტილი არ დამისვამს.“

(წყარო: http://netgazeti.ge/culture/28664/)

3 ჩამოთვალეთ და აღწერეთ, რა საერთო ნიშნები იკვეთება ქართულ და ებრაულ ტრადიციებს შორის?

4 ვიდეოჩანაწერის (6.2) მიხედვით გააანალიზეთ, მხატვრული ღირებულების გარდა, რა ფუნქცია აქვს საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამართულ გამოფენას?

5 კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი (დავალება 2) და გააანალიზეთ, რას ნიშნავს მისი სათაური – „ზედაპირულად შესწავლილი ისტორია“ და რა არის ამისი მიზეზი?

ბლოკი 4

მულტიკულტურალიზმი

1 ჯგუფის წევრებთან ერთად შეეცადეთ განმარტოთ ტერმინი „მულტიკულტურალიზმი“.

2 **შეადარეთ მულტიკულტურალიზმის თქვენეული (ჯგუფის მიერ) განმარტება ტექსტში მოცემულ მნიშვნელობას.**

დღეს, როდესაც გლობალიზაციამ მთელი მსოფლიო მოიცვა, უკვე ბევრი საუბრობს მულტიკულტურალიზმის შესახებ. ზოგი მისი წინააღმდეგია და ფიქრობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულობას, ზოგი კი პირიქით, მის დასაცავად გამოდის და სხვებსაც იმავეს მოუწოდებს.

სანამ კონკრეტულად მულტიკულტურალიზმის საკითხს შევეხებოდეთ, ჯერ მისი მნიშვნელობა განვმარტოთ: კერძოდ, მულტიკულტურალიზმის მთავარია არსია, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის პოლიტიკურ გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურალიზმი გულისხმობს განსხვავებული კულტურების გვერდიგვერდ არსებობასა და თანაცხოვრებას.

დღევანდელი მულტიკულტურული სახელმწიფოს საუკეთესო მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც განსხვავებული კულტურის მქონე ერის წარმომადგენლები გვერდიგვერდ ცხოვრობენ, წარმოადგენენ საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ერთმანეთს უზიარებენ მათ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკის მულტიკულტურალიზმი ორნაირად მოიაზრება: ერთია „სასალათე ჯამი“, რომლის შემთხვევაშიც სხვადასხვა კულტურა თანაბარი ზომითაა წარმოდგენილი, ისინი არ კარგავენ საკუთრივ მათთვის დამახასიათებელ ელემენტებს და შენარჩუნებული აქვთ ორიგინალი სახე. მეორე მოსაზრებით კი, ამერიკის მულტიკულტურალიზმი განიხილება როგორც „მოსახარში ქვაბი“, სადაც სხვადასხვა კულტურა ერთიანად იყრის თავს, ერთმანეთში ირევა, კარგავს განმასხვავებელ ნიშნებს და ქმნის სრულიად ახალ – „ამერიკულ კულტურას“. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ კულტურათა იდენტობა იკარგება და „ითქვიფება“ სხვა კულტურებში.

მულტიკულტურალიზმის შინაარსიდან გამომდინარე ევროპის ყველა დემოკრატიული სახელმწიფო თავს მულტიკულტურულად მიიჩნევს. თუმცა, აქ საქმე გვაქვს ერთ აქსიომასთან მაშინ, როდესაც შარიათის კანონებზე ვსაუბრობთ. მოგეხსენებათ, შარიათის კანონები მუსლიმურ სამყაროში დანაშაულის დროს გულისხმობს ადამიანის გაროზგვას, კიდურების მოკვეთასა და მის ჩაქოლვასაც კი. ასევე, უკრძალავს ქალებს პირბადის გარეშე გარეთ გასვლას და სხვა. ეს კანონები აშკარად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს. ამიტომ დასავლეთის ქვეყნები უარყოფენ შარიათის კანონებს და ეთნიკურ უმცირესობებს არ აძლევენ საშუალებას, იცხოვრონ თავიანთი წესების მიხედვით, ანუ ზეწოლის ქვეშ აქცევენ მათ. მულტიკულტურალიზმი კი გულისხმობს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება ეძლევათ, იცხოვრონ ზეწოლის გარეშე, მათი ადათ-წესების მიხედვით. გამოდის, რომ ლიბერალური დემოკრატია, რომლითაც ასე ამაყობენ ჩვენი დასავლეთელი მეგობრები, აშკარად ეწინააღმდეგება მულტიკულურალიზმს და, აქედან გამომდინარე, ისინი ვერ იქნებიან მულტიკულტურული ქვეყნები. ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად საკმარისია, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: 2004 წელს საფრანგეთში სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში სხვა რელიგიური სიმბოლოების გვერდით აიკრძალა ტრადიციული ისლამური თავსაფრის – ხიმარის ტარება, რასაც მუსლიმთა მხრიდან დიდი საპროტესტო აქციები მოჰყვა. მუსლიმი მოსახლეობის მსგავსი წეს-ჩვეულებები არღვევს ადამიანის უფლებებს და ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

საინტერესოა, რა შედეგები მოიტანა მულტიკულტურალიზმმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, დღეს, საფრანგეთსა და იტალიაში არის იმიგრანტების პრობლემები. დიდია ამ ქვეყნებში უცხო რასების წილი და ბევრი შიშით იმასაც ამბობს, რომ მალე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თავად ფრანგები და იტალიელები გახდებიან. იქმნება ათასგვარი სტერეოტიპი და შეხედულება იმიგრანტებზე. მაგალითად, თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მაღაზიას გაძარცვავს, იქმნება სტერეოტიპი, რომ ამ უმცირესობის ყველა წევრი მძარცველია, ამას მოჰყვება კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და იმიგრანტებს შორის. ასევე, იმიგრანტების დიდი რაოდენობით შემოსვლა ქმნის მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა მიზეზი არასაკმარისი სამუშაო ადგილებია.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ევროპის ბევრმა ქვეყანამ საზღვრებზე კონტროლი გაამკაცრა, რათა შეემცირებინა ძალიან ბევრი იმიგრანტის შესვლა თავის ტერიტორიაზე. ამას შედეგად მოჰყვა საზღვრების არალეგალური გადაკვეთა და არაკანონიერი გზებით შესვლა ქვეყნის ტერიტორიაზე.

აშკარაა, რომ ევროპას მულტიკულტურალიზმმა, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, არაერთი პრობლემა მოუტანა. ამიი მიზეზი კი ისაა, რომ აშშ თავიდანვე მულტიკულტურული იყო და თავად

სახელმწიფოც სხვადასხვა კულტურამ ჩამოაყალიბა. სხვა ქვეყნებში კი პრობლემები ადგილობრივსა და ჩამოსულ მოსახლეობას შორის გაჩნდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა დადგა მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, თუ რა დონეზე შეეძლო მიეღო ახალი კულტურა, მათთვის ჯერ კიდევ უცხო ხალხი და როგორ შეძლებდნენ ახალი ადათ-წესების შეთვისებას საკუთართან. თავის მხრივ, ჩამოსული მოსახლეობაც დადგა პრობლემის წინაშე – შეძლებდნენ, რომ შეჩვეოდნენ ადგილობრივი კულტურის ელემენტებს, რომლებიც დახვდათ მასპინძელ ქვეყნებში და რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მათ კულტურას ეწინააღმდეგება.

ნიკა ჩერქეზია

წყარო: http://studinfo.edu.aris.ge/2014/03/25/მულტიკულტურალიზმი/

3 **წაიკითხეთ მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის განმარტებები და მოძებნეთ ტექსტში (დავალება 2) მათი მსგავსი ტერმინები:**

მულტიკულტურალიზმი (მრავალკულტურულობა) აღნიშნავს საზოგადოების ეთნიკურ, ნაციონალურ, ლინგვისტურ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ მრავალფეროვნებას.

ინტერკულტურალიზმი – ეს ტერმინი აქცენტს აკეთებს არა მრავალფეროვნების არსებობის ფაქტზე, არამედ სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, ლინგვისტური ჯგუფის ურთიერთქმედებაზე და საერთო გამოცდილების დაგროვებაზე დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის გზით.

წყარო: http://eeu.edu.ge/uploads/mravaletnikuridamravalkulturulisaqartveloshi.pdf

4 **დაიყავით ორ ჯგუფად: ჩამოწერეთ არგუმენტები და გამართეთ დისკუსია, რა დადებითი ან უარყოფითი მხარე აქვს მულტიკულტურალიზმს, ანუ ეთნოსების ერთად ცხოვრებას.**

5 **დააკვირდით ხაზგასმულ ზმნებს:**

სხვადასხვა კულტურა ერთიანად იყრის თავს, ერთმანეთში ირევა, კარგავს განმასხვავებელ ნიშნებს და ქმნის სრულიად ახალ – „ამერიკულ კულტურას“. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ კულტურათა იდენტობა იკარგება და „ითქვიფება“ სხვა კულტურებში.

იქმნება ათასგვარი სტერეოტიპი და შეხედულება იმიგრანტების მიმართ.

ა. რა აქვს ხაზგასმულ ზმნებს საერთო ფორმის მხრივ?

ბ. რა აქვს ხაზგასმულ ზმნებს საერთო შინაარსის მხრივ?

გ. შეავსეთ ვნებითი გვარის წარმოების წესი:

– S (სუბიექტი) ი- + ზმნის ძირი + ...

6 წინადადებებში ხაზი გაუსვით სუბიექტს და ჩასვით სახელზმნიები ზმნის შესაბამისი ფორმით:

ა. კულტურა იდენტობას ..... (დაკარგვა).

ბ. მულტიკულტურალიზმი კულტურას ..... (თქვეფა) სხვა კულტურებში.

გ. იმიგრანტების მოზღვავება ..... (შექმნა) მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს.

დ. ყველა დემოკრატიული სახელმწიფო თავს მულტიკულტურულად ..... (მიჩნევა).

7 გადაიყვანეთ ვნებით გვარში შემდეგი წინადადებების ზმნები (გაითვალისწინეთ, რომ ობიექტი იცვლის ბრუნვას):

ა. კულტურა კარგავს განმასხვავებელ ნიშნებს.

ბ. მულტიკულტურალიზმი ქმნის სრულიად ახალ – „ამერიკულ კულტურას“.

გ. კანონი უკრძალავს ქალებს გარეთ გასვლას პირბადის გარეშე.

დ. საფრანგეთის სკოლებსა და უნივერსიტეტებში სხვა რელიგიური სიმბოლოების გვერდით ტრადიციული ისლამური თავსაფრის ტარებას კრძალავდნენ.

პასუხები

თავი I

ბლოკი 1

1.

პირადი ცხოვრება: სახლი, შემოსავალი...

პროფესიული საქმიანობა: კარგი სამუშაო გარემო, კარგი თანამშრომლები...

ჯანმრთელობა: სწორი კვება, სუფთა ჰაერი...

თავისუფალი დრო: დასვენება, გართობა...

2.

ია ვეკუა კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, (სტრიქონის № 28; 29; 30).

3.

- [√] ავტორი წერს პირველ პირში;
- [ ] ფიქციუტი ტექსტია;
- [√] ფაქტები თანამიმდევრულადაა აღწერილი;
- [ ] ფაქტები არათანამიმდევრულადაა აღწერილი;
- [√] პერიოდულად მითითებულია თარიღი.

4.

- (√) მეზობელი ბიჭი (1-23)
- ( ) მეგობრები
- (√) სამუშაო (26-43)
- (√) შინაური ცხოველი (51-54)
- ( ) რუსული ლიტერატურის ჟანრები

5.

უპირატესობა	ნაკლი
საცობში არ ხვდება; გზაში დრო არ ეხარჯება; კვირა დღესაც შეიძლება მუშაობა.	მოსაბეზრებელია

6.

ინტერნეტი	მათე მაყაშვილი	ლევანი
გ. რომ „იგლზის“ გიტარისტი გარდაიცვალა.	ა. ინტერნეტში კატების ფოტოები და ვიდეოები მომრავლდაო.	დ. ნატო დეიდა, ცოტა ხნით კნუტი მათხოვეთ, ვეთამაშები და დაგიბრუნებთო.

7.

ამბობს, რომ საინტერესოა = ამბობს, საინტერესოაო.

8.

ა. ია ამბობს, საინტერესო სამსახური **მაქვსო**.

ბ. ავტორი ამბობს, რომ ფისო ორი კვირის წინ **ვიშვილეთო**.

გ. ია ამბობს, რახან გავიღვიძე, მუშაობა **გადავწყვიტეო**.

დ. ავტორი ამბობს, რომ ადრე კულტურული მოვლენების შესახებ **წერდა**.

ბლოკი 2

2.

ა – 7; ბ – 6; გ – 4; დ – 2; ე – 3; ვ – 1; ზ – 5.

3.

ა. ხშირად, მარტო სასიყვარულო ურთიერთობის გარეშე ცხოვრება უბედურ ცხოვრებასთან ასოცირდება. [3]

ბ. ბევრი ფიქრობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ძალიან ადვილად აღწევს წარმატებას. [5]

გ. ხშირად თვლიან, რომ მუდამ ბედნიერი ადამიანი არც ისე გონიერია. [7]

დ. ადამიანები ხშირად თვლიან, რომ ბედნიერებისთვის აუცილებელია, ყველა სურვილი აგისრულდეთ. [4]

ე. ხშირად ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ გარშემო მყოფების აზრებს. [6]

4.

	სწორია	არასწორია
1. სტერეოტიპები გვეხმარება ბედნიერების მოპოვებაში.		√
2. მუდმივად სხვისი აზრის მოსმენით ადამიანი კარგავს ბედნიერებას.	√	
3. ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ბედნიერი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ რომელიმე სურვილი აუსრულდება.	√	
4. სხვა ადამიანთან ურთიერთობის დროს შესაძლოა ადამიანმა უფრო მარტოსულად იგრძნოს თავი.	√	
5. მუდმივად სხვებთან თავის შედარებით იპოვით ბედნიერებას.		√
6. ოცნებების ასრულება შესაძლებელია, თუ ამის გულწრფელად გჯერა.	√	
7. როცა სხვა ადამიანის გვშურს, ამით ხელს ვუწყობთ ჩვენს ბედნიერებას.		√
8. ადამიანი თუ სულ ბედნიერია, მაშინ ის სულელია.		√

ბლოკი 3

2.

ენდორფინი გამომუშავდება თავის ტვინში. [√]

ენდორფინი აძლიერებს იმუნურ სისტემას. [√]

ენდორფინი გამომუშავდება ნერვული სისტემის მიერ. [ ]

ენდორფინის ქიმიური ფორმულა ჰგავს ჟანგბადის ქიმიურ ფორმულას. [ ]

ენდორფინი ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას. [√]

ენდორფინი ხელს უწყობს სუნთქვის სისტემის მუშაობას. [ ]

ენდორფინის ქიმიური ფორმულა ჰგავს მორფინის ქიმიურ ფორმულას. [√]

3.

ყველაფერს მივუდგეთ პოზიტიურად;

ნებისმიერ პრობლემაში მოვძებნოთ დადებითი;

მუსიკალური თერაპია.

4.

ა. 1. *მუსიკალურიი თერაპია*;

2. *ენდორფინი*,

3. *მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები*;

4. *სპორტი*.

ბ. შესამცირებელი, შესანარჩუნებელი, გასაზრდელი, მოსამატებელი.

5.

ა. შესამცირებლად – შემცირება;

შესანარჩუნებლად – შენარჩუნება;

გასაზრდელად – გაზრდა;

მოსამატებლად – მომატება.

ბ. რისთვის?

გ. ზმნისწინი + სა + -ლ/-ელ +ად



ბლოკი 4

2.

თაობები და ღირებულებები.

3.

ახალგაზრდები (18-24 წელი)	ბ; ე.
საშუალო ასაკის წარმომადგენლები (40-50 წელი)	ე.
უფროსი ასაკის წარმომადგენლები (60-70 წელი)	ა; გ; დ; ე.

4.

ა. ნდობა;

ბ. კანონის წინაშე თანასწორობა;

გ. რელიგია;

დ. დემოკრატიული მმართველობა;

ვ. მოქალაქეთა აქტიურობა.

თავი II

ბლოკი 1

3.

ბ. ის, რაც გამოცდილებამ მოიტანა მშობლისთვის და რაც ჯერ არ აქვს შვილს, ეს განაპირობებს ხოლმე ხშირად კონფლიქტს იმიტომ, რომ მშობელს ყოველთვის უნდა, რადიკალიზმით ხიფათები აარიდოს თავის შვილს. ამიტომ არიგებენ და აძლევენ შვილებს რჩევებს.

5.

ბ.
1. მათი შვილები იყვნენ კონკურენტუნარიანები;
2. იყვნენ ყველაზე ლამაზები და ყველაზე ჭკვიანები;
3. იყვნენ ყველაზე მეტად გამოჩენილი ადამიანები;
4. უნდათ არ დაჩაგროს ცხოვრებამ;
5. ყურები არ ჩამოყაროს პირველივე წარუმატებლობისას;
6. ჰქონდეს ნებისყოფა;
7. ჰქონდეთ ადამიანებთან კომუნიკაციის სურვილი და უნარი;
8. იყვნენ განათლებულები.

ბლოკი 2

1.

მე, დედა, მამა, და, ძმა – ბიძია – დეიდა – მამიდა – ბიძაშვილი – მამიდაშვილი –დეიდაშვილი.

4.

ა. **1.** – გ; **2.** – ა; **3.** – ბ.

ბ. **x** არის **N**, რომელიც

x არის **N**, რომლის(წევრებიც)

x არის **N**, რომელსაც

5.

1. – ა; **2.** – გ; **3.** – ბ; **4.** – დ.

ბლოკი 3

2.

ოჯახის ფუნქციონირება ერთდროულად ორ ძირითად კანონს – ჰომეოსტაზისა და განვითარების კანონებს ექვემდებარება. პირველი მათგანი სტაბილურობის შენარჩუნებას გულისხმობს, მეორე კი მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრულ მონაცვლეობას უკავშირდება.

3.

მოვლენათა მონაცვლეობა – ციკლი;

განვითარების კანონი – რამდენიმე თვიდან ერთ-ორ წლამდე გრძელდება;

ჰომეოსტაზის კანონი – სტაბილურობის შენარჩუნება;

ერთი ეტაპი – მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრული მონაცვლეობა.

4.

ა. ცოცხალ ორგანიზმს.

ბ. ოჯახის ფუნქციონირება ერთდროულად ორ ძირითად კანონს – ჰომეოსტაზისა და განვითარების კანონებს ექვემდებარება.

გ. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, ჩვეულებრივ, რამდენიმე თვიდან ერთ-ორ წლამდე გრძელდება და ხასიათდება გარკვეული თანმდევი სირთულეებით.

5.

ა. ახალგაზრდა ოჯახი პატარა შვილით — ა
ოჯახი ხანდაზმული მშობლებით — ბ
პირველი შვილის სოციალურ სისტემაში გაშვება — გ
ახალგაზრდა ოჯახი — დ
ოჯახი მოზარდი შვილით — ე
მშობლების ოჯახიდან მოზრდილი შვილის გასვლა — ვ
ოჯახი სასკოლო ასაკის შვილით — ზ

ბ. დ – 1; ა – 2; გ – 3; ზ – 4; ე – 5; ბ – 6 ვ – 7.

6.

ა. ოჯახის პასუხისმგებლობა = ქალის პასუხისმგებლობა + კაცის პასუხისმგებლობა.

< (მეტი) ჰარმონიული კონტაქტი = > (ნაკლები) სირთულეები მშობლების ოჯახიდან გასვლის დროს.

ბ. 1. ეს გარდატეხა მნიშვნელოვნად განაპირობებს **როგორც** ოჯახში ბავშვის განვითარების პროცესს, **ასევე** მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

2. „მოზარდობის ასაკის კრიზისის“ დროს მიმდინარეობს ცვლილებები **როგორც** ფიზიკურ დონეზე, **ასევე** ემოციურ დონეზე.

3. **რაც უფრო** ჰარმონიულია შვილისა და მშობლების ემოციური კონტაქტი, **მით უფრო** ნაკლებია სირთულეები მშობლების ოჯახიდან გასვლის დროს.

ბლოკი 4

1.

პრობლემა არის ნაადრევი ქორწინება.

2.

	დადებითი მხარე	უარყოფითი მხარე
სოციალური	გვერდით გეყოლება ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარს; მასთან ურთიერთობით მიიღებ დიდ სიამოვნებას; გექნება შვილის შეძენით განცდილი სიხარული და ბედნიერება; ახალგაზრდობაშივე მოესწრები შვილებსა და შვილიშვილებს.	

ფსიქოლოგიური		ადამიანი ზრდისა და გამოცდილების შეძენის პროცესში ყალიბდება, ეცვლება გემოვნება, ღირებულებები, ფასეულობები, შეხედულებები. ის, რაც ადრე მოსაწონი და მისაღები იყო, მიუღებელი ხდება. აღნიშნულ ცვლილებებს ხშირად მოჰყვება ახალგაზრდა წყვილს შორის ხასიათის შეუთავსებლობა, ოჯახური სიმტკიცის რღვევა და ბოლოს – განქორწინება.
ფიზიოლოგიური		ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები როგორც დედის, ასევე ახალშობილის მხრივ.
განათლება		უარის თქმა განათლების მიღების გაგრძელებაზე ან სწავლის დროებით გადადება.
კარიერა		ახალგაზრდა მშობლებს, რომლებსაც განათლება და მუშაობის უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, არა აქვთ მუდმივი სამსახური და სტაბილური შემოსავალი შესაბამისად, უჭირთ როგორც საკუთარი თავის, ასევე ოჯახის რჩენა.

4.

ა. სექსუალური კავშირის სურვილი.

ბ. საკმაოდ ხშირად ინგრევა ასეთი ოჯახები.

თავი III

ბლოკი 1

2.

ბ. განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოების განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე.

3.

ახალი ამბები ან უცხოური სიახლეები.

4.

1. ბოინგის ჩამოგდების ფაქტი BBC-დან;
2. პრემიერმინისტრის მისამძიმრება ფეისბუქით;
3. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ვებგვერდზე;
4. საგარეო საქმეთა მინისტრის მისასამძიმრებელი სიტყვა;
5. პარლამენტის წუთიერი დუმილი;
6. პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარი.

5.

ა. საგარეო საქმეთა მინისტრი — 3;
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — 1;
პრემიერმინისტრი — 2.

ბ. ნეიტრალური — პრემიერმინისტრის განცხადება.
ყველაზე ცალსახა და დიპლომატიური — საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

გ.
- მკვეთი, ცალსახა პოზიციის გამომხატველი სიტყვა: აშკარად;
- არანეიტრალური, მაგრამ არაცალსახა პოზიციის გამომხატველი სიტყვა: თუკი.

6.

ა. გაუზიარებს – გაზიარება;
თანაუგრძნობს – თანაგრძნობა.

ბ. პრეფიქსი – უ.

გ. ეს პრეფიქსი გამოხატავს იმას, რომ მოქმედება სხვისთვის სრულდება.

ბლოკი 2

1.

ეკონომიკა → „გურჯაანის ნაყინმა" წარმოება განაახლა.

პოლიტიკა → თეა წულუკიანი — პროკურატურაში სათანადო საკადრო ცვლილებები ვერ მოხერხდა.

კულტურა → რობერტ სტურუა თელავის თეატრის სამხატვრო კონსულტანტად დაინიშნა.

გარემოს დაცვა → 21 მარტს ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ვაკანსიები კახეთში → ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა.

2.

ა. 1. კაზრეთელი და ბოლნისელი მუშები კანცელარიასთან დღეს აქციას მართავენ.
2. „კავკასუს ონლაინი" ინტერნეტის სიჩქარესა და ფასს ზრდის.
3. Chemiparlamenti.ge – საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეების ჩართულობისთვის.

ბ. 1. ადამიანის უფლებები;
2. ეკონომიკა;
3. საზოგადოება.

4.

ორი მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა ერთმანეთს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

კოსტავას ქუჩაზე, ტელევიზიასთან.

6.

ა.

დავალება 4	დავალება 6
არსებითი სახელები	
საპატრულო პოლიცია სასწრაფო დახმარების ბრიგადა მსუბუქი ავტომობილი ოფიციალური/სალიტერატურო ენა	პოლიცია სასწრაფო მანქანა არაოფიციალური/სასაუბრო ენა
ზმნები	
დაეჯახა გადაიყვანეს დაშავდა	შეჯახებია გადაუყვანიათ ყოფილა

ბ. ინფორმაციის წყარო საინფორმაციო ტექსტში არის პრესა, დიალოგში — მეგობარი.

გ. 1. არეალურ მოქმედებას, დაუჯერებელ მოქმედებას.
2. "თურმეობითის" ფორმით (შედეგს ვხედავ და ვხვდები, რომ რაღაცა მოხდა).

დ.

ზმნები აქტიური სუბიექტით	ზმნები პასიური სუბიექტით
შეჯახებია გადაუყვანიათ	მომხდარა გახსნილა გადარჩენილა

ე. ზმნისწინი

ბლოკი 3

2.

ა. ბულვარული პრესა.

ბ. მეინსტრიპული მედია, რესპექტაბელური მედია.

3.

- საბჭოთა პერიოდში ბულვარული გამოცემები არ იყო. **ი.ა.**
- ქართველებს სხვისი ცხოვრების ქექვა უყვართ. **ლ.კ.**

- **50-**იან წლებში ყვითელი პრესა ცნობილი ადამიანების პირად ცხოვრებას განიხილავდა. **ი.ა.**
- ქართველებს აინტერესებთ ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების დეტალები. **ლ.კ.**
- ბულვარული პრესა უფრო მეტად იყიდება, ვიდრე რესპექტაბელური მედიაგამოცემები. **ი.ა.**
- ქვეყნებში, სადაც ყვითელი პრესა არ არსებობს, დემოკრატია არ არის, ან ეს ქვეყნები დემოკრატიის დაბალ საფეხურზე დგას. **ი.ა.**
- ყვითელი პრესა ადვილად წასაკითხია და მასში ბევრი ფოტოა. **ი.ა.**
- ყვითელი პრესა მას შემდეგ არსებობს, რაც თავად პრესა გამოიგონეს. **ლ.კ.**

ბლოკი 4

3.

ა. 1. ჟურნალისტმა ყოველთვის სიმართლე უნდა წეროს. მისი ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს.
2. არ შეიძლება ჟურნალისტის დაშინება იმ მიზნით, რომ მოიქცეს არაკანონიერად.
3. ჟურნალისტმა არ უნდა დამალოს და გააყალბოს ზუსტი ინფორმაცია.
4. ჟურნალისტმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ უნდა მიოპოვოს უკანონოდ.
5. მედიამ საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ზუსტი, ნამდვილი ფაქტები და არ შეიყვანოს იგი შეცდომაში.
6. ჟურნალისტმა არ უნდა გაამხილოს საიდუმლო ინფორმაცია.
7. ჟურნალისტმა არ უნდა გამოარჩიოს ადამიანები რომელიმე ნიშნით.
8. ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბავშვის უფლებები, უნდა გაითვალისწინოს მისი ინტერესები და არ გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ბავშვისთვის საზიანოა. მშობლების ნებართვის გარეშე არ უნდა აიღოს მისგან ინტერვიუ.
9. სარეკლამო ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს მასალებში.
10. თუ არ არსებობს საზოგადოების დიდი ინტერესი, ჟურნალისტი არ უნდა ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში.
11. ჟურნალისტმა არ უნდა შეცვალოს ფაქტები, არ უნდა აიღოს ქრთამი, არ უნდა მოიპაროს სხვისი ინფორმაცია.

თავი IV

ბლოკი 1

4.

ა.

აუცილებელი მოქმედება	შესაძლო მოქმედება
• ვალდებული ხართ, დღის განმავლობაში იმუშაოთ; • ვალდებული ხართ, დრო სწორად გადაანაწილოთ.	• შეგიძლიათ გაატაროთ თავისუფალი დრო პროდუქტიულად და ამავდროულად ისიამოვნოთ. • შემოკრებილი წრე, რომელიც ცდილობს სიყვარული და ბედნიერება გაგიზიაროთ. • მათთან ერთად თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სხვადასხვა ადგილას.

ბ. ვალდებული ხართ წახვიდეთ;
ვალდებული ხართ იმუშაოთ;
ვალდებული ხართ გადაანაწილოთ.

გ. შესაძლო მოქმედება გამოიხატება *შესაძლებლობის* გამომხატველი ფრაზით ან *შეგიძლია(თ)* ზმნით და ძირითადი ზმნის *მეორე კავშირებითის* ფორმით.

დ. არარეალური, არაფაქტობრივი მოქმედების გადმოცემა.

5.

ა. გესაუბრათ; დაგეთმოთ; შეგენარჩუნებინათ; შეგესწავლათ.

ბ. ზმნისწინი/– + პირის ნიშანი + ზმნის ძირი + მწკრივის ნიშანი

ბლოკი 2

1.

ბ.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ
3	1	4	2	5	6

3.

- [x] ბლოგერის სურვილია, მისმა შვილმა არდადეგების დროს ითამაშოს ეზოში, თანატოლებთან ერთად.
- [ ] ბლოგის ავტორი თვლის, რომ კომპიუტერი აუცილებელი ნივთია, რომლის გარეშეც დასვენება წარმოუდგენელია.
- [x] დასვენების უკეთ დასაგეგმად, ბლოგერი იხსენებს ბავშვობის თამაშებს.

4.

1; 3 – სწორია;

2; 4 – არასწორია.

5.

ა. ავტორი არდადეგების გატარებას შვილთან ერთად ჯერ ზღვაზე, მერე რომელიმე წყნარ სოფელში აპირებს. ეცდება, კომპიუტერის გარეშე დაისვენოს.

6.

ბურთის სათამაშოდ მოთამაშეები იყოფოდნენ ორ ჯგუფად. თამაშის დაწყებისას მოთამაშეები იწყებდნენ ტრიალს, როდესაც დაინახავდნენ, რომ რომელიმე მოთამაშე გარბოდა, მას ბურთს გადაუგდებდნენ. ის მოთამაშე კი ბურთიანად გარბოდა.

ბლოკი 3

2.

საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ივნისის თვეში.	496 – 758
საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა წინა წლის ივნისის თვესთან შედარებით.	9.3%

3.

ა. ქართველებისთვის ეგვიპტე და თურქეთი ≠ უცხოელებისათვის კახეთი, იმერეთი და აჭარა;

ბ. მსოფლიოს გარშემო = საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;

გ. წელს ≠ შარშანდელთან შედარებით.

4.

დასვენებისთვის ხელსაყრელი პერიოდი;

დასასვენებელი ადგილები;

ასაკობრივი ჯგუფები...

6.

ბ. სასტუმროების მცირე რაოდენობა;
მოშლილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
მომხიბლავი გარემო, ზღვა;
სამკურნალო წყლები;
მოსახლეობის არაინფორმირებულობა.

გ. სვანეთსა და რაჭაში – მოშლილი საგზაო ინფრასტრუქტურის გამო.
ქვემო ქართლში – მოსახლეობის არაინფორმირებულობის გამო ქვემო ქართლის პოტენციალთან დაკავშირებით.

დ. არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში განსაკუთრებით მომხიბლავი გარემოა შექმნილი დამსვენებლებისთვის, არ არის ცოტა სასტუმრო, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით იმაზე მეტი პოტენციალი გააჩნია ამ რეგიონს, ვიდრე ამჟამად აქვს.

ბლოკი 4

1.

ა. სამოგზაუროდ დამოუკიდებლად წასვლა ჯდება უფრო იაფი, ვიდრე ტურისტული კომპანიის დახმარებით. თვითონ გეგმავს ყველაფერს და არ არის სხვაზე დამოკიდებული, მაგალითად, ტურისტული ჯგუფის წევრებზე.

ბ. ტურისტული კომპანია გეგმავს ყველაფერს ტურისტებისთვის.
ტურისტული კომპანია ითვალისწინებს ტურისტების მოთხოვნებს და ამის მიხედვით სთავაზობს ტურს.

2.

არ აქვს იმდენი თანხა, რომ ტურ-ოპერატორის მომსახურებით ისარგებლოს.

ტურ-ოპერატორი არ სთავაზობს ისეთ პაკეტს, რომელშიც მისი ინტერესი იქნება გათვალისწინებული. მაგალითად, ტურში არ შედის კონცერტები.

3.

საჭიროა, რომ ანას შესთავაზონ ისეთი ტური, რომელიც მოიცავს კონცერტებს და ფასიც იქნება დაბალი.

თავი V

ბლოკი 1

1.

ბ.

კრიტერიუმი	ა. დასარტყამი	ბ. კლავიშებიანი	გ. ჩასაბერი	დ. სიმებიანი
ინსტრუმენტები.	დოლი /ტამტამი.	ფორტეპიანო.	ტუჩის გარმონი; საქსაფონი; კლარნეტი.	ვიოლინი; ჩელო; გიტარა.

3.

	შესრულებული ნაწარმოებების ტიპები	მეზობლების დამოკიდებულება
ტუჩის გარმონზე დამკვრელი მუსიკოსი	სევდიანი მელოდია	მის დაკვრას ზოგი ეძახდა წრიპინს, ზოგი – ჩხავილს, ზოგიც – წრუპუნს. ყველა იწყებდა ლაპარაკს: იძახდნენ, რომ მუსიკოსმა გააჭირა საქმე, რომ წაიღო ყურები, რომ აღარაა მისგან საშველი.
მევიოლინე	გამები, რთული პასაჟები, ეტიუდები, მთელი კონცერტები.	მეზობლებიდან ზოგს მართლა უყვარდა ვიოლინო, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერ გამოხატავდა საყვედურს.

4.

ა. ენამოსწრებულობა (სინონიმები: ენამახვილი, ენასხარტი) – ადამიანი, რომელსაც სწრაფად და გონივრულად შეუძლია პასუხის გაცემა.

ბ. უკმეხი – მოურიდებელი და უხეში ადამიანი.

5.

ა. დაუმთავრებელი (დაკვრა) – დაუსრულებელი დაკვრა.

ბ. დამთავრება; დასრულება.

გ. და-მთავრ-ებ-ა → და-მთავრ-ებ-ულ-ი
და-სრულ-ებ-ა → და-სრულ-ებ-ულ-ი

დ. საწყისი → უარყოფითი მიმღეობა
ზმნისწინი + ძირი + ებ + ელ + ი

ბლოკი 2

2.

ა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაა.

ბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი.

გ. სერგო ქობულაძის მიერ შექმნილი ოპერის უნიკალური ფარდა.

3.

(9) ოპერამ შეინარჩუნა ფსევდო-მავრიტანული სტილი.

(1) 12 აპრილს ოპერისა და ბალეტის თეატრში ფარდა საზეიმოდ გაიხსნა იტალიელი მუსიკოსების სცენაზე

გამოსვლით.

3 ეს კულტურული ბედნიერება მხოლოდ 23 წელს გაგრძელდა.

10 ესკიზის მიხედვით სერგო ქობულაძის ფარდა თავიდან შეიქმნა.

4 შენობა იმდენად დაზიანდა, რომ მისი სხვა ადგილას აშენება გადაწყდა.

5 22 წლის შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე ოპერისა და ბალეტის ახალი თეატრი აშენდა.

6 განადგურდა სანოტო ბიბლიოთეკა.

11 რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნის კვირეული.

2 ალექსანდრე დიუმა წერს, რომ ბევრ თეატრში ყოფილა, მაგრამ ასეთი თვალწარმტაცი ნაგებობა, როგორიც თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრია, ჯერ არსად უნახავს.

7 3 ნოემბერს საოპერო ცხოვრება თავიდან დაიწყო.

8 ხანძარს შეეწირა სერგო ქობულაძის ისტორიული ფარდა.

4.

ა. რუსთაველის გამზირი.

ბ. პირველი თეატრი მავრიტანული სტილით იყო გაფორმებული. მეორე თეატრმა შეინარჩუნა ფსევდო–მავრიტანული სტილი.

გ. ალექსანდრე დიუმას.

5.

ა. შენობა იმდენად დაზიანდა, რომ მისი სხვა ადგილას აშენება გადაწყვიტეს და ასეც მოხდა.

1973 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრს ისევ გაუჩნდა ხანძარი, რომელმაც თითქმის მთლიანად დააზიანა ინტერიერი.

ბ. დააზიანა – სხვისი ჩარევით ხდება მოქმედება.

დაზიანდა – ზმნა თვითონ განიცდის მოქმედებას.

დ. - დ სუფიქსი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი (მოქმედი საგანი) თვითონ განიცდის მოქმედებას.

-ა პრეფიქსი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი (მოქმედი პირი) მოქმედებს ობიექტზე (სამოქმედო პირი).

ბლოკი 3

1.

ირაკლი ჩარკვიანს აშფოთებს ის, რომ ქართულ მუსიკას აკლია სოციალური მუხტი და ამ დროს ახალგაზრდები არაინ უმოქმედოდ.

2.

ა. საქართველოში ბევრი სოციალური პრობლემაა, მაგრამ სოციალურ მუსიკაზე არ მუშაობს არავინ და ახალგაზრდები არ გამოხატევენ ამ პრობლემებს შემოქმედებითად.

ბ. მესამე, მეოთხე აბზაცებში მოცემულია პრობემის გადაჭრის გზები. ის, რომ ახალგაზრდებმა უნდა გამოხატონ თავიანთი პროტესტი სოციალურ მუსიკით და უნდა გაერთიანდნენ ისეთ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება ქვეყნის ბედი გადაწყვიტოს.

3.

ა. იარკლი ჩარკვიანის აზრით, მუსიკა უნდა იყოს დემოკრატიული, სოციალური და იგი უნდა გამოხატავდეს იმ მწვავე სოციალურ პრობლემებს, რომლებიც არის და აწუხებს საზოგადოებას.

ბ. ირაკლი ჩარკვიანი ამ ფარაზაში გულისხმობს, რომ ადამიანები მუსიკას ქმინიან მხოლოდ ვიღაცის შეკვეთით, გავლენით და მუსიკას აღიქვამენ მხოლოდ შემოსავლის წყაროდ.

4.

ა. ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება დღემდე აქტუალური და მოთხოვნადია, პოპულარულია და ბევს სურს მისი შეძენა.

ბ. ახალგაზრდები მუსიკით არ გამოხატავენ თავიანთ აზრს და პოზიციას. ისინი შეგუებულები არიან უკვე არსებულ რელობასა და გარემოს, არ ცდილობენ მის შეცვლას. ეს კი, არ არის კარგი არც მუსიკისთვის და არც საზოგადოებისთვის.

გ. რევოლუცია ყოველთვის მაღალი ფენის გავლენით ხდება, სადაც სოციუმი ასრულებს მათ მითითებებს და შესაბამისად მხოლოდ ისინი რჩებიან მოგებული ამ დროს და არა ის სოციუმი, რომელსაც ნამდვილად აწუხებს პრობლემები.

5.

ირაკლი ჩარკვიანი ამ ფრაზით მიმართავს ახალგაზრდებს, რომლებიც ყველაფერს შეგუებულები არიან და არ ცდილობენ გამოხატონ თავიანთი პოზიცია, პროტესტი საზოგადოებაში არსებული რელობისადმი და შეცვალონ, დაარღვიონ ის წესრიგი, რომელიც მათ აწუხებთ.

ბლოკი 4

1.

სუხიშვილი იყო ანსამბლის დამაარსებლის გვარი.

2.

ა. ორივე მათგანმა რევოლუციური ნაბიჯი გადადგა ხალხისთვის.

ბ. მათ შეაგროვეს, შეისწავლეს და გასაგებ ენაზე დაწერეს ის, რაც სიამაყის საგანს წარმოადგენდა / საამაყო იყო.

3.

ა. ეთნიკური ცეკვები შეცვალეს ისე, რომ ხალხისთვის გასაგები ყოფილიყო და რომ ნახავდნენ, აღტაცებულები დარჩენილიყვნენ.

ბ. მუდამ იარსებებდა ზღაპრები / სულ იქნებოდა ზღაპრები.

გ. გადაარჩინეს ის, რაც ქართველებს განარჩევს სხვა ერებისგან.

დ. სუხიშვილები ისეთივე ცნობილია მსოფლიოში, როგორც კომპანია "ფორდი".

4.

რევოლუციური ნაბიჯი	დარეგისტრირებული
ხალხში გამოიწვია	მოაგროვეს
თქმულებები	აღტაცება
საავტორო უფლებები აქვთ	გადადგეს

თავი VI

ბლოკი 1

1.

აზერბაიჯანელები; სომხები.

2.

თარჯიმანთა პრობლემა, ენის არცოდნა.

3.

იგი არის ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე და სურს, საზოგადოებაში იყოს ინტეგრირებული.

4.

სახელმძღვანელოებში აბსოლუტურად გაუგებარი კონტექსტებია, ვერ გაიგებ რა არის თარგმნილი.

ბლოკი 2

2.

დაუსრულებელი ომები; პოლიტიკური არეულობა; რელიგიური დევნით ტანჯვა.

3.

ა. 1817 წელს.

ბ. გერმანული ყოფითი კულტურის ნიმუშები, გერმანელების მიერ დაგეგმარებული ქუჩები.

4.

გერმანელებმა ძირფესვიანად / მთლიანად / სრულად შეცვალეს საქართველოში იმდროინდელი მდგომარეობა

5.

ნათესაობით ბრუნვას.

ბლოკი 3

2.

სხვა ქვეყნებში მცხოვრები ებრაელებისგან განსხვავებით, საქართველოში ისინი თავისუფლად ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრში და არა ერთ, რომელიმე უბანში იზოლირებულად, განცალკევებით. მათ ჰქონდათ თავიანთი უბნები, რადგან თუ ასე კონცენტრირებულად არ იცხოვრებდნენ, ვერც მოახერხებდნენ საუკუნეების მანძილზე თავიანთი ტრადიციების შენარჩუნებას.

3.

ქორწილი იყო ქართველებისა და ებრაელების მსგავსი ტრადიცია. ებრაელებისას ერქვა „აჯლა ან აჯილაკი''. ეს იყო სპეციალურად პატარძლისთვის განკუთვნილი ოთახი. ებრაელები აჯილაკს ფარდებით აკეთებდნენ, ხოლო ქართველები ფიცრებისგან.

ასევე ორივე ხალხის ტრადიციაში ვხვდებით მზითვს. ქორწილის წინ ხდებოდა მზითვის აღწერა. განსხვავება ის იყო, რომ ებრაელების შემთხვევაში მზითვის აღწერას ესწრებოდა რაბინი.

ბლოკი 4

1.

მულტიკულტურალიზმი გულისხმობს განსხვავებული კულტურების გვერდიგვერდ არსებობასა და თანაცხოვრებას.

3.

მულტიკულტურალიზმი – „მოსახარში ქვაბი";

ინტერკულტურალიზმი – „სასალათე ჯამი".

5.

ა. ი- პრეფიქსი (თავსართი) და -ება სუფიქსი (ბოლოსართი).

ბ. აწმყოს მწკრივის ფორმებია. აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ახლა ხდება ან პერიოდულად მეორდება. არის ერთპირიანი, სუბიექტი არის პასიური.

დ. S (სუბიექტი) ი- +ზმნის ძირი + -ება

6.

ა. <u>კულტურა</u> იდენტობას **კარგავს**.

ბ. <u>მულტიკულტურალიზმი</u> კულტურას **თქვეფს** სხვა კულტურებში.

გ. იმიგრანტების მოზღვავება **ქმნის** მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს.

დ. ყველა დემოკრატიული <u>სახელმწიფო</u> თავს მულტიკულტურულად **მიიჩნევს**.

7.

ა. კულტურაში იკარგება განსხვავევული ნიშნები.

ბ. მულტიკულტურალიზმში იქმნება სრულიად ახალი „ამერიკული კულტურა".

გ. კანონით იკრძალება ქალების გარეთ გასვლა პირბადის გარეშე.

დ. საფრანგეთის სკოლებსა და უნივერსიტეტებში სხვა რელიგიური სიმბოლოების გვერდით ტრადიციული ისლამური თავსაფრის ტარება აიკრძალა.

www.geofl.ge